

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა ლინგვისტიკა

როლანდ შავაძე

ბულინგი ქართულ და ინგლისურ საგანმანათლებლო დისკურსში

დისერტაცია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:  
პროფესორი ირინე გოშხეთელიანი  
ასოც. პროფესორი მადონა მიქელაძე

ბათუმი

2022

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი, ----- (ხელმოწერა)

(თარიღი) -----

## შინაარსი

შესავალი -----	5
თავი 1. განათლების დისკურსის საკითხისათვის -----	12
1.1. დისკურსის ცნების რაობა -----	12
1.2. სიტყვათა შერჩევა განათლების პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტების ტექსტებში-----	18
1.3. საკლასო დისკურსის რაობა-----	52
თავი 2. ბულინგის კვლევის თეორიული საფუძვლები-----	59
2.1. ბულინგის რაობა სხვადასხვა მეცნიერებაში-----	59
2. 2. ბულინგი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში (საქართველოსა და აშშ-ს მაგალითზე)-----	66
2.2.1. ბულინგი საქართველოს განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში-----	67
2.2.2. ბულინგი ამერიკის განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში -----	70
2.3. ბულინგის სოციალური ფენომენი-----	73
2.3.1. ქართველი და ამერიკელი მოსწავლეები ბულინგის შესახებ (სოციოლოგიური კვლევა)-----	77
2.3.2. ქართული და ამერიკული სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების მოსაზრება ბულინგის შესახებ (სოციალური კვლევა) -----	90
თავი 3. ბულინგის ენობრივი თავისებურებები ქართულ და ამერიკულ სასკოლო დისკურსში-----	100
3.1. ბულინგის სახეები ქართულ სასკოლო დისკურსში და მათი ენობრივი თავისებურებები-----	100
3.1.1.რელიგიური ნიშნით გამოხატული ბულინგი -----	102
3.1.2. გენდერული ნიშნით გამოხატული ბულინგი -----	105
3.1.3. სოციალური ნიშნით გამოხატული ბულინგი -----	108
3.1.4. მოსწავლეების მიერ მასწავლებლის ბულინგი-----	110
3.1.5. კიბერბულინგი-----	111

3.2. ბულინგის ენობრივი ანალიზი დაფუძნებული ქართულ და ამერიკულ სკოლებში	
ჩატარებულ კვლევაზე-----	121
ზოგადი დასკვნები -----	133
გამოყენებული ლიტერატურა-----	136

## შესავალი

თანამედროვე რეალობაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია დაშინების სხვადასხვა ფორმის გამოვლენის შესახებ. ძნელია ისეთი პიროვნების პოვნა, რომელიც თუნდაც ერთხელ არ ყოფილა ბულინგის თვითმხილველი ან ადრესატი. ხშირ შემთხვევაში ბულინგის მსხვერპლნი არასრულწლოვნები არიან. ბავშვზე ფსიქო-ფიზიკური ზიანის მიყენების რისკი დიდია საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, რომელშიც ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბულინგის ფენომენი კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა ხშირად ლატენტური ხასიათისაა, რაც სპეციფიკური მიდგომების დანერგვის აუცილებლობას განაპირობებს. ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან - იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობა, დაუდევარი მოქცევა, უხეში მოპყრობა თუ ექსპლუატაცია. მოცემული ნაშრომის მიზანი არ არის ბულინგის, როგორც მხოლოდ სოციალური პრობლემის წარმოჩენა და ანალიზი, ნაშრომში წარმოდგენილია ბულინგის, როგორც დაშინების ფენომენის ლინგვისტურ გამოხატულებასთან დაკავშირებული საკითხები: ბულინგის სოციოლინგვისტური მახასიათებლები, მისი გამოხატვის ფორმები, მათი ენობრივი მარკერები, ვერბალური ბულინგის ლინგვისტური თავისებურებები. ვინაიდან ენა რეალობის ასახვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა, ამდენად, ენობრივი სიტუაციების სწორ ანალიზს რეალური სიტუაციების ადეკვატურ ახსნამდე მივყავართ. შესაბამისად, საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის, როგორც დაშინების გამოხატულების, სწორი ენობრივი ანალიზით შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება.

**თემის აქტუალობა** განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბულინგის ფენომენი მოუგვარებელ პრობლემად რჩება. საგანმანათლებლო სივრცეში ბულინგის, როგორც სოციალური პრობლემის, შესახებ

მრავალმხრივი კვლევების საფუძველზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა. თუმცა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, საკმაოდ მწირი თეორიული მასალა მოიპოვება ბულინგის გამოხატულების ლინგვისტური თავისებურებების შესწავლისა და ანალიზის შესახებ. ბულინგი ადამიანების კომუნიკაციის პროცესში რეალიზდება. სწორედ ამიტომ, მისი გამოვლენის ფორმა პირდაპირ უკავშირდება კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების საკითხებს, ვინაიდან ენა არ არის სოციუმისგან განყენებული ფენომენი, ის სოციუმთან ერთად არსებობს და მას სოციალიზაციის ფუნქცია აკისრია. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია მისი სოციოლინგვისტური კუთხით კვლევა. ადამიანების ურთიერთობებში, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაცია მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. კომუნიკაციის, როგორც სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტის ანალიზი, საშუალებას მოგვცემს ავხსნათ ენის ფუნქციის მნიშვნელობა დისკურსში. სწორედ ამიტომ, საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის კვლევის საკითხებში არსებითად მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციოლინგვისტურ ფაქტორსაც, რადგან ის წარმოადგენს, როგორც ლინგვისტურ, ისე სოციალურ ფენომენს. საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის ბუნების სრულფასოვანი შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება დაშინების რეალურობის განსაზღვრა და მისი განხორციელების შემთხვევაში სავარაუდო შედეგების პროგნოზირება. თუმცა ამისათვის აუცილებელია შევისწავლოთ, თუ რა ლინგვისტურ ხერხებს იყენებს აგრესორი და რამდენად შესაძლებელია დაშინების შემცველი ტექსტების პრაქტიკული რეალიზება, რომელი ლინგვისტური მარკერები განაპირობებენ მის რეალურობას. გამომდინარე იქიდან, რომ ბულინგი წარმოადგენს ძალადობრივ სამეტყველო აქტს, რომელიც საფრთხეს უქმნის სოციუმის წევრებს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ლინგვისტური საკითხები.

**ნაშრომის მიზანია** ქართულ და ინგლისურ საგანმანათლებლო დისკურსში, დაშინების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე

ბულინგის ცნების დაზუსტება და სოციოლინგვისტურ ასპექტში განხილვა, მისი გამოხატვის ფორმების აღწერა; ენობრივი მარკერების განსაზღვრა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში; სოციოლინგვისტური ცნებების განმარტება და მათი როლის განსაზღვრა საგანმანათლებლო დისკურსში, ბულინგის ფენომენის კვლევისას; საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძოდ, სასკოლო დისკურსში, ჩართული საზოგადოების მიერ გამოყენებული ბულინგის ფორმების იდენტიფიცირება.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება **ნაშრომის ამოცანები**:

- სოციოლინგვისტური ცნებების განმარტება და მათი როლის განსაზღვრა ბულინგის ფენომენის კვლევის პროცესში;
- ბულინგის სახეობების კლასიფიკაცია და ამ კლასიფიკაციის საფუძველზე ქართულ და ინგლისურ კონტექსტში არსებული მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა;
- ბულინგის ლინგვისტური თავისებურებების განსაზღვრა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე მსგავსება-განსხვავებების დადგენა ამერიკულ და ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის მარკერების როლის განსაზღვრა;
- არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის (მათ შორის საკანონმდებლო აქტების) და განხორციელებული კვლევების საფუძველზე საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების და არავერბალური გამოხატულებების გამოვლენა და ანალიზი.

ნაშრომის **სამეცნიერო სიახლეს** წარმოადგენს ის, რომ ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში ნაკლებად არის შესწავლილი ბულინგის ფენომენი სოციოლინგვისტურ ასპექტში. ამიტომ ნაშრომში გაანალიზებული ძალადობის, კერძოდ, ბულინგის პრევენციის საკითხები ქართულ და ამერიკულ განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე ბულინგის გამოხატულების ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც შესწავლილ იქნა, როგორც ქართულ, ისე ამერიკული

სკოლების მაგალითზე, ბულინგის კვლევა ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში და მისი პრაგმატიკული თავისებურებების ანალიზი ნამდვილად წარმოადგენს კვლევის მეცნიერულ სიახლეს.

**კვლევის ობიექტია ბულინგი** განათლების ქართულ და ინგლისურ დისკურსში, კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია ბულინგის გამომხატველი კონკრეტული სიტყვებისა და ფრაზების ლინგვისტური ანალიზი; ქართულ და ამერიკულ სკოლებში ჩატარებული კვლევის ანგარიშების კრიტიკული ანალიზი, ბულინგის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებული სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშები.

**ნაშრომის თეორიულ ბაზას** წარმოადგენს ბულინგის თემაზე შექმნილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი (გამყრელიძე, 2003; ღარიბაშვილი, 2019; ადეიშვილი, 2013; ლებანიძე, 2004; Dijk, 1983; Gee, 2011; Fairclough, 2012;; Woods, 2006). ბულინგის ენა (ნადირაშვილი, 2001; Heinemann, 1973; Olweus, 1973; Pikas, 1989; Roland, 1988; Swift, 1997; Whitney & Smith, 1993; Rigby, 1996; O'Moore & Hillery, 1987; Morita, 1985; Davis, 1997; Fraser, 1998; Gales, 2015; Jenkins, 1998 და სხვა).

**კვლევის მეთოდოლოგია.** სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, კვლევისთვის შეირჩა შემდეგი მეთოდები:

- ა) სოციოლინგვისტური, ფუნქციურ-სემანტიკური და შედარებითი ანალიზი;
- ბ) ბულინგის პრაგმატიკული თავისებურებების ანალიზი;
- გ) სამეცნიერო ლიტერატურისა და განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი (სამაგიდე კვლევა);
- დ) საქართველოს და აშშ-ის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით;



ე) მასწავლებელთა და დირექტორთა ინტერვიუები (ინტერვიუების ჩატარების წინ შემუშავდა ინტერვიუს პროტოკოლი);

ვ) მუშაობა მოსწავლეების ფოკუს ჯგუფებთან.

კვლევა განხორციელდა რამდენიმე ეტაპად:

პირველ ეტაპზე გავაანალიზეთ საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, ოფიციალურ დონეზე მიღებული დოკუმენტები, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორების მიერ განხორციელებული კვლევების ანგარიშები. კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი ნაწილი იყო ბულინგთან დაკავშირებული არსებული მონაცემების თავმოყრა და შესწავლა. ამ პროცესში ურთიერთობა დაგჭირდა, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე უშუალოდ სკოლებთან, მშობლებსა და ამ პრობლემით დაინტერესებულ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მეორე ეტაპზე დავგეგმეთ კვლევები ქართულ და ამერიკულ სკოლებში. ეს ამოცანა ითვალისწინებდა ამ მიმართულებით არსებული ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას და გამოცდილების ანალიზს. ჩვენ კარგად გვქონდა გააზრებული, რომ უცხოური, მათ შორის, აპრობირებული და წარმატებული კვლევის მეთოდების პირდაპირ გადმოღებას და გამოყენებას, შესაძლოა ვერ შეექმნა ობიექტური სურათი. ქართული, ისევე როგორც, ნებისმიერი სხვა ქვეყნის რეალობა, უნიკალურია. ამ უნიკალურობას განაპირობებს, როგორც თანამედროვე ეთნოკულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. გარემო, ასევე პრობლემების გენერირების ისტორიული წინაპირობები. ამიტომ, დავეყრდენით რა საერთაშორისო გამოცდილებას, შევიმუშავეთ სპეციფიკური ინსტრუმენტები.

მესამე ეტაპზე, არსებულ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით შევავროვეთ მონაცემები და ბულინგის სოციალური, სოციოლინგვისტური, ფუნქციურ-სემანტიკური, შედარებითი ანალიზი. ასევე განვიხილეთ ბულინგის პრაგმატიკული თავისებურებები. შედარებითი ანალიზისთვის კვლევა განხორციელდა ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონტანას შტატის ქალაქ *ბოუზმენის*

სკოლაში (Gallatin High School). კვლევაში მონაწილეობდნენ ორივე სკოლის 13-15 წლის მოსწავლეები. თითოეული სკოლიდან 20-მა მოსწავლემ უპასუხა სპეციალურად შემუშავებულ კითხვარებს. ასევე ორივე სკოლიდან 6-6 მოსწავლესთან ჩატარდა ფოკუსჯგუფი. პრობლემის უკეთესად წარმოჩენისათვის, ჩადრმავებული ინტერვიუ განხორციელდა აღნიშნული სკოლების ორ მასწავლებელთან და სკოლის დირექტორებთან. რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდით ისეთ ანალიზს, რომელიც ცალსახად მიუთითებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე და ამავე დროს შიდა სანდოობის საფრთხეების იგნორირებასაც ახდენს. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ისეთ კორელაციურ ანალიზს, რომელიც დეტალურად განიხილავს პოტენციურ მიკერძოებებს და ამასთანავე, დამაჯერებლად აანალიზებს არსებულ მონაცემებს.

კვლევის პროცესში გავითვალისწინეთ კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები. კერძოდ, ნებაყოფლობითი მონაწილეობა/ინფორმირებული თანხმობა; ანონიმურობა და კონფიდენციალობა; კვლევის მიზნის გამხელა; კვლევის ანგარიში.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.** ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის და განათლების პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზის, აგრეთვე პრაქტიკული კვლევების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, რაც დაეხმარება განათლების დისკურსის საკითხებით დაინტერესებულ პირებს შემდგომ სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ კვლევებში. ასევე, მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება განათლების დისკურსის სწავლების დროს. ჩვენი კვლევის სტრატეგია მოიცავდა ბულინგის ენობრივი თავისებურებების კვლევის ანალიზის საფუძველზე ისეთი სისტემური მიდგომების შემუშავებას, რაც დაინტერესებულ მხარეებს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მშობლები) დაეხმარება წარმატებული გამოცდილების განვითარებასა და გამოვლენილი სირთულეების დაძლევაში.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, სამი თავის, რომლებიც დაყოფილია პარაგრაფებად, ზოგადი დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართისაგან.

**ნაშრომის I თავში** - „განათლების დისკურსის საკითხისათვის“ - განხილულია დისკურსის ცნების რაობა, სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით; შესწავლილია ენის ფუნქციური როლი დისკურსის ფორმირებაში; კრიტიკულად არის გაანალიზებული განათლების პოლიტიკის დისკურსი.

**II თავში** - „ბულინგის კვლევის თეორიული საფუძვლები“ - განხილულია ბულინგის რაობა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში. ასევე, გამოკვლეულია, თუ როგორ არის ასახული ბულინგი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში. დაზუსტებულია ბულინგის სოციალური ფენომენი.

**III თავში** - „ბულინგის ენობრივი თავისებურებები ქართულ და ამერიკულ სასკოლო დისკურსში“ - ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოცემულია საქართველოს და აშშ-ის სასკოლო თემის წარმომადგენლების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და დირექტორების) მიერ საგანმანათლებლო დისკურსა და ენაში დაფიქსირებული ბულინგის შემცველი ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებითი ანალიზი.

**ნაშრომის ზოგად დასკვნებში** მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები. ნაშრომის **დანართში** მოცემულია კვლევის ინსტრუმენტები, კერძოდ, კითხვარები და ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვები.

## I თავი

### განათლების დისკურსის საკითხისათვის

#### 1.1. დისკურსის ცნების რაობა

დისკურსი ინტერდისციპლინური კატეგორიაა, შესაბამისად, მისი სხვადასხვა განზომილებაში შესწავლით განსხვავებული მოსაზრებები და განმარტებები გვხვდება, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. დისკურსის, როგორც მოვლენისა და არსის გასააზრებლად ნებისმიერი განსაზღვრება მნიშვნელოვანია. დისკურსი არა მარტო ლინგვისტიკის, არამედ სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების ყურადღების ცენტრშიც არის მოქცეული, როგორცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ფილოსოფია. ტერმინს ხშირად იყენებენ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ყოველდღიურ მეტყველებაში. ამიტომ დისკურსის არსის სწორი გააზრებისათვის სასურველია ტერმინის სიღრმისეული განმარტება.

ტერმინი „დისკურსი“ პირველად ფრანგულ ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყენეს და იგი „დიალოგურ მეტყველებას“ ნიშნავდა, თუმცა მოგვიანებით ტერმინმა მეტყველების და ტექსტის მნიშვნელობა შეიძინა (ღარიბაშვილი, 2019). დისკურსი პოლისემიური ტერმინია, ხშირად ტექსტის და გამონათქვამის სინონიმადაც გამოიყენება. ამ ტერმინის შესახებ ცნობები ანტიკურ წყაროებშიც გვხვდება. მკვლევართა განმარტებით „დისკურსის გენეზისი შეიძლება ლიტერატურაში, საჯარო მეტყველებაში, ენის ფენომენის შესახებ კვლევებში ვეძებოთ. დისკურსის ანალიზის ერთ-ერთ მეცნიერულ წყაროდ, უდავოდ, კლასიკური რიტორიკა, კარგად თქმის ხელოვნება უნდა მივიჩნიოთ“ (ადეიშვილი, 2013:19).

დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჰოლანდიელი მეცნიერის ვან დეიკის მიხედვით დისკურსი შესაძლებელია განვიხილოთ სამი ძირითადი ასპექტით: ა) როგორც ენის გამოყენების საშუალება; ბ) საზოგადოების შეგნებაში გარკვეული წარმოდგენების ჩამოყალიბების, ტექსტების წარმოქმნისა და ინტერპრეტაციის მექანიზმი; გ) სოციალურ კონტექსტში ჯგუფების ან ინდივიდების

ურთიერთქმედების საშუალება. დისკურსის შესწავლა, ავტორის აზრით, უნდა მოხდეს საზოგადოების სტრუქტურულ კონტექსტში (Dijk, 1983). დროთა განმავლობაში კონტექსტი მეტ-ნაკლებად მეორდება. ასეთი გამეორებები სიტუაციას ჩვეულ ფორმად აქცევს. გამეორებები ინსტიტუციური გარემოს თავისებურებაა, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტშიც (Gee, 2011). კონტექსტი ცვალებადია და დამოკიდებულია ტექსტის ავტორისა და რეციპიენტის ურთიერთობაზე და სამეტყველო გარემოზე. მოსაუბრის განზრახვა შესაძლებელია პირდაპირი ნათქვამისგან განსხვავებული იყოს. არაპირდაპირი ნათქვამის სწორი ინტერპრეტირებისთვის ადრესატმა უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი. კერძოდ, სიტუაცია, საუბრის ლინგვისტური კონტექსტი, საუბრის მიზანი და მოტივი, პრესუპოზიციური ანუ სავარაუდო ცოდნა, რომელიც კომუნიკაციაში ჩართულ პირებს უკავშირდება.

ვან დეიკი დისკურსს განიხილავს, როგორც ფართო სოციოკულტურულ ასპექტში მუდმივ მოქმედებაში მყოფ ენას, რომელსაც ახასიათებს მრავალფეროვნება, ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებები და შეტყობინების კომუნიკაციურ სიტუაციაში გამოვლენის უნარი (Dijk, 1997). ავტორი დისკურსისათვის დამახასიათებელ შემდეგ კომუნიკაციურ პრინციპებს განსაზღვრავს: ინფორმატიულობა, რელევანტურობა, კონტექსტთან შესაბამისობა, ინტერაქტიულობა და მკაფიოობა (Dijk, 1997).

მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე ლინგვისტიკაში ტერმინები „დისკურსი“ და „ტექსტი“ თითქმის იდენტური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. დისკურსის ცნების საბოლოო ჩამოყალიბება და მისი ტექსტიდან გამიჯვნა მეოცე საუკუნის ბოლოს მოხდა. ლინგვისტიკაში დისკურსი განიმარტა, როგორც ტექსტს დამატებული სიტუაცია. დისკურსის ასეთი განმარტების შემთხვევაში ყურადღება გამახვილდა სოციალურ გარემო-სიტუაციაზე, კონტექსტზე. შესაბამისად, დისკურსის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტები არა მხოლოდ კონკრეტული ტექსტის შესწავლაზე, არამედ იმ სიტუაციის გააზრებაზეც დაისვა, სადაც დისკურსის ფორმაცია ხდება.

თანამედროვე მეცნიერებაში დისკურსი ორი რელევანტური მნიშვნელობით გამოიყენება: პირველი - აბსტრაქტული მნიშვნელობით, როგორც კატეგორია, რომელიც წარმოაჩენს სოციალური ურთიერთობის სემიოტიკურ ელემენტებს (ენა და ჟესტიკულაცია); მეორე კატეგორია გამოიყენება კონკრეტული სოციალური ინტერაქციის აღსანიშნავად. მაგალითად, პოლიტიკური დისკურსი, რომელიც სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს განსხვავებული ხერხებით წარმოაჩენს (Fairclough, 2012).

დისკურსი კონკრეტულ სიტუაციაში ფორმირებული ტექსტების ერთობლიობაა. იგი შეიძლება გამოიხატოს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. გარდა ამისა, დისკურსი მეტყველების თანმხლებ *პარალინგვისტურ* ელემენტებსაც შეიცავს, რომლებიც ახასიათებს როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერ ტექსტსაც. თუმცა წერით მეტყველებაში *პარალინგვისტური* ელემენტები აღწერით გადმოიცემა. პარალინგვისტიკის თვალსაზრისით დისკურსი კომუნიკაციის პროცესში ჩართული ინდივიდების ინტერაქციული ქმედებაა, რომლითაც ხდება კონტაქტის დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და ურთიერთზეგავლენის მოხდენა. შეიძლება ითქვას, რომ დისკურსის ფორმაცია ყველა საკომუნიკაციო საშუალებით ხდება.

ტექსტისა და დისკურსის შინაარსობრივი გამიჯვნის საკითხი ხშირად ხდება დისკუსიის საგანი. გურამ ლებანიძის მიხედვით, „დისკურსი, ეს არის ენის (ამ ტერმინის ფართო გაგებით) აქტუალიზაციის უშუალო და აუცილებლად პროპორციული ხასიათის მატარებელი შედეგი. ხოლო ტექსტი დისკურსის ის სემიოტიკურად ფიქსირებული ანაბეჭდია (შედეგი), რომელსაც შეუძლია განაგრძოს არსებობა მაშინაც, როცა დისკურსი უკვე წარსულს ეკუთვნის. ამიტომაც ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, არამედ დროსთან მათი განსხვავებული მიმართებითაც“ (ლებანიძე, 2004:24). აღნიშნული ცნებების მსგავსების მიუხედავად, არსებობს გარკვეული შეუთავსებლობა, რომელიც აკონკრეტებს ამ ტერმინების მნიშვნელობებს. თუმცა დისკურსისა და ტექსტის დეფინიციების ასეთმა ფორმულირებამ მაინც ვერ გადაჭრა პრობლემა, რადგან ტექსტის ზუსტი დეფინიციის პრობლემა დიდი ხანია არსებობს ლინგვისტიკაში და ცნების სირთულიდან გამომდინარე დღემდე არ

ჩამოყალიბებულა საბოლოო განსაზღვრება. ტექსტი ენობრივი ნიშნების ერთიანი აზრობრივი კავშირის თანმიმდევრობას წარმოადგენს, რომელსაც ახასიათებს ინფორმაციულობა, მთლიანობა და კოჰერენტულობა. ტექსტი სემანტიკის მქონე ერთეულია, შესაბამისად, მისთვის მნიშვნელოვანია არა წინადადებების რაოდენობა და სტრუქტურა, არამედ შინაარსის ამ წინადადებებში რეალიზება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტექსტისა და დისკურსის მნიშვნელობის განმარტების საკითხში სამეცნიერო წრეებში დღემდე მიმდინარეობს დისკუსიები. ასე მაგალითად, თამაზ გამყრელიძის აზრით, ტექსტი მეტყველების შემოქმედებითი პროცესი და ამ პროცესის შედეგია, იგი გვხვდება, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით. ავტორი ტექსტს და დისკურსს სინონიმურ მნიშვნელობას ანიჭებს. მისივე მოსაზრებით, ტექსტი ანუ დისკურსი ენობრივი ერთეულია, რომელსაც კომუნიკაციის ფუნქცია აქვს (გამყრელიძე, 2003).

ტექსტისა და დისკურსის გასამიჯნად ხშირად გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: ფუნქცია-სტრუქტურა; პროცესი-პროდუქტი; დინამიკურობა-სტატიკურობა; აქტუალურობა-ვირტუალურობა. მეცნიერების აზრით, ტექსტი ვიწრო გაგებით განიხილება, როგორც ენობრივი მასალა. დისკურსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტექსტი, რადგან დისკურსის შემთხვევაში უნდა არსებობდეს კონკრეტული კონტექსტი და არა მხოლოდ ის, რისი დაწერა და წარმოთქმაც შეიძლება. ღარიბაშვილის განმარტებით „დისკურსი ერთზე მეტი წინადადებებისგან შემდგარი ტექსტის თავისუფალი ფრაგმენტია, რომელიც ქმნის საერთო კონტექსტს, რომელიც განისაზღვრება არა იმდენად წინადადების თანმიმდევრობით, რამდენადაც იმ თვისებებით, რომელიც დისკურსის შემქმნელსა და სამყაროს აღქმას შორის არსებობს და დისკურსის დაშლასთან ერთად ვლინდება“ (ღარიბაშვილი, 2019 : 21).

დისკურსის ცალკეული ელემენტების, როგორებიცაა სიტყვა, წინადადება და ტექსტი, შესწავლა ხდება ერთიან კავშირში და კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში. მკვლევართა აზრით, საზოგადოებაში არსებული სოციალური ეტიკეტი და კულტურა გვამღებს საშუალებას დავასკვნათ, რომ ერთსა და იმავე კონტექსტში კომუნიკაციის დროს ტექსტის ჩვენეული აღქმა სხვების ინტერპრეტაციის მსგავსი იქნება, ხოლო ინტერპრეტაციის დროს თავდაჯერებულები ვართ, რადგან

კომუნიკაციის კომპონენტები (ლექსიკური ერთეული, ინტონაცია, მახვილი, ჟესტიკულაცია, ხმის ტონი და სხვა) გვაძლევს ნათქვამის ობიექტური ინტერპრეტირების შესაძლებლობას. არსებობს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო შეხედულებაც. კერძოდ, ნიკოლა ვუდსის მტკიცებით, როგორც ერთი და იგივე სფეროს წარმომადგენლების ერთმანეთში კომუნიკაცია წარმოადგენს დისკურსს, ასევე შესაძლებელია, რომ განსხვავებული სფეროების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციაც იყოს დისკურსი. თუმცა მეორე შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული სფეროს წარმომადგენელი სხვა სფეროს წევრს ესაუბრება, *სასაუბრო* ენა შესაძლოა ბარიერად იქცეს (Woods, 2006). სხვადასხვა სფერო სპეციფიკურ სამეტყველო ტერმინოლოგიას იყენებს, ასევე აღინიშნება კონკრეტულ სფეროში თანამოსაუბრეთა ცოდნის, გამოცდილების და გააზრების ასიმეტრია, რაც ამ სფეროს არაწევრი ინდივიდების დიდი ნაწილისთვის საუბარს ნაკლებად გასაგებს ხდის.

არაეფექტური კომუნიკაციის გამომწვევ ფაქტორებად ამერიკელი ლინგვისტი, ჯეიმს პულ ჯი ტექსტის შემდეგ სიტუაციურ ასპექტებსა და მათ თავისებურებებს ასახელებს:

1. სემიოტიკური ასპექტი - ტექსტში გამოყენებული ენა, ჟესტიკულაცია, სიმბოლოები;
2. აქტივობის ასპექტი - კონკრეტული სოციალური აქტივობა/აქტივობები, რომელსაც ახასიათებს ქმედებათა თანმიმდევრობა;
3. მატერიალური ასპექტი - ინტერაქციის დრო და სივრცე;
4. პოლიტიკური ასპექტი - სოციალური პრივილეგიების გადანაწილება, როგორებიცაა, ძალაუფლება, სტატუსი, განათლება, გენდერი და ა.შ.;
5. სოციოკულტურული ასპექტი - პერსონალური, სოციალური და კულტურული ცოდნა, გრძნობები, ღირებულებები, იდენტობა და ნიშანთა სისტემის შესახებ ინფორმაციის ფლობა (Gee, 2011).

კრიტიკული დისკურსის ანალიზი ენას სოციალურ პრაქტიკაში შეისწავლის და იმ სოციალური ურთიერთობის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ტექსტშია გადმოცემული. კრიტიკული დისკურსის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძალაუფლებისა და დისკურსის ურთიერთკავშირს, იმ გზების



შესწავლას, რომლითაც ხდება ძალაუფლების ზეპირსიტყვიერ ან წერილობით ტექსტებში გადმოცემა. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ენას ძალას მატებს ინდივიდი, რომელიც ამ კონკრეტულ ენაზე მეტყველებს. ინტერაქციის დროს ძალაუფლების გამოხატულება ხდება მაშინ, როდესაც კონკრეტულ კონტექსტში, რომელიც სტრუქტურულად ინსტიტუციურია, დომინირებული პირი პოზიციიდან გამომდინარე, ლინგვისტური ხერხებით ახდენს საკუთარი როლის დემონსტრირებას. შესაბამისად, ნებისმიერ დისკურსში ძალაუფლების გამოხატულება არის ვერბალური ინტერაქციის დროს დომინანტი მონაწილის მიერ სხვა მონაწილეების კონტროლი და ინტერაქციის დროს მათი თავისუფალი მეტყველების შეზღუდვა (Park, 2008).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სხვადასხვა სფეროში დისკურსის გაგება განსხვავებულია, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში დისკურსის, როგორც ცნების განმარტება უნიფიცირებული არ არის. ამრიგად, დისკურსის ყველაზე გავრცელებულ განმარტებად შესაძლებელია ჩაითვალოს შემდეგი: დისკურსი გამონათქვამია, რომლის განზრახვაცაა ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე (ღარიბაშვილი, 2019). ამ განსაზღვრებაში ნათლად ჩანს დისკურსის მნიშვნელოვანი ლინგვისტური ფუნქცია.

განსხვავებულ სფეროში დისკურსის კვლევა მოსაზრებათა გამორიცხვის ნაცვლად ურთიერთშევესებას უწყობს ხელს. ფაქტია, სხვადასხვა სფეროს მეცნიერი დისკურსს სხვადასხვა მიმართულებით იკვლევს: სამეტყველო აქტების თეორია, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, დისკურსის კრიტიკული ანალიზი, ეთნოგრაფიული პრობლემები, ფსიქოლინგვისტიკა და ა.შ. ეს არაერთგვაროვნება მის მრავალმხრივ ბუნებაზე მიუთითებს.

დისკურსის თავისებურებას განსაზღვრავს კონტექსტი, რომელშიც დისკურსი ჩამოყალიბდა და ვითარდება. სხვადასხვა კონტექსტში დისკურსს გააჩნია განსხვავებული ლინგვისტური თავისებურებები. ამ პრინციპის თანახმად განათლების დისკურსაც აქვს თავისებურებები, რაზეც მომდევნო პარაგრაფში იქნება საუბარი.

## 1.2. სიტყვათა შერჩევა განათლების პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტების ტექსტებში

ენა სოციალური ინტერაქციის საშუალებაა. შესაბამისად, კომუნიკაციის დროს ენის გამოყენების ფორმებს თავად საზოგადოება აყალიბებს. ნებისმიერ კონტექსტში ენის შესწავლისას მნიშვნელოვანი ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ ვინ ქმნის დისკურსს და ვინ მეტყველებს კონკრეტულ გარემოებაში ამ ენაზე. ინდივიდი გასცემს ან იღებს ინფორმაციას. ამ კომპლექსურ პროცესში ხდება კომუნიკაციის ისეთი ფორმის ორგანიზება, რომელიც კონკრეტული სიტუაციისა და კონტექსტისთვის დამახასიათებელია.

ვინაიდან ენა სოციალური პრაქტიკაა, იგი სოციალური ინტერაქციის განმსაზღვრელიცაა. ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი კომუნიკაციის დროს ტექსტი მორგებულია კონკრეტულ სიტუაციას და კონტექსტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი ენას არგებს სიტუაციას ან კონტექსტს, ხოლო ენა თავის მხრივ ქმნის კონტექსტს. სოციალური ურთიერთობა მეტწილად ენის საშუალებით რეალიზდება. როგორც უკვე აღინიშნა, ენის საშუალებით იქმნება კონტექსტი, რომელიც ინდივიდის ქცევის ნორმებს აყალიბებს. ენა საზოგადოებიდან განცალკევებით არ არსებობს. შესაბამისად, სიტყვები მნიშვნელობას თავად არ ქმნის, მათი მნიშვნელობის კონსტრუირებას ადამიანი, როგორც სოციალური არსება, თავის გონებაში ახდენს (Woods, 2006). ენა შეიძლება ინტერაქციის ფორმის განმსაზღვრელიც კი იყოს, რადგან სოციალური ურთიერთობები მეტწილად ენის საშუალებით რეალიზდება. ენა კონტექსტში არსებული მექანიზმია, რომელიც ინდივიდების სამეტყველო ნორმებს აყალიბებს.

ენა თავისი ბუნებით *პერფორმაციულია*, მას სოციალიზაციის საშუალების ფუნქციასაც ანიჭებენ. მაგალითად, ენის გამოყენებით, ინდივიდები მოლაპარაკებებს აწარმოებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა ქმედებაზე ორიენტირებულია (ფარჯანაძე, 2010). ენის მეშვეობით ხდება ინფორმაციის კოდირება და რეალიზება. ენა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე კონკრეტული იდეებისა და ინტერესების პრაქტიკულად განხორციელების საშუალებაა. ვან დეიკი (1983) კონტექსტში გამოყენებული ენის სიტუაციურ და კულტურულ მოდელებს განიხილავს:

✓ *ენის სიტუაციური მოდელის მნიშვნელობა არის კომუნიკაციის ფორმა, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენ კონტექსტის ფორმატის ან საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მივმართავთ. იგი ამავდროულად პროსოდიკულ (ინტონაციურ) და არავერბალურ ელემენტებსაც მოიაზრებს, როგორებიცაა მახვილი, ინტონაცია, პაუზა, პროქსემიკა, კინესიკა. ასეთი ელემენტები ადრესატს უქმნის კომუნიკაციის და კონტექსტის (სიტუაცია) შესაბამისობის ასოციაციას;*

✓ *კულტურული მოდელი არის ნორმა, რომელსაც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრი იზიარებს. უკვე არსებული ნორმები ახალ სიტუაციებში მას ეხმარება მეტყველებასა და შინაარსის ინტერპრეტირებაში. კულტურული მოდელი არის ჯგუფის მიერ კონსტრუირებული ნორმა, რომლითაც ინდივიდი ხელმძღვანელობს. უფრო მეტიც, ასეთი მოდელები უკავშირდება სხვა გარემოსაც და იქმნება კომპლექსური მოდელების პარადიგმა, რომელიც ინდივიდების ყოველდღიური ქცევის ინსტრუქციად გადაიქცევა. კულტურული მოდელი არ არის უცვლელი, ინტერაქციის პროცესში ხდება მისი მოდიფიცირება.*

*ადამიანები ტექსტის შინაარსის კონსტრუირებას ახდენენ იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მათ ცხოვრებისეულ და პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. ყოველდღიურ ურთიერთობაში წარმოქმნილი ტექსტი დაკავშირებულია სოციალურ კონტექსტში არსებულ ნორმებთან.*

*ნებისმიერი სფეროსათვის დამახასიათებელი დისკურსის ანალიზი მოიაზრებს კონკრეტულ კონტექსტში/სიტუაციაში განვითარებული მეტყველების შესწავლას.*

*საგანმანათლებლო პროცესში ენას ცენტრალური როლი აკისრია. მისი საშუალებით ხდება სწავლება/სწავლა და შეფასება. სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ინდივიდები ენის მეშვეობით ახდენენ კომუნიკაციას.*

*განსაკუთრების მნიშვნელოვანია ენის ფუნქციური როლი ინსტიტუციური დისკურსის ფორმირებაში. მაგალითისთვის შესაძლებელია განვიხილოთ განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებშიც ენა ვალდებულების პირდაპირ, მკაფიო მნიშვნელობას გადმოსცემს. მაგალითად, „მასწავლებელს პროფესიულ სტანდარტში“ გამოყენებული ენა ემსახურება სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების, კონკრეტულად, მასწავლებლის*

საკვალიფიკაციო მოთხოვნების მკაფიო წარმოჩენას. მას გააჩნია კონკრეტული მახასიათებელი (ბრძანებითი კილო, პედაგოგიური ტერმინოლოგია). ასე მაგალითად, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის“ მიზნებში წერია: „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული ვალდებულებების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამონათვალის ერთობლიობაა, რომელთაც **უნდა აკმაყოფილებდეს** ყველა თანამდებობის მასწავლებელი“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი I, მუხლი 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №1014).

სტანდარტი მასწავლებლის პროფესიულ ვალდებულებებს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

ა) თანასწორობის პრინციპებზე აგებული ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნვა მოსწავლეებთან ერთად და მოსწავლეებს შორის;

ბ) კეთილგანწყობილი, მოსწავლეთა მამოტივირებელი გარემოს ორგანიზება უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად;

გ) ყველა მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში–სსსმ) მოსწავლეების) ჩართვა სასწავლო პროცესში;

დ) კულტურული მრავალფეროვნების, დემოკრატიის, სამართლიანობის, კანონის უზენაესობის აღიარება და პატივისცემა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II, მუხლი 4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №1014).

მოცემული დოკუმენტის ტექსტის ენა („უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნვა“; „კეთილგანწყობილი, მოსწავლეთა მამოტივირებელი გარემოს ორგანიზება“; „ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში“, „აღიარება და პატივისცემა“) არაა სარეკომენდაციო, არამედ იგი მასწავლებელს პირდაპირ ავალდებულებს რეგულაციების შესრულებას.

ანალოგიური, სავალდებულო ხასიათის მატარებელია, სხვადასხვა სახელმწიფოების განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტები. მაგალითად, ინგლისში მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ვკითხულობთ:

„A teacher must:

**Promote good progress and outcomes by pupils**

- a) **be accountable** for pupils' attainment, progress and outcomes;
- b) **be aware** of pupils' capabilities and their prior knowledge, and **plan teaching** to build on these;
- c) **guide pupils** to reflect on the progress they have made and their emerging needs;
- d) **demonstrate knowledge and understanding** of how pupils learn and how this impacts on teaching;
- e) **encourage** pupils to take a responsible and conscientious attitude to their own work and study (Teachers' Standards, Guidance for school leaders, school staff and governing bodies, 2013).

„მასწავლებელი ვალდებულია:

ხელი შეუწყოს მოსწავლეებს წარმატებასა და საუკეთესო შედეგების მიღწევაში

ა) იყოს ანგარიშვალდებული მოსწავლის მიღწევებზე, პროგრესსა და შედეგებზე; ბ) გააცნობიეროს მოსწავლის შესაძლებლობები და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს სასწავლო პროცესი; გ) დაეხმაროს მოსწავლეებს მიღწეული პროგრესისა და მომავალი საჭიროებების გააცნობიერებაში; დ) იცოდეს და აცნობიერებდეს, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე და რა გავლენას ახდენს ეს ცოდნა სწავლების პრაქტიკაზე; ე) წაახალისოს მოსწავლეები, რათა ისინი პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად მოეკიდონ საკუთარ შრომასა და სწავლას“ (Teachers' Standards, Guidance for school leaders, school staff and governing bodies, 2013 (თარგმნილი რ.შავაძის მიერ, შემდეგ- რ.შ.).

მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტებს, ბუნებრივია, დიდი გავლენა აქვს ინსტიტუციურ გარემოზე, რომელშიც ტექსტის ენა მოიაზრება, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ქმედებაში მომყვანი ინსტრუმენტი. დოკუმენტების ენას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რათა თანხვედრაში იყოს ინსტიტუციურ მიზნებთან. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი დოკუმენტების ენა პრაქტიკაში არ გამოიყენება მხოლოდ, როგორც მესიჯი, რომელსაც სოციალური კონტექსტი არ გააჩნია. საგანმანათლებლო კონტექსტები არასტაბილურია, შესაბამისად, დოკუმენტების ენაც დროში ცვალებადია. ამავდროულად, ადამიანის სწავლა-განათლება წარმოდგენილია სოციალური აქტივობის კომპლექსური სისტემით, რომელიც იზოლირებულად ინდივიდუალურ, ინტერაქციულ სოციალურ პროცესების დონეზე არ დაიყვანება.

განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსის სტილისტური სპეციფიკა მის მიღმა არსებული იდეოლოგიაა. ფრანგი მეცნიერი ბარტი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ენის გამოყენება და დისკურსის ქმედება იდეოლოგიასთან დააკავშირა. ეს ის ღირებულებებია, რომლებითაც ადამიანები ცხოვრობენ, რისიც ადამიანებს სწამთ და რითაც ადამიანები ხელმძღვანელობენ (დარიბაშვილი, 2019). დისკურსისა და იდეოლოგიის კავშირს ბარტის გარდა ჯ. ფისკიც შეეხო. იგი დისკურს სოციალურ სისტემად განიხილავს, რომელიც ორგანიზებულია კონკრეტული ინტენციის მნიშვნელობის წარმოსაჩენად და გავრცელებისთვის. მისი აზრით, დისკურსს თან სდევს იდეოლოგია. იგი ადამიანთა ჯგუფებს შორის შეთანხმებულად იქმნება, რომელიც იდეოლოგიურ ელემენტებს შეიცავს. დისკურსის შემქმნელები იდეოლოგიურ ელემენტს დიდი ძალისხმევით შედეგად ანიჭებენ საყოველთაო მიმღებლობის პრინციპს და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით მათ ავრცელებენ, რითაც მას ლეგიტიმაციას სძენენ (Fiske, 1991).

ამრიგად, ენა კომუნიკაციის ინსტრუმენტად აღიქმება, რომელიც განსაზღვრული მიზნების შესრულებას ემსახურება. ლინგვისტური მოვლენის შესწავლის მცდელობისას გასათვალისწინებელია ლინგვისტური ფაქტორებიც. ენის განხილვა არ უნდა მოხდეს, როგორც სტატიკური პროდუქტი. ენის ფუნქციური

თვალსაზრისით შესწავლა მრავალი ფუნქციის გამოვლენას გულისხმობს, რომელიც ურთიერთობის გარკვეული ტიპისთვის მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია განხილვა, თუ როგორ ხდება ენის ფუნქციების კომუნიკაციაში გამოყენება.

ნებისმიერ სოციალურ კონტექსტში ენას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ინდივიდები ენის საშუალებით ამყარებენ კომუნიკაციას, ცვლიან ინფორმაციას და ახდენენ თავიანთი განზრახვების რეალიზებას. საკლასო ოთახი, როგორც საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების საერთო სოციალური სივრცე, არის ფორმალური გარემო, სადაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები რეგულირებულია ოფიციალური დოკუმენტებით, რომლებიც პოლიტიკის შემქმნელთა განზრახვას, მიზანს ემსახურება.

თანამედროვე ეპოქაში სოციალურ კონტექსტში ენის მნიშვნელოვანმა როლმა არაერთი ავტორის ყურადღება მიიქცია. ბრიტანელი ენათმეცნიერის ნორმან ფეირკლაფის მოსაზრებით ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა სხვადასხვა სოციალური პროცესების შედეგია, რომელიც უკავშირდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აღმოცენებას (Fairclough, 1993). სოციალურ ცხოვრებაში ენის მნიშვნელობის ზრდამ, დისკურსის და საზოგადოების კონტროლის გააზრებულ მცდელობებს ხელი შეუწყო, რათა ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ მიზნებთან თანხვედრაში იყოს, რომელსაც ფეირკლაფი (1993) დისკურსის *ტექნოლოგიზაციას* უწოდებს. განათლების კონტექსტში დისკურსის ტექნოლოგიზაციას ფარჯანაძე შემდეგნაირად განმარტავს: „განათლების დისკურსის ტექნოლოგიზაცია არის დისკურსული პრაქტიკის სფეროში ინტერვენციის პროცესი. ამ ინტერვენციის მიზანი და ამოცანაა საგანმანათლებლო დაწესებულებების წიაღში დისკურსის ახალი წყობის ფორმირება, რათა მოხდეს ინსტიტუციური პრაქტიკისა და კულტურის რესტრუქტურირება“ (ფარჯანაძე, 2010:148).

სწავლება-სწავლის შინაარსი განათლების პოლიტიკიდან გამომდინარეობს და სახელმწიფო ხედვითაა განსაზღვრული. საგანმანათლებლო პოლიტიკა მოქმედებს,

როგორც სახელმწიფო დონეზე, სადაც პოლიტიკის ფორმულირება ხდება, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზეც, სადაც პოლიტიკის რეალიზება ხდება. სწორედ ეს ფაქტორები აყალიბებენ პოლიტიკურ კონცეფციას, როგორც დისკურსის სოციალურ პრაქტიკას.

განათლების სფეროში პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების მიზანი და ფუნქციაა შექმნას კონკრეტული სფეროსთვის მისაღები ნორმები, რისი საშუალებითაც მიიღწევა დასახული ეროვნული მიზნები. საკანონმდებლო რეგულაციები სკოლაში, როგორც ინსტიტუციურ გარემოში, ქმნის ურთიერთობის ფორმას, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული ყველა ინდივიდის ურთიერთობას განსაზღვრავს (Taubman, 2009). მარტივად რომ ვთქვათ, განათლების პოლიტიკის ფორმირება საგანმანათლებლო პროცესს მოიაზრებს, როგორც დასახული მიზნების მისაღწევ აუცილებელ საშუალებას. საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები არის კონკრეტული მიზნების მისაღწევი მითითებების გამოხატულება, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ საზოგადოებას მოეთხოვება. შესაბამისად, ამ დოკუმენტების ტექსტების შესწავლის მიზანი არის საკანონმდებლო რეგულაციის ტექსტში არსებული ავტორისეული განზრახვის ანალიზის მცდელობა.

განათლების პოლიტიკის დოკუმენტების დისკურსი საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. განათლების პოლიტიკისა და ენის ურთიერთკავშირზე საგანმანათლებლო მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი ქმნის შესაძლებლობას, რომლის საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ როგორ არის რეგულაციები კონსტრუირებული, დადგენილი, შექმნილი ენობრივ დონეზე. ენა, როგორც მედიუმი, ქმნის ინფორმაციის მიღებისა და გაცემის შესაძლებლობას, რისი საშუალებითაც ინდივიდი ან კონკრეტული ჯგუფი ახდენს სოციალურ კონტექსტში მიზნის რეალიზებას. ნაშრომის ამ კონკრეტული ნაწილის მიზანი სწორედ საგანმანათლებლო პოლიტიკური დოკუმენტების საფუძველზე პოლიტიკური დისკურსის ამ ფუნქციის შესწავლაა.



განათლების პოლიტიკის დოკუმენტი სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების პრაქტიკულ ქმედებაში რეალიზების საშუალებაა. განათლების პოლიტიკის დოკუმენტები არ არის მხოლოდ მარტივი განზრახვის დეკლარირება. პოლიტიკის დოკუმენტები შეიცავს სემანტიკურ ძალას (ფარჯანაძე, 2010). ეს კომპონენტი კი გავლენას ახდენს განათლების პოლიტიკის დოკუმენტების ფორმირებაზეც, რომელიც კონკრეტულ სოციო-ეკონომიურ კონტექსტშია კონსტრუირებული. მასში დასახული მიზნების და ამოცანების შესაბამისად ხდება სახელმწიფოს პოლიტიკის პრაქტიკაში ტრანსფორმირება.

განათლების პოლიტიკური და მარეგულირებელი დოკუმენტები არის საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების კომპეტენციების გამოჯვანის და სამოქმედო არეალის განსაზღვრის საშუალებები. მათი მეშვეობით ხდება პოლიტიკის შემოქმედთა, საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა და სააღმზრდელო პროცესებში ჩართული პირების ქმედებების რეგულირება. განათლების პოლიტიკის შემქმნელი არის ის, ვინც ქმნის პოლიტიკურ დისკურსს, ხოლო მომხმარებელი არის პირი, რომელიც ვალდებულია პოლიტიკური ტექსტების ინტერპრეტაციასა და მიზნების განხორციელებაზე. ამგვარი ინტერპრეტაციით ხდება მარეგულირებელი დოკუმენტის ტექსტში არსებული განზრახვის გამოვლენის მცდელობა.

განათლების პოლიტიკის დოკუმენტი გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაზე. პოლიტიკური დოკუმენტის ენა ფორმალურია. სიტყვები სიფრთხილით შერჩეულია, რომლებიც პოლიტიკურ დისკურსთან არის შესაბამისობაში. განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში ენის ფუნქცია მრავალფეროვანია. შესაბამისად განზრახვის გამომსახველობით საშუალებათა სწორ შერჩევას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. ოფიციალური დოკუმენტის ენა ისეთ მახასიათებლებს შეიცავს, რომელებიც მიესადაგება დოკუმენტის დანიშნულებასა და ფუნქციებს. სიტყვების სიზუსტე, ლაკონიურობა და ლოგიკურობა ოფიციალური მეტყველების განმსაზღვრელი მოთხოვნილებაა.

როგორც აღინიშნა, განათლების პოლიტიკის დოკუმენტის ავტორების მიერ ტექსტში სიტყვები მიზანმიმართულად, კერძოდ, კი პოლიტიკური შეხედულების ან რეგულაციის გავლენის გაძლიერების მიზნით არის შერჩეული. საგანმანათლებლო მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტების ლექსიკური ერთეულების ანალიზი საინტერესოა არა მხოლოდ ენობრივი ქსოვილის შექმნის პროცესში მათი ფუნქციის შესასწავლად, არამედ მათი მეშვეობით ტექსტის ავტორების მიერ გამოხატული ინტენციის ანალიზის თვალსაზრისითაც.

ნაშრომის ამ ნაწილში შევეცდებით განსაზღვროთ, ადრესატზე ზემოქმედების მიზნით თუ როგორ არის სიტყვები შერჩეული ოფიციალური დოკუმენტის ტექსტში. აღნიშნული კონცეპტის განსაზღვრის დროს ერთ-ერთი საუკეთესო მიდგომა პარადიგმულ ნიმუშებზე (Paradigm Cases) დაკვირვებაა. პარადიგმული ნიმუშების საფუძველზე დანიელ ო'კიფი (2002) მიიჩნევს, რომ ტექსტში არსებული დარწმუნების პარადიგმა ქვემოთ მოცემული ლექსიკური ერთეულების ელემენტებს შეიცავს:

1. წარმატება (დავარწმუნეთ, მაშასადამე წარმატებულად გავართვით თავი დასახულ ამოცანას);
2. ამოცანა (განვსაზღვრეთ, რისი მიღწევაც გვსურს);
3. თავისუფლება, ადამიანთა თავისუფალი ნება;
4. მიზანი;
5. ცვლილება.

პოლიტიკური დოკუმენტების დისკურსის ანალიზისას გამოიკვეთა, თუ რატომ არის ენა საგანმანათლებლო პოლიტიკის კვლევისას არსებითად მნიშვნელოვანი. პოლიტიკური დოკუმენტები, როგორც დისკურსი, გაცილებით მეტია, ვიდრე თემებისა და პრობლემების უბრალო ჩამონათვალი. ქვემოთ განვიხილავთ სახელმწიფო დოკუმენტებს, რომლებიც წარმოაჩენენ განათლების პოლიტიკის დისკურსულ თავისებურებებს.

2004 წლიდან სახელმწიფო იწყებს განათლების სისტემის გარდაქმნას, როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. სახელმწიფომ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მნიშვნელოვანი პაკეტი შეიმუშავა.

საქართველოში მოქმედი განათლების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო სისტემაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ცვლილებებს ასახავს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ. განკარგულება N 8, 2004 წლის 14 ოქტომბერი).

განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში სახელმწიფომ უმთავრეს მიზნად განათლების პოლიტიკის განსაზღვრა დაისახა. „...*საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებებიც...*“ (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს მთავრობის დადგენილება №84).

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, ცალსახადაა გაჟღერებული სახელმწიფოს პოლიტიკური მიზანი - მომავალ თაობებში ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება: „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“. მიზანი აბსტრაქტულია. მასში არ იკვეთება განათლების პოლიტიკაში საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვა. ტექსტი არ შეიცავს კონცეპტუალურ ხედვებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ აღზრდის მიზნის განმსაზღვრელი, სახელმწიფოს მიერ გაჟღერებული ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება, ზოგადი და აბსტრაქტულია, მასში არ არის გაცხადებული

ქართული სახელმწიფოს კონკრეტული ხედვები და მიზნები მომავალი თაობის განათლების საქმეში.

განათლების პოლიტიკის დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანია 2017 წლის 7 დეკემბრის მთავრობის №533 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, განათლების, მეცნიერებისა და გადამზადების სფეროს მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგია მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროს: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგიის დოკუმენტში დაცულია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების (LLL) პრინციპი და განათლების სხვადასხვა დონეებს შორის კავშირის უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტი სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის დისკურსის მთავარი ინდიკატორია. შესაბამისად, მისი ანალიზი მნიშვნელოვნად დაგვეხმარება წინამდებარე ნაშრომში დასახული ამოცანების მიღწევაში.

დოკუმენტი განსაზღვრავს განათლების სფეროში განსახორციელებელ კომპლექსურ ცვლილებებს და მეცნიერების განვითარების სტრატეგიებს. დოკუმენტში გაწერილია, როგორც სტრატეგიული, ასევე სპეციფიკური მიზნები და ამოცანები, მათი მიღწევის გზები, შეწონილია განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, იდენტიფიცირებულია განმახორციელებლები და განსაზღვრულია მონიტორინგის მექანიზმები. პოლიტიკური დოკუმენტი საკითხთა ფართო ჩამონათვალს მოიცავს: გამოკვეთილია სახელმწიფოს მიერ წარმატებული პროექტების ფართო ჩამონათვალი; განათლების სექტორის დაფინანსების ზრდა; სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა; განათლების სექტორში ჩართული პირებისთვის უკეთესი გარემოს შექმნა და ა.შ. ეს ჩამონათვალი წარმატებული მართვის წარმოჩენას ემსახურება, რაც თავის მხრივ მკითხველთა აუდიტორიას ეფექტური პოლიტიკის არსებობაში არწმუნებს.

პოლიტიკის დოკუმენტების ტექსტი იშვიათად არის ერთი ავტორის მიერ შექმნილი ან ერთი საკონსულტაციო პროცესის პროდუქტი. ტექსტები სხვადასხვა საფეხურზე განსჯისა და კომპრომისის შედეგია (საკანონმდებლო ინიციატივიდან მის კანონად მიღებამდე). თითოეულ საფეხურზე მისი განხილვისას ხდება ტექსტის განსხვავებული ინტერპრეტირება, ხოლო საბოლოოდ ყალიბდება ისეთი შინაარსით, რომელიც პოლიტიკური მიზნის რეალიზებას უწყობს ხელს.

დოკუმენტის ფორმალური სტილი ხაზს უსვამს განხილული საკითხების მნიშვნელობას და სრულ შესაბამისობაშია ლიბერალურ საგანმანათლებლო დისკურსთან. ტექსტი შედგენილია მარტივი, მაგრამ აკადემიური ლექსიკით.

დოკუმენტი იწყება წარმატებული რეფორმის მოკლე ანალიზით, რაც თავიდანვე პოზიტიურად განაწყობს მკითხველს და აჩენს ნდობის ფაქტორს: „...ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მსოფლიო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

სტრატეგია მოიცავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის ყველა მიმართულებას: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები.

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტის დასაწყისში გვხვდება სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული წარმატებული პროექტების მკაფიო ჩამონათვალის აღწერა. წამატებულად განხორციელებულ პროექტებზე აქცენტირება იწვევს მიღწევების წარმოჩენას, სადაც სიტყვა *წარმატება* ან *პროგრესი* ტექსტის ავტორის მიერ მიზანმიმართულად შერჩეულია მკითხველთა აუდიტორიის

პოზიტიური განწყობის მოსაპოვებლად, ხოლო სისტემის გამოწვევებზე და ამოცანებზე გაკეთებული აქცენტები არის სტრატეგია, რომლის მიზანი განათლების პოლიტიკური ხედვების სამომავლო პერსპექტივაში ადრესატის დარწმუნებაა.

*„...საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და 131 პარტნიორ ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს წარმატებული პროექტების კუთხით. შედეგად, 2015 წლიდან 1500-ზე მეტი ქართველი სტუდენტის სწავლა დაფინანსდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

*„...მიმდინარეობს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კამპუსის განვითარება და კურიკულუმის შემუშავება მიუნხენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რაც გახდება წარმატების საფუძველი არამხოლოდ ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზე...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

*„...ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მსოფლიო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

სტრატეგიის დოკუმენტში დაცულია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების (LLL) პრინციპი და განათლების სხვადასხვა დონეების შორის კავშირის უზრუნველყოფა. *„...განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგიის დოკუმენტში დაცულია მთელი ცხოვრების მანძილზე*

განათლების (LLL) პრინციპი და განათლების სხვადასხვა დონეებს შორის კავშირის უზრუნველყოფა. სტრატეგიაში აღწერილია, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული და განვითარებული საქართველოს განათლების სისტემა, რათა ამ სისტემამ წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინსვლაში, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში, დასაქმების ზრდაში, ცვალებად სამყაროში ინდივიდების თვითრეალიზაციისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

სტრატეგიაში აღწერილია, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული და განვითარებული საქართველოს განათლების სისტემა, რათა ამ სისტემამ წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინსვლაში, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში, დასაქმების ზრდაში, ცვალებად სამყაროში ინდივიდების თვითრეალიზაციისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში: „...ინდუსტრიის განვითარების და ტექნოლოგიური მიღწევების პარალელურად, ჩნდება ახალი უნარების შეძენის აუცილებლობა, შესაბამისად, მუდმივად ცვალებადი გარემო მოითხოვს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომების გამოყენებას...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

აღნიშნულ დოკუმენტში თხრობის სტილი ოფიციალური, მაგრამ გულწრფელია. გარკვეული მიმართულებით მიღწეული წარმატების მიუხედავად, სისტემა აღიარებს სირთულეებს და მიღწევების აღწერის შემდეგ მოცემულია გამოწვევები, რომლებიც განათლების სისტემაში გადასაჭრელი საკითხებია. ამ ნაწილის ტექსტში გამიზნულად შერჩეულია სიტყვები, *ამოცანა*, *მნიშვნელოვანი ამოცანა* და ა.შ:

„...2016 წელს დაიწყო “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების” კონცეფციის პილოტირება. ამავე წლიდან იწერება დუალური საგანმანათლებლო პროგრამები, რამაც საშუალოვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. დუალური პროგრამების დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მათი ხარისხის უზრუნველყოფა...“(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

„...ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირება და საქართველოში არსებული კვალიფიკაციების სისტემის დაახლოება ევროპულ სისტემასთან უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად...“(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

„...ვინაიდან კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სისტემა საკმაოდ სუსტია, კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სერვისების გაძლიერება სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა...“(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე გამოწვევებმა განათლების სისტემას სხვა პირობები შესთავაზა. ამ პირობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი თავისუფლების კონცეფციაა. დემოკრატიული სახელმწიფოების განათლების პოლიტიკური იდეოლოგია თავისუფალი ადამიანის, მოქალაქის ჩამოყალიბების ხელშეწყობას მოიაზრებს. ქართულ კონტექსტში თავისუფლების კონცეფცია, როგორც განათლების პოლიტიკის ნაწილი, მკვეთრად წარმოჩენილია სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის დისკურსში, რაც თავის მხრივ მოქალაქის დარწმუნებაა იმასთან დაკავშირებით, რომ თავისუფალი ადამიანის აღზრდა სახელმწიფოსთვის ღირებული პრიორიტეტია. შესაბამისად, თავისუფლება, როგორც სახელმწიფოსთვის მთავარი ღირებულება, გამოკვეთილია როგორც განათლებისა და მეცნიერების



ერთიანი სტრატეგიაში, ასევე განათლების მარეგულირებელ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებშიც.

*„...საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს რეალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, მზად არის აკადემიური, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობებისთვის, შეუძლია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აქტიური და კონკურენტუნარიანი მოქალაქე...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

*„...უმადლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, მათ შორის, მსჯავრდადებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, მათ შორის, მსჯავრდადებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში...“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ N688).*

*„...საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა...“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330).*

განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში საინტერესოაა წამოწეული პერსპექტიულ მომავალთან დაკავშირებული საკითხებიც. სახელმწიფო წარსულის მიღწევების ფონზე გამოხატავს გრძელვადიან პერსპექტივას განათლების პოლიტიკის დისკურსში. განათლების პოლიტიკური დოკუმენტების მკითხველთა აუდიტორიის დარწმუნება პერსპექტიულ მომავალთან დაკავშირებით სახელმწიფო იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, დოკუმენტებში სიტყვები **მიზანი**, **ხარისხიანი განათლება** და ა.შ. ბუნებრივია, გამიზნულად გამოყენებულია,

რათა ადრესატებს შეუქმნას სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიურ მომავალზე ზრუნვის განცდა, რომელიც არწმუნებს მათ უკეთესი მომავლის პერსპექტივაში.

*„...განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა სისტემამ თითოეული პიროვნება მოამზადოს მომავალი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

*„...ზოგადი განათლების მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადება...“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330).*

სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, საგანმანათლებლო სისტემა ჯერ კიდევ დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე, რომელთა დაძლევა განათლების ეროვნული სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს. პოლიტიკის დოკუმენტში არსებული რეალობის უკეთესობისკენ ცვლილების შეგნებული შეტყობინებები ინდივიდებში იწვევს განათლების არსებული პოლიტიკის მიმართ ნდობას.

*„...გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა. სამართლებრივ რეგულირებას და სისტემის გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

განათლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. შესაბამისად

ხარისხიანი განათლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია.

თანასწორობის პოლიტიკას საგანმანათლებლო პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით სეგრეგაციის პრობლემას მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სეგრეგაცია ემატება. ეს ყველაფერი ერთიანად ქმნის უთანასწორობას, რომელიც ნეგატიურ ეფექტს იწვევს. მოსწავლეთა საცხოვრებლების შეუთავსებლობის პრობლემის მოგვარებას სახელმწიფო ცდილობს სხვადასხვა რეფორმის მეშვეობით, მათ შორის დაფინანსების განსხვავებული ფორმით და სხვადასხვა პოზიტიური დისკრიმინაციული სარგებლის მიწოდებით. ყველა ეს ინიციატივა თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის პრობლემის გადასაჭრელად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულია ქართულ კონტექსტში არსებული განათლების პოლიტიკის დოკუმენტების ამონარიდები, რომლებიც განათლების მიღების თანაბარი უფლებების საკითხებს უკავშირდება. თითოეულ ამონარიდში წარმოჩენილია საქართველოს საერთაშორისო შეთანხმების და საქართველოს კანონების ტექსტებში მიზანმიმართულად გამოყენებული სიტყვები, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ სახელმწიფოს პოლიტიკას და ვალდებულებას:

*„...მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების განხორციელების თანდათანობით მიღწევის მიზნით, კერძოდ:*

- ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;*
- ბ) ხელს უწყობენ საშუალო განათლების, როგორც ზოგადის, ისე პროფესიულის, სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობის ყველა ბავშვისათვის და აგრეთვე მიმართავენ ისეთ საჭირო ღონისძიებებს, როგორცაა უფასო განათლების შემოღება და, აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა.“ ... (კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ).*

აღნიშნულ დოკუმენტზე ხელისმომწერი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ვალდებულებას იღებს ყველა მოსწავლისათვის თანაბარ პირობებში განათლების ხელმისაწვდომობას. სახელმწიფოები აღიარებს ვალდებულებას და ამ ვალდებულების მკაფიოდ წარმოსაჩენად ტექსტის შინაარსში მიზანმიმართულად არის წარმოჩენილი სიტყვები როგორცაა: *თანაბარი შესაძლებლობები, უფასო, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ფინანსური დახმარების გაწევა და ა. შ.*

სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკა განათლების უფლების და საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის შესახებ განათლების პოლიტიკურ დოკუმენტის ტექსტების დისკურსშიც არის გამოხატული:

*...ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე განათლების ხარისხი გაუმჯობესდება და უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების, სპეციალური საჭიროებების, სოციალურად დაუცველი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები და მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებისთვის... (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

*...განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა სისტემამ თითოეული პიროვნება მოამზადოს მომავალი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას...“(კანონი ზოგადი განათლების შესახებ N 1330).*

ნეო-ლიბერალური დისკურსი გლობალიზაციას წარმოადგენს ფაქტს, რომელიც ეფექტურობის გაზრდის და ადაპტირებისათვის „ცვლილებას“ და რეფორმებს მოითხოვს, რათა კაპიტალიზმის თანამედროვე გამოწვევების ფონზე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პიროვნება ჩამოაყალიბდეს.

*„...გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი შესაძლებლობები განათლებისა და დასაქმების სფეროში. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უპასუხოს შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებებით განათლების ყველა დონეზე...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

განათლების პოლიტიკის დოკუმენტების ტექსტში მიზანმიმართულად გამოყენებული სიტყვები: *გლობალიზაცია, გამოწვევა, ცვლილებები*, დუალური შინაარსის მატარებელია. ერთ შემთხვევაში ისინი გამოხატავენ სახელმწიფოს ხედვას, რომ გლობალიზაცია თანამედროვე გამოწვევაა და სახელმწიფოს მხრიდან განათლების პოლიტიკაშიც მკაფიოდ გამოკვეთილია, ხოლო მეორე მნიშვნელობა არის შეტყობინება ადრესატისთვის, რომლითაც მიანიშნებს, რომ პოლიტიკის განმახორციელებელმა პირმაც თანამედროვე კონკურენტული გარემო, როგორც გამოწვევა სწორად აღიქვს.

*„...სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა. სამართლებრივ რეგულირებას და სისტემის გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

აღნიშნული ამონარიდის სტრუქტურული ფორმა მიმართულია პრობლემის მოგვარებისკენ. კონკრეტულად, პრობლემად მიჩნეულია გლობალიზაციის გამოწვევა, ხოლო მოგვარების ხერხი - *ცვლილება*. სიტყვა ცვლილება მნიშვნელოვან კონოტაციას ატარებს, კერძოდ, იგი სიახლისკენ სწრაფვის და გამოწვევასთან ბრძოლის შინაარსს შეიცავს. ეს არის დოკუმენტის მასტიმულირებელი ასპექტი. ეს არის კარგი მაგალითი, რომელსაც ნიკოლი (Nicoll, 2001) დამარწმუნებელ ტექსტს უწოდებს. აქვე არის მნიშვნელოვანი ის გარემოება, რომ ტექსტის შინაარსი მაქსიმალურად დირექტიული სახისაა და მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ადრესატი, თუ ვინ არის ცვლილების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

*„...სწავლა-სწავლების პრიორიტეტი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი და აქტიური სწავლების (კვლევაზე და პროექტზე ორიენტირებული) მეთოდების გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პოპულარიზაციას, ადამიანის უფლებების სწავლებას და გააზრებას, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლებას, გლობალური და ციფრული მოქალაქეობის, წიგნიერების (მათ შორის მედია წიგნიერების), ასევე, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფორმირებას, ინტერკულტურულ განათლებას, სამეწარმეო და საბაზისო შრომითი უნარების განვითარებას...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

თანამედროვე ეპოქაში განათლების სისტემების გამოწვევაა ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც გლობალიზაციის შედეგად დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევებით და ღირებულებებით გამოირჩევა. ამიტომ განათლების პოლიტიკის დოკუმენტში ფრაზები, როგორებიცაა - *მოსწავლეზე ორიენტირებული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, ინტერკულტურულ განათლებას, შრომითი უნარების განვითარებას* - წარმოაჩენს სახელმწიფოს განათლების პოლიტიკურ იდეოლოგიურ ხედვას და დასავლური ლიბერალური ღირებულებებისაკენ სწრაფვას.

სახელმწიფო განათლების პოლიტიკის დისკურსში ინდივიდის ღირებულებით ნაწილზე მნიშვნელოვანი აქცენტები კეთდება, რომელიც ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან ერთად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრების საკითხს მოიცავს. დემოკრატიული პრინციპების დაცვა, უსაფრთხო და ტოლერანტული გარემო თანამედროვე დისკურსის მახასიათებელია. ტექსტი დეკლარაციულია და მომავალზე ორიენტირებული:

*„...საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.*

*ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).*

საქართველოში ზოგადი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები ქვეყნის მთავარ კანონთან, კონსტიტუციასთან თანხვედრაშია და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ემსახურება:

*...საქართველოს სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:*

#### 1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა

*„საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებებიც...“ (საქართველოს*

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

განათლების მარეგულირებელი თითოეული სამართლებრივი ნორმისა თუ აქტის განხილვა არ არის წინამდებარე ნაშრომის მიზანი, თუმცა საინტერესოდ მიგვაჩნია, განვიხილოთ ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტები, რომლებიც განათლების დისკურსის შესახებ მსჯელობის საშუალებას მოგვცემს. ჩვენი მცდელობაა, პარადიგმული ნიმუშების საფუძველზე განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტების ლექსიკური ერთეულების მიზნობრიობის გამოვლენა.

განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტების შემქმნელებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორ მოხდება რეალიზატორის მიერ ტექსტის ინტერპრეტირება. შესაბამისად, დოკუმენტების ტექსტის ინტერპრეტაციის დროს არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ტექსტთან დაკავშირებით გამოვლინდება აზრთა სხვადასხვაობა. ასეთ კონკრეტულ სიტუაციაში მიიჩნევა, რომ მკითხველს, რომელიც ამავდროულად პოლიტიკის გამტარებელია, ტექსტში მოცემული ინფორმაცია არასწორად ესმის (Bloome & Beauchemin, 2016). ხოლო, საგანმანათლებლო დოკუმენტების ტექსტის არასწორი ინტერპრეტაცია ქმნის სასწავლო პროცესში დასახული მიზნებიდან აცდენის რეალურ შესაძლებლობას. ასევე რთულია, ზუსტად განისაზღვროს რეალიზატორის მიერ ტექსტის არასწორი ინტერპრეტაცია, რამდენად აძლევს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას.

განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტისადმი დამოკიდებულება ორაზროვანია. განათლების დარგში ჩართულ პირებს, კერძოდ, მასწავლებლებს და სკოლის დირექტორებს მიაჩნიათ, რომ ხშირად ეს დოკუმენტები ქმნის ჩარჩოებს, რომლებიც თავისუფალ, შემოქმედებით საქმიანობას ზღუდავს. მაშინ, როცა პოლიტიკური ტექსტის შემქმნელების მოსაზრებით მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევს (ფარჯანაძე, 2010).



ასეთი გაუგებრობა ხშირად ახასიათებს წერილობით დისკურსს, როცა ტექსტის შემქმნელი ვერ ან არ ითვალისწინებს მკითხველის აზრს.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც პირდაპირ და მკაფიო შეტყობინებით განსაზღვრავს განათლების სისტემაში არსებული საშუალო საფეხურის ინსტიტუციური ერთეულის რეგულირების წესს:

*„...ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს...“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N 1330).*

საგანმანათლებლო დაწესებულებები არის გარემო, რომელშიც ინდივიდები უშუალოდ საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში მოქმედებენ, ხოლო რეგულაციების ტექსტი, როგორც დისკურსი, ქმნის კონტექსტის შესაბამის ნორმებს.

საგანმანათლებლო სფეროში ჩართული საზოგადოების (რომლებიც პოლიტიკური დოკუმენტების მომხმარებლები არიან) ინსტიტუციურ სივრცეში გამოხატული ქცევები და მიღებული გადაწყვეტილებები მარეგულირებელ დოკუმენტებში არსებული მიზნების შესაბამისია. ასე მაგალითად, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია მასწავლებლის სავალდებულო პროფესიული ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრება:

*„...მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში – „ეთიკის კოდექსი“) ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ*

*მოეთხოვება.*“ (მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ).

თანამედროვე საგანმანათლებლო კონტექსტმა, საბჭოურისგან განსხვავებით, არარეპრესიული დისკურსის გამოვლენის საჭიროება წარმოქმნა. საგანმანათლებლო დაწესებულებების დემოკრატიულ გარემოდ გადასაქცევად საჭირო გახდა ახალი საგანმანათლებლო ეპისტემოლოგიის დისკურსის ფორმირება, რომელიც სასწავლო გარემოს ტრადიციული გარემოსგან გამოარჩევდა.

*„...სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას. სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით... (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533)*

ფარჯანაძეს (2010) განმარტებით, განათლების სფეროში დისკურსის კვლევაზე გავლენა სამმა თეორიულმა მიმდინარეობამ მოახდინა. 1) ფსიქოლინგვისტიკის გამოჩენამ - რომელიც ბიჰევიორისტული მიდგომისაგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ ინდივიდი დაბადებიდანვე შემოქმედებითად იყენებს ენას და ეს მის მიერვე შექმნილი ტექსტის გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა. 2) სოციოლინგვისტიკა და კომუნიკაციის ეთნოგრაფია - რომლებმაც ენის გამოყენების სოციალური მხარე წინ წამოწია. 3) სოციალური ისტორია და სტრუქტურული ანალიზი - რომლის მიხედვითაც დისკურსს კონსტრუქციული ბუნება გააჩნია. როგორც ფართო ასევე ლოკალურ სოციალურ ფორმირებისას ტექსტი განსაზღვრავს ადამიანის როგორც სუბიექტის ადგილს. რაც ნიშნავს, რომ ინსტიტუციურ კონტექსტში მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსი აგებს *იერარქიებს*, რომლითაც ადამიანები თავთავიანთ ადგილს იმკვიდრებენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსის ანალიზი, რათა გამოიკვეთოს მარეგულირებელი დოკუმენტის ტექსტების როლი

საგანმანათლებლო პოლიტიკისა და წესების ჩამოყალიბებაში. ასევე ცოდნის მიწოდების პროცესში, როგორ ხდება ინდივიდების სოციალურ იერარქიაში ადგილის დამკვიდრება. კონკრეტული ასპექტი ასახულია განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში:

*სკოლის დირექტორი:*

*„...ა) ახორციელებს სკოლის მართვას; ბ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში, გარდა ამ კანონითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა; გ) სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის შინაგანაწესს და სკოლის ბიუჯეტს; დ) უფლებამოსილია მოწვეული მასწავლებლისა და შემცვლელი მასწავლებლისათვის დაადგინოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ე) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში...“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330. მუხლი 43)*

მარეგულირებელ დოკუმენტებში ადმინისტრაციული პოზიციების შესახებ ტექსტები ქმნის ინდივიდების კატეგორიზაციას და მოქმედების არეალის ჩარჩოებს. ხოლო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართული საზოგადოება თანამონაწილეობს ინსტიტუციური კონტექსტის შესაბამის დისკურსის ფორმირებაში.

განათლების პოლიტიკის შექმნის პროცესი მოიაზრება, როგორც კონკრეტული მიზნისკენ ბრძოლა, სადაც ენას, უფრო კონკრეტულად დისკურსს, ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად პოლიტიკური დოკუმენტების შესწავლისას აქცენტი კეთდება ტექსტებსა და სოციალურ კონტექსტს შორის ურთიერთმიმართებაზე. ამავდროულად მნიშვნელოვანია ლოკალურ კონტექსტში დისკურსის გამოყენების იდეოლოგიური შედეგების შესწავლა. ამგვარად, დისკურსის ანალიზის თანამედროვე მიდგომების ამოცანაა კონკრეტულ კონტექსტში ენის გამოყენების მოდელებთან ერთად დისკურსი დააკავშიროს ლოკალურ სოციალურ ფორმაციებთან. მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსის ანალიზისას

საინტერესო ფაქტორია ტექსტებში ძალაუფლების მანიფესტაცია და ყოველდღიურ საგანმანათლებლო პროცესებზე მათი გავლენა.

თანამედროვე ეპოქაში დისკურსი აღიქმება არა როგორც ტექსტის ავტორის არტეფაქტი, არამედ როგორც სოციალურ კონტექსტში ინდივიდების ფორმირების საშუალება (ფარჯანაძე, 2010). ენის კვლევისას მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ასპექტს, რომელიც ენაშია რეალიზებული, ამავდროულად ყურადღება ექცევა დისკურსს, როგორც ინდივიდის ჩამომყალიბებელ კატეგორიას. დისკურსადმი ასეთი მიდგომის თანახმად, განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტები პიროვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ინდივიდის ღირებულებით ელემენტებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ახალმა ეკონომიკურმა სისტემამ გავლენა მოახდინა პოლიტიკური სტრუქტურების ახლებური ეტაპის ფორმირებაზე. წარმოიქმნა ახალი ნეოლიბერალური პოლიტიკური დისკურსი. რომლის თანახმად კონცეფცია მზრუნველის სახელმწიფო ჩანაცვლდა ახალი კონცეფციით „ახალი მენეჯერიზმი,, (ფარჯანაძე, 2010). გლობალიზაციამ და ნეოლიბერალურმა პოლიტიკურმა დისკურსმა განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს არ აქვს მხოლოდ მზრუნველის როლი. ახალმა პოლიტიკურმა ხედვამ და დისკურსმა დეცენტრალიზაციის ფორმირებას ხელი შეუწყო. უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაცია ერთ-ერთი მთავარი რეფორმა იყო, რომლის საფუძველზე სახელმწიფომ მმართველობითი პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო ერთეულების ადმინისტრაციებზე გადაანაწილა, რომლებსაც მენეჯმენტის სადავეები გადაეცათ. ამისათვის დაიწყო პოლიტიკური შემზადება და სკოლის ადმინისტრაციის შესაბამისი გადამზადება, რომელიც სტრატეგიის დოკუმენტში აისახა:

*„...სასკოლო მენეჯმენტის გაძლიერების მიზნით, სკოლის დირექტორებს, ფასილიტატორებსა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრების ხელმძღვანელებს, როგორც საგანმანათლებლო ლიდერებს, უტარდებათ ინტენსიური ტრენინგები ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებული „ლიდერობის აკადემიის“*

ფარგლებში...(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533)

სკოლების დეცენტრალიზაციამ სკოლის დირექტორს, როგორც აკადემიურ ლიდერს, ახალი ვალდებულებები დააკისრა:

*„...დირექტორი, როგორც საგანმანათლებლო ლიდერი უნდა უზრუნველყოფდეს სკოლაში ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის და უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, რაც გულისხმობს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი, ინკლუზიური, წამახალისებელი, თანამშრომლობითი და გენდერულად დაბალანსებული გარემოს შექმნას, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას, ადეკვატურად მაღალი მოლოდინების დასახვას და სწავლის შედეგების ეფექტურობის და ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებას... (საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №15/ნ).*

მნიშვნელოვანია დისკურსის გავლენა სწავლება-სწავლის პროცესზე (ცოდნის მიღება, რწმენა-წარმოდგენების, მოსაზრებების, დამოკიდებულებების ჩამოყალიბება; ემოციური და კოგნიტური ცვლილებები და ა.შ.).

ზოგადი განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტების შინაარსი განსაზღვრავს მასწავლებლისა და მოსწავლის იდენტობებს. ამ დოკუმენტების ტექსტები შეიცავს არამარტო მასწავლებლების უფლებებსა და ვალდებულებებს, არამედ მასწავლებლის ავტორიტეტულ როლს განათლების პოლიტიკის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს სხვა პირებთან შედარებით პრივილეგირებულს ხდის. ბუნებრივია, ძალაუფლებრივი ურთიერთობები არ არის განცალკევებული, იგი შერწყმულია იმ საკლასო კონტექსტში, სადაც ხორციელდება მასწავლებლისა და მოსწავლის პრაქტიკული ურთიერთობები (Mayer, 2008). შესაბამისად, დოკუმენტების

შესწავლისას ყურადღება ეთმობა არამხოლოდ უფლებებსა და შეზღუდვებს, არამედ ურთიერთობის პრაქტიკულ ფორმასაც, რომელიც ამ დოკუმენტებით რეგულირდება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, განვსაზღვროთ თუ ვინ ქმნის სასკოლო დისკურსს. სასკოლო დისკურსის შემქნელი ინდივიდები არიან საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტების ტექსტის ავტორები, ხოლო სასწავლო პროცესში ჩართული ინდივიდების ჯგუფი პასუხისმგებელია ტექსტის ინტერპრეტაციასა და რეგულაციების პრაქტიკაში განხორციელებაზე. საგანმანათლებლო სისტემა რეგულირებულია კანონმდებლობით, რომელიც სასწავლო პროცესზე ახდენს შესაბამის ზემოქმედებას. კლასი არის ინსტიტუციური კონტექსტი, სადაც მასწავლებლის საქმიანობა და მეტყველება რეგულაციების ჩარჩოებშია მოქცეული. ვინაიდან, მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა საგაკვეთილო პროცესში კანონით რეგულირდება, მასწავლებლის საკლასო პრაქტიკა კანონის შესაბამის მოლოდინს ქმნის:

*„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება...“* (მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ).

საგანმანათლებლო საკანონმდებლო ტექსტების განხილვისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ საკითხს, რომ მარეგულირებელი დოკუმენტი ადგენს მასწავლებლის მოქმედების ჩარჩოებს, მაგრამ არ აწესებს მკაცრ შეზღუდვებს მოქმედების თავისუფლებაზე. რაც გულისხმობს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვა, საკლასო კონტექსტში გამოყენებული ენა და სწავლების მეთოდები საკანონმდებლო ტექსტის სწორ ინტერპრეტირებაზეა დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტების ტექსტი არ იძლევა უშუალო მითითებებს თუ როგორ უნდა იმოქმედოს პოლიტიკის გამტარებელმა. მასში ძირითადად მოცემულია

პირობები, რომლებიც არჩევანის საშუალებას იძლევა. როგორც აღინიშნა, საკანონმდებლო დოკუმენტის დეკოდირებასა და ინტერპრეტაციას მასწავლებლები საკუთარი გამოცდილების შესაბამისად ახდენენ, რომელიც მათ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ეფუძნება. შესაბამისად, მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტის რეალიზება მასწავლებლის მიერ დამოკიდებულია, როგორც ტექსტის სწორ ინტერპრეტაციაზე, ასევე უნარზე თუ როგორ ესმის მასწავლებელს დოკუმენტების ინტერტექსტუალური შესაბამისობა, რაც გულისხმობს მთავარ ტექსტს და სხვა დოკუმენტების, როგორც ერთი მთლიანობის საერთო გააზრებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ტექსტი გარკვეულწილად აბსტრაქტულია და დაშორებულია პრაქტიკაში განსახორციელებელ უშუალო მითითებებისგან. აქედან გამომდინარე, მასწავლებლისაგან მოითხოვს შესაბამის ფონურ ცოდნას, რათა მოხდეს მისი პრაქტიკაში სწორი რეალიზება.

სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკაა ყველა მოქალაქეს ჰქონდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ხარისხიანი განათლების მიღებისა და თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა. განათლების შედეგების გაუმჯობესება და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება. შესაბამისად, თანამედროვე განათლების სისტემის პარადიგმა მთავარ მიზნად ისახავს ახალი თაობის აღზრდას იმგვარად, რომ მაქსიმალურად მზად შეხვდნენ თანამედროვეობის მოთხოვნებს. ბუნებრივია, სწრაფად ცვალებადი გამოწვევების ფონზე, ახალი თაობა თუ ტრადიციული კლასიკური განათლების დისკურსის პარამეტრებში დარჩება ვერ მოხდება მათი ცივილურ სამყაროში სრული ადაპტირება.

განათლების სისტემაში აღმოცენებულმა ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ სასკოლო კონტექსტში მონოტონური სწავლების პრაქტიკა ახალი საკვალიფიკაციო სტანდარტით ჩაანაცვლა, რომელიც საჭიროებს არამარტო საგნის ცოდნას, არამედ თანამედროვე სწავლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობასაც, შესაბამისად სახელმწიფომ პოლიტიკურ სტრატეგიად „ახალი მასწავლებლის,, ჩამოყალიბება დაისახა:

„...მასწავლებლის საქმიანობის კომპლექსური შეფასების, მათთვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და შესაბამისი მოტივაციის შექმნის მიზნით, ფართო განხილვისა და ხანგრძლივი შეთანხმებების საფუძველზე 2015 წლის თებერვალში „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ დამტკიცდა. სქემის ფარგლებში მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული შეფასებისა და პროფესიული განვითარების ძირითადი ფუნქციები დელეგირებულია სკოლაზე, რითაც გაზრდილია სკოლების ავტონომიურობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. ყოველწლიურად 25 ათასზე მეტი მასწავლებელი მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ტრენინგებში ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ზოგადი პედაგოგიური უნარები, საგნობრივი მოდულები, ინტერაქციური სწავლება, შეფასებისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინკლუზიური განათლება და სხვა...„ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მთავრობის დადგენილება №533).

ვინაიდან საქართველოში საშუალო განათლება სამსაფეხურიანია, თითოეულ საფეხურზე მასწავლებლის ახლებური როლი განისაზღვრა:

მასწავლებლის მისია დაწყებითი საფეხურზე:

„...საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის...„(ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/5)



მარეგულირებელი დოკუმენტის ტექსტში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის როლი მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებაა, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას. ამავდროულად, მასწავლებელს მოეთხოვება შემდეგ საფეხურზე გადასვლისთვის მათი სათანადო მომზადება.

*მასწავლებლის მისია საბაზო საფეხურზე:*

*„...საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის...“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ).*

საბაზო საფეხურის მასწავლებლის როლი განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ როგორც ტექსტში მოცემულია მასწავლებელი ვალდებულია არა მარტო საგნის სწავლებით, ასევე მას ვალდებულება აქვს აღმოაჩინოს მოსწავლის მიდრეკილებები და ხელი შეუწყოს მისი ინტერესის განვითარებას.

*მასწავლებლის მისია საშუალო საფეხურზე:*

*საშუალო საფეხურის მისიაა: ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება; ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად...“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ).*

საშუალო საფეხურზე მასწავლებლის ვალდებულების შესახებ არსებული ტექსტის დისკურსი ძირითადად მიმართულია დამოუკიდებელი ინდივიდის ჩამოყალიბების მხარდაჭერისკენ. მასწავლებლის ვალდებულებების მითითებებში ძირითადი აქცენტები კეთდება ინფორმირებული და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ინდივიდის ჩამოყალიბებაზე, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებებს.

ნეოლიბერალური პოლიტიკის დანერგვით, ტრადიციულმა ნარატივმა, რომელიც განათლების ტრადიციულ დისკურსში გაბატონებული იყო და რომლის მიხედვით „მასწავლებელი ყველაფრის მცოდნე, ხოლო მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები“ აქტუალობა დაკარგა. ნეოლიბერალურ პოლიტიკურ დოკუმენტების ტექსტებში წარმოიქმნა ახალი დისკურსი, რომელიც მოსწავლეს სასწავლო პროცესში აქტიურ როლს ანიჭებს.

*„...სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე...“* (ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ).

მარეგულირებელი დოკუმენტების კონცეპტუალური ანალიზის მიზანი იყო დოკუმენტებზე დაყრდნობით საგანმანათლებლო კონტექსტში არსებული კონცეფციების შესწავლა, რომელიც ამავედროულად ენის სწორ გაგებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომ პოლიტიკური დოკუმენტების ენა არ არის თავისუფალი, მისი სწორი გაგება მოიაზრებს სოციო-კულტურულ კონტექსტის სწორ აღქმას.

პოლიტიკური დოკუმენტების ტექსტების შინაარსი შეიცავს სპეციფიკურ ინფორმაციას. იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკურ დისკურსის მიმართ

განსხვავებული აზრი გამოვლინდება, მიიჩნევა რომ მკითხველმა ტექსტის შინაარსი სწორად ვერ გაიაზრა. პოლიტიკური დოკუმენტები გამოსცემს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის განზრახვას, რომელთაც გააჩნია რელევანტური მნიშვნელობა. ტექსტის ინტერპრეტაცია უნდა დაეყრდნოს მასში კოდირებულ განზრახვას და არა ნომინალურ აზრს.

### 1.3. საკლასო დისკურსის რაობა

ნებისმიერი დისციპლინის წარმატებული სწავლება აუცილებლად მოითხოვს საკლასო ინტერაქციის ეფექტურ მენეჯმენტს. საკლასო ურთიერთობა, ბუნებრივია, თავისთავში ვერბალურ კომუნიკაციასაც მოიცავს. ცოდნის კონსტრუირება ინდივიდის ფონურ ცოდნაზე სოციალური ინტერაქციით ახალი გამოცდილების დამატებით ხდება, სადაც ენა ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. საკლასო პრაქტიკაში მასწავლებლის მიერ მეტყველების სწორად შერჩევა იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა მასალის ასათვისებლად. შესაბამისად, საკლასო დისკურსის შესწავლის ინტერესი სწავლება-სწავლის პროცესში ეფექტური კომუნიკაციის ცენტრალური როლის განსაზღვრამ გამოიწვია.

გასული საუკუნის ბოლო წლებში, საკლასო დისკურსის მნიშვნელობა შესამჩნევად შეიცვალა. სწავლება-სწავლის პროცესში შესაფერისი ენის გამოყენებამ ცენტრალური ადგილი დაიჭირა. კრიტიკულად შესწავლის საგანი გახდა ენის ორგანიზება საკლასო გარემოში. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ინგლისელი მკვლევრის ბარნეს დუგლასის (Barnes Douglas, 1973) ნაშრომში „ენა, მოსწავლე და სკოლა“ (Language, the Learner and the School) საკლასო დისკურსის მნიშვნელობას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, რომელშიც სწავლებაში ენის გამოყენების მნიშვნელოვანი როლი გამოიკვეთა. ამ ნაშრომის შექმნამდე, განათლების დარგის მკვლევრები ძირითადად ფოკუსირებული იყვნენ სწავლების მეთოდებზე და პროცესის ორგანიზებაზე. შესაბამისად, კლასში სასწავლო პროცესის

დროს მოსწავლისა და მასწავლებლის კომუნიკაციას, როგორც საკლასო დისკურსს, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

როგორც აღინიშნა, საკლასო დისკურსის ანალიზის კვლევით განსაკუთრებით სოციოლინგვისტები და ფსიქოლინგვისტები დაინტერესდნენ. მათი ძირითადი მიზანი იყო მასწავლებლისა და მოსწავლის ვერბალური კომუნიკაციის თავისებურებების შესწავლა, რამდენად იყო დაბალანსებული მასწავლებლისა და მოსწავლის ვერბალური კომუნიკაციის ფორმა საკლასო კონტექსტში, ურთიერთობის დროს.

ლინგვისტური თვალსაზრისით, მასწავლებლისა და მოსწავლის კომუნიკაციას აქვს სამი განსხვავებული მახასიათებელი: სასწავლო პროგრამის ენა, კონტროლის ენა, და პირადი იდენტობის ენა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას გააჩნია საკლასო დისკურსის პროპოზიციული, სოციალური და ექსპრესიული ფუნქციები (Cazden, 2001). სამივე მათგანში მკვეთრად გამოიხატება ენის ფუნქცია. შესაბამისად, პარაგრაფში განხილული იქნება კონკრეტულად მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში ენის ფუნქცია როგორც საკლასო დისკურსის ერთ-ერთი ელემენტი.

### **1.3.1. კლასი როგორც ასიმეტრიული თავისებურებების კონტექსტი**

სასწავლო პროცესში ენა ბევრად მეტია ვიდრე კომუნიკაციის საშუალება, რომლის მეშვეობით საკლასო ოთახში ხდება ინფორმაციის გადაცემა. საკლასო დისკურსი სამ მნიშვნელოვან მახასიათებელს მოიცავს: 1) ვერბალური კომუნიკაციით ხდება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის გაცვლა; 2) საკლასო ოთახი არის სასწავლო პროცესში ჩართული პირების თავშეყრის საერთო სივრცე, რომელშიც მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გარკვეულ დროს ატარებენ, თუმცა საკლასო გარემო სხვა სივრცისაგან განსხვავდება იმ თავისებურებით, რომ საკლასო დისკურსის კონტროლი ერთი პიროვნების, მასწავლებლის მიერ ხდება; 3) სასწავლო პროცესის მონაწილეების იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია ენა. მასწავლებლისა და მოსწავლის მეტყველების განსხვავებულობა სოციალური იერარქიის ანარეკლია. საკლასო ოთახი არის

მოსწავლეებისთვის პირველი ოფიციალური/ფორმალური გარემო, სადაც ისინი დამოუკიდებლად საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ჩართულნი არიან. შესაბამისად, ყველა ზემოთ ხსენებული მახასიათებლიდან გამომდინარე, საკლასო დისკურსის მნიშვნელობა დარგის მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის სფეროა.

საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც სტრუქტურულ ასევე სასწავლო პროცესში, მუდმივ მეთოდურ ცვლილებებს განიცდიან. ტრადიციული საკლასო ოთახის თანამედროვე მოდელებით ჩანაცვლება უწყვეტი პროცესია. თუმცა განათლების შესახებ ტრადიციული ხედვა ჯერ კიდევ დომინირებს, რომელიც მოსწავლის მასწავლებლის მიმართ მორჩილებას მოიაზრებს. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელი კლასში ძალაუფლების მქონე ავტორიტეტია და კომუნიკაციის ფორმაც ძალაუფლების დემონსტრირებას უწყობს ხელს.

ბუნებრივია, სასკოლო გარემოში სწავლების პროცესში კონკრეტული დისციპლინის პარალელურად ხდება სოციალური ნორმების ტრანსფორმირება, რომელიც სკოლის, როგორც ინსტიტუციური სტრუქტურის მახასიათებელია. აქედან გამომდინარე, საკლასო გარემოში მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერაქციის დროს წარმოქმნილი დისკურსი სოციალური იერარქიის გამოხატულებას შეიცავს. სასკოლო დისკურსის თავისებურებას სასწავლო პროცესში ჩართული პირების პოზიციური როლი განსაზღვრავს. საკლასო კონტექსტში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არსებული კომუნიკაცია კონტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე ასიმეტრიულია. კომუნიკაციის ფორმის განმსაზღვრელი არის მასწავლებელი, რომელსაც თავისი პოზიციური როლიდან გამომდინარე, დისკურსის კონტროლის და მიმართულების მიცემის ძალაუფლება გააჩნია. მასწავლებელი განსაზღვრავს, როგორც საკომუნიკაციო თემას, ასევე მოსწავლეების ჩართულობის ფორმას. ს. ვოლშის თანახმად ყველაზე დეცენტრალიზებულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ საკლასო გარემოშიც კი მასწავლებელი განსაზღვრავს თუ ვინ უნდა ისაუბროს, როდის უნდა ისაუბროს, ვისთან უნდა ისაუბროს და ასევე დროსაც, თუ რამდენი ხნით უნდა ისაუბროს. კლასში მხოლოდ მასწავლებელს აქვს ინტერაქციის “ორკესტრირების”

უფლება. სასწავლო პროცესში მასწავლებელი ძალაუფლების მქონე პირია, რომელიც მის დემონსტრირებას ვერბალური ფორმით გამოხატავს. არათანასწორ პირობებში არსებობს წინასწარ განსაზღვრული უფლებები, რომელიც ითვალისწინებს საუბრის წამოწყებას, საუბრის ხანგრძლივობას, საუბრის შეწყვეტინებას და ა.შ. (Walsh, 2011).

საკლასო გარემოსთვის, როგორც ფორმალური ურთიერთობის სივრცისთვის, დამახასიათებელია კომუნიკაციის სპეციფიკური ფორმა. შესაბამისად, მოსწავლეები საჭიროებენ ლინგვისტურ უნარებს, რომლებიც საკლასო დისკურსისთვის დამახასიათებელია. ზოგი უნარი მათ საკლასო კონტექსტის მიღმა აქვთ განვითარებული, რომელთა მოდიფიცირება ახალ გარემოში მარტივად ხდება. თუმცა ხშირ შემთხვევაში, სკოლის კონტექსტს მიღმა ათვისებული საკომუნიკაციო უნარები ძირითადად საკლასო დისკურსის დროს უმნიშვნელო და ზოგჯერ შეუფერებელია, ვინაიდან სასკოლო გარემო ქმნის ინტერაქციის კოდს, წესებს, რომელიც მასწავლებლის მიერ არის მართული.

სიტყვის სწორად გამოყენება დამოკიდებულია კონტექსტზე. კონტექსტს კი შესაძლოა ჰქონდეს ფიზიკური საზღვრები, რადგან არასასკოლო კონტექსტში გამოყენებული ენა განსხვავდება სკოლის ლექსიკიდან. ასევე კონტექსტს შესაძლოა ჰქონდეს დისკურსული საზღვრები - სკოლაში საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ლექსიკა განსხვავდება გაკვეთილის შემდეგ განვითარებული მეტყველებისაგან, მაშინაც კი, თუ მასწავლებლისა და მოსწავლის ფიზიკური განლაგება უცვლელია. საკლასო კონტექსტი ჩვეულებრივი გარემოსაგან განსხვავებით დისკურსის მონაწილეებს უქმნის საკომუნიკაციო ფორმას, რომელიც კონტექსტისათვის მიღებულია ნორმად.

ნებისმიერი ინსტიტუციური კონტექსტის დისკურსი ყოველდღიური კომუნიკაციისაგან განსხვავებულია, ინსტიტუციური კონტექსტის დისკურსი არის სტრატეგიული მეტყველების ფორმა, რომელიც მიზანზე ორიენტირებულია. მოსაუბრის მეტყველებაში გამოიკვეთება მისი პოზიციური როლი. რომელიც მოსაუბრის ლექსიკაშიც ძალაუფლების დემონსტრირებასაც მოიცავს.

საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საკლასო დისკურსსა და ჩვეულებრივ გარემოში განვითარებულ საუბარს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. საკლასო კონტექსტში გამოყენებულ ენას ჩვეულებრივი გარემოსაგან განსხვავებით გააჩნია ორი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი: 1) ის არის კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული; 2) მას გააჩნია შეზღუდვები, საუბრის ფორმა მხოლოდ მიზანთან არის კავშირში.

საკლასო ოთახში, როგორც ინსტიტუციურ გარემოში, განვითარებული ვერბალური კომუნიკაცია სისტემურ დაქვემდებარებაშია, რომელიც თავისებური სპეციფიკით გამოირჩევა: ინტერაქციის დროს დიდი რაოდენობით პოტენციური მონაწილეა, რომელთა ჩართულობას ორგანიზება სჭირდება. საგანმანათლებლო დაწესებულებაში, როგორც ფორმალურ გარემოში, მონაწილეთა ჩართულობის ფორმა რეგულირებულია დაუწერელი წესებით, რომელზეც ყველა ჩართული პირი ცნობიერად თანხმდება, - მაგალითად, საუბრის დროს მოსაუბრეს მოსწავლე არ აწყვეტინებს საუბარს. მაგრამ მათთვის ასევე დასაშვებია, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს საუბრის პროცესში ჩაერევა. მასწავლებლებისთვის მსგავსი ქმედება გამართლებულია. ამავდროულად, საკლასო დისკურსისთვის დამახასიათებელია ის, რომ მასწავლებელი ერთ მოსწავლეს მოსმენისკენ მოუწოდებს და ეს მოწოდება სხვებზეც ვრცელდება. საკლასო სივრცეში, როგორც ფორმალურ გარემოში დაუწერელი წესების დარღვევად მოიაზრება მოსწავლის მიერ მოსაუბრის შეწყვეტინება, კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობა, დისკუსიის დროს თემაზე აცდენილი საუბარი.

საკლასო ოთახი არის სივრცე, სადაც მასწავლებლისა და მოსწავლის იდენტობები იკვეთება. კლასში მასწავლებელი არის ინტერაქციის რეგულატორი, ხოლო მოსწავლე რეგულირებულ დისკურსში ჩართული პირი. საკლასო დისკურსში ასიმეტრიულ თავისებურების ორ ფორმას განასხვავებენ: მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და უშუალოდ მოსწავლეებს შორის. თუმცა ამ ნაშრომის მიზანი მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობის დროს ვერბალური კომუნიკაციის თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს.

საკლასო დისკურსის ორგანიზების დამახასიათებელი ნიშნებია:

1. თემას აკონტროლებს მასწავლებელი;
2. მასწავლებელი აკონტროლებს კომუნიკაციის პროცესს.
3. ჩვეულებრივ მასწავლებელი განსაზღვრავს ვინ უნდა ჩაერთოს საუბარში და როდის უნდა ჩაერთოს;
4. მეტყველების დროს მოსწავლეები მინიშნებებს იღებენ მასწავლებლისგან;
5. საკლასო კონტექსტში მასწავლებლისა და მოსწავლის პოზიცია არათანაბარია.
6. ინტერაქციის ფორმას განსაზღვრავს მასწავლებელი;
7. საუბრისას უფრო მეტ დრო ეთმობა მასწავლებელს;
8. მასწავლებელი საკლასო კონტექსტის შესაფერისი მოდიფიცირებულ ლექსიკით საუბრობს;
9. მოსწავლეები საკლასო კონტექსტისთვის შეუფერებელ ლექსიკას იყენებენ, რაც მასწავლებლისთვის მიუღებელია. ხშირ შემთხვევაში, ხდება მასწავლებლის სურვილის შესაბამისად მოსწავლის ნათქვამის ჩასწორება;
10. მასწავლებლები მოსწავლეებს ისეთი ფორმულირებით უსვამენ კითხვებს, რომლის პასუხები წინასწარ პროგნოზირებულია.

საკლასო დისკურსის თავისებურებიდან ჩანს, რომ ზემოქმედებას მასწავლებლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან მასწავლებელი არის კლასში ავტორიტეტი და მას კლასში განვითარებული დისკურსის კონტროლი შეუძლია. საკლასო კონტექსტში მასწავლებლისა და მოსწავლის არათანაბარი პოზიციური როლიდან გამომდინარე მოსწავლის მეტყველება შეზღუდულია. მოსწავლის ვერბალური კომუნიკაცია მასწავლებლის ინიცირების შემთხვევაში კითხვაზე პასუხის გაცემით, მოკლე სიტყვებით ან ფრაზებით შემოიფარგლება. მოსწავლეების მიერ ინიცირებული კომუნიკაციის დროს კი ისინი სრული ფრაზებით და წინადადებებით მეტყველებენ.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად საკლასო ოთახში, კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასიმეტრიული ფორმა საუბრის კონტროლის უფლებაა. უფრო კონკრეტულად, სკოლის სუბორდინაციული კონტექსტიდან გამომდინარე,



მასწავლებელს როლური პოზიცია მას უფლებას აძლევს ისაუბროს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ პირთან, დაარღვიოს სიჩუმე ან მოსწავლეებს შეაწყვეტინოს და ჩაერთოს საუბარში. საუბრის დროს ხმის სიმძლავრეს და ტონსაც თავად მასწავლებელი განსაზღვრავს.

მოსწავლეებისთვის საუბრის უფლების მოპოვება მასწავლებლის ნებას ემორჩილება. ხშირად მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გასაცემად ხელის აწევით უპასუხონ, ხოლო თავად იღებს გადაწყვეტილებას და არჩევს თუ ვინ უნდა ისაუბროს.

საკლასო დისკურსში მასწავლებლის მეტყველებას ახასიათებს მიმართულების მიმცემი შეკითხვების დასმა, რომელიც შედგება განსაზღვრული ლექსიკური ერთეულებისაგან (Leading question), კერძოდ, კონკრეტული საკითხის მიმართ მასწავლებელი დასმულ შეკითხვაზე ჯერ სთავაზობს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას, ხოლო შემდეგ მთელი ჯგუფის საუბარს სასურველ მიმართულებას აძლევს, რითაც მოსწავლის თავისუფალი მეტყველება იზღუდება.

საკლასო დისკურსს სხვა კონტექსტთან შედარებით კონკრეტული თავისებურებებიც ახასიათებს. ვინაიდან კლასში ვერბალური კომუნიკაცია დიდ ჯგუფში მიმდინარეობს, ჩართულობის სწორი გადანიჭილება და კომუნიკაციის მართვა მასწავლებლისთვის სირთულეს წარმოადგენს. კლასში მასწავლებლებს გასაკონტროლებელი ჰყავთ არა ერთი პოტენციური მოსაუბრე. საკლასო კონტექსტის მოთხოვნებში შედის საუბრისა და მოსმენის მოწესრიგებული ფორმა, რაც გულისხმობს, ერთის საუბარს და სხვების მოსმენას. შესაბამისად, მასწავლებელი მოწესრიგებული კომუნიკაციის დასაცავად და მოსწავლეების მხრიდან არარელევანტური თემის შემოტანის პრევენციის მიზნით მაქსიმალურად აკონტროლებს საკლასო კომუნიკაციას. საკლასო გარემოში მასწავლებლის სუბორდინაციული პოზიცია მას შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეების მეტყველების დროს ჩაერთოს საუბრის პროცესში ფრაზებით როგორცაა: „არ

ისაუბროთ როცა მე ვსაუბრობ!“ „შეწყვიტეთ გადალაპარაკება!“ „მისმენთ? რა ვთქვი მე?“ და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკლასო კონტექსტში ინტერაქციის დაბალანსებული ფორმა ვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი აცნობიერებს კონკრეტულ მომენტში მისი პედაგოგიური მიზნები ენობრივ გამოხატულებასთან თანხვედრაშია თუ არა.

ამრიგად, განათლების პოლიტიკის დისკურსის განხილვისას, უნდა გავითვალისწინოთ მისი ორ ასპექტში განხილვა: პოლიტიკა, როგორც ტექსტი და როგორც დისკურსი. პოლიტიკა, როგორც ტექსტი იგი სოციალური კონტექსტში არსებული ინტერვენციაა, ხოლო როგორც დისკურსი სოციალურ კონტექსტში მიმდინარე წერიტი და ვერბალური კომუნიკაცია.

საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები არის სახელმწიფოს კონკრეტული მიზნების მისაღწევი მითითებების გამოხატულება, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ საზოგადოებას მოეთხოვება. განათლების პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტებში მიზანმიმართულად შერჩეული სიტყვები ადრესატის პოლიტიკური შეხედულების ჭეშმარიტებაში დარწმუნების და რეგულაციის გავლენის გაძლიერებას ემსახურება.

პოლიტიკური დოკუმენტების შემთხვევაში მომხმარებლები არ არიან ჩართულნი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. შესაბამისად, ტექსტის არასწორი დეკოდირება და ინტერპრეტაცია, რომელსაც შეუსაბამო უნარ-ჩვევები იწვევს საგანმანათლებლო პოლიტიკის არასწორ რეალიზების მიზეზია.

## თავი II. ბულინგის კვლევის თეორიული საფუძვლები

### 2.1. ბულინგის რაობა სხვადასხვა მეცნიერებაში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მოსწავლის აკადემიურ განვითარებასთან ერთად მის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვაა. ცნობილმა ფსიქოლოგმა ერიკ ერიქსონმა (1960:13) ნაშრომში „ფსიქოლოგიური განვითარების სტადიები“ (Stages of Psychosocial Development) ბავშვის განვითარების რვა სტადია შემოგვთავაზა. პირველი ხუთი სტადია ბავშვობაში მიმდინარეობს, დანარჩენი სამი კი – ზრდასრულ ასაკში. თითოეულ სტადიაზე ხდება გარემოს მიმართ სოციალური ადაპტაციის პროცესში გამოვლენილი კონფლიქტის მოგვარება. ეს სტადიები დამახასიათებელია ყველა ადამიანისთვის ანუ უნივერსალურია. განვითარების პროცესი რეგულირდება ეპიგენეტიკური პრინციპით, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

1. პიროვნება ვითარდება საფეხურებრივად, სვლა ხდება ზრდის მიმართულებით, უფრო მეტად ცნობიერდება და თანდათან ფართოვდება სოციალური ურთიერთობის თვალსაწიერი;
2. ადამიანის სოციალურ განვითარებას მხარს უჭერს და ხელს უწყობს საზოგადოება.

ერიქსონმა აღნიშნული სტადიები განიხილა, როგორც „პიროვნების გეგმა“, რომელიც თანდაყოლილია და რომელშიც ყოველი სტადია განსაზღვრულ დროს – ე. წ. კრიტიკულ პერიოდში დგება. პიროვნების სრულყოფილი ჩამოყალიბება იმას გულისხმობს, რომ ის თანმიმდევრობით გაივლის ამ სტადიებს. ყველა სტადიას ერთვის კრიზისი, რომელიც არ არის კატასტროფა—ეს არის შემობრუნების მომენტი, რომელიც შეიძლება წარმოჩნდეს, როგორც განვითარების ხელშემწყობ ძალად, ისე არასაკმარისი ადაპტაციის საფუძვლადაც. ყველა კრიზისი შეიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით კომპონენტებს. თუ კონფლიქტი დამაკმაყოფილებლად გადაწყდა (ანუ ეგო გამდიდრდა ახალი დადებითი თვისებებით), იგი პიროვნების ჯანსაღი განვითარების საწინდრად იქცევა და პირიქით. ადამიანის ამოცანაა,

ადეკვატურად გადაჭრას ყოველი კრიზისი. ამ შემთხვევაში იგი უფრო მომწიფებული და ადაპტირებული გადავა მომდევნო სტადიაზე (Erikson, 1960).

ერიქსონის მიერ შემოთავაზებული ბავშვის განვითარების სტადიებიდან მეოთხე და მეხუთე ემთხვევა სკოლაში სწავლის პერიოდს. ამ პერიოდის მთავარი მახასიათებლებია თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, თვითიდენტიფიკაციის განვითარება, საკუთარი თავის მნიშვნელობის გაცნობიერება. გარემოცვა მსაზღვრელი ფაქტორია დადებითი „მე-კონცეფციის“ ჩამოყალიბებისთვის, თუ ბავშვის აქტივობა უარყოფით შეფასებას, დაცინვას ან დაშინებას წააწყდა, შესაძლოა მას განუვითარდეს არასრულფასოვნების კომპლექსი (Erikson, 1960).

მკვლევრის მოსაზრებით, განსაკუთრებით საყურადღებოა მოზარდის თორმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკი. ეს სტადია ერთ-ერთი ურთულესია ადამიანის ცხოვრებაში. მოზარდი აღარც ბავშვია და არც უფროსი; იგი ეჯახება სოციალურ მოთხოვნებს და ახალ როლებს. ახალი ფსიქოსოციალური პარამეტრი, რომელიც მოზარდ ასაკში ჩნდება დადებით პოლუსზე, არის ეგო-იდენტობა, ხოლო უარყოფით პოლუსზე – როლური აღრევა. ამ ასაკში მოზარდმა უნდა გაამთლიანოს ცოდნა საკუთარი თავის შესახებ (როგორია როგორც შვილი, მოსწავლე, მეგობარი და ა.შ.) და ინტეგრირება მოახდინოს პიროვნულ იდენტობაში. ინტეგრირება გულისხმობს ერთდროულად წარსულისა და მომავლის გაცნობიერებას. ამ პერიოდში მოზარდში არსებობს შინაგანი კონფლიქტი ეგო-იდენტობასა და როლების აღრევას შორის. აღნიშნულ პერიოდს ერიქსონი ასე ახასიათებს: შინაგანი ფიზიოლოგიური რევოლუცია, საკუთარი სოციალური როლის განმტკიცება, წუხილი იმაზე, როგორ გამოიყურება სხვების თვალში, თვითონ როგორ აფასებს საკუთარ თავს (Erikson, 1960). ეგო-იდენტობის განცდა წარმოადგენს პიროვნების რწმენას იმის შესახებ, რომ საკუთარ თავზე წარმოდგენა შეესაბამება სხვის მიერ მის შეფასებას. იქმნება შინაგანი „მე“-ს ხატი. სოციალური ჯგუფები და ინსტიტუციები (სკოლა, ოჯახი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იდენტიფიკაციის პროცესზე. ზოგიერთ შემთხვევაში მოზარდის განვითარებას ხელს უშლის საზოგადოებაში არსებული სოციალური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური ცვლილებები. ისინი მასში იწვევენ შფოთვას, რის

გამოც ხშირად ახალგაზრდა ემიჯნება გარემოს. როდესაც მიზეზთა გამო ვერ ხერხდება პიროვნული იდენტობის მიღწევა, ერიქსონი ამას იდენტობის კრიზისს ან როლურ აღრევას უწოდებს. იგი იწვევს ჩამორჩენას სწავლაში, პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრაში, შესაძლოა, მოხდეს პიროვნების დეპერსონალიზაცია, განდგომა, ნეგატიური იდენტობის ჩამოყალიბება. ზრდასთან ერთად ბავშვი აწყდება იდენტობისა და „მე“-ს საკუთარ პოტენციალში გარკვევის პრობლემას.

ერიქსონის ფსიქო-სოციალური განვითარების თეორია იძლევა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას განვითარების შესახებ და ხაზს უსვამს მშობლისა და მასწავლებლის, საზოგადოდ, სოციალური გარემოს უმნიშვნელოვანეს როლს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

სასკოლო ცხოვრების პერიოდში ბავშვს მრავალმხრივი უნარები და პიროვნული მახასიათებლები უვითარდება. სასკოლო სივრცეში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების პროცესზე. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სკოლის მთავარი ამოცანაა ხარისხიან განათლებასთან ერთად მოსწავლეებს შორის ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.

უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მრავალმხრივი პრევენციული ღონისძიებები გატარდა, თუმცა სასკოლო სივრცეში ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება კვლავ ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. ასე მაგალითად, სასკოლო კონტექსტში დღემდე პრობლემაა *ბულინგი*. მოსწავლე ხშირად ხდება ნეგატიური ზემოქმედების მსხვერპლი, რასაც მისი ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებებიც უწყობს ხელს. სასკოლო ასაკის ბავშვს აქვს განსხვავებული ცხოვრების სტილი, გატაცებები, უპირატესობის დამტკიცების სურვილი, რაც ხშირად საზოგადოებრივ ნორმებთან შეუფერებელი ისეთი ქცევით გამოიხატება, როგორცაა, მაგალითად, სხვა პიროვნების დაშინება. მოსწავლეთა განვითარების ეტაპების მიხედვით დაშინების ფორმები განსხვავებულია. იგი გავრცელებულია, როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებშიც. შესაბამისად, ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გახდეს, როგორც აგრესიის ინიციატორი, ასევე მისი მსხვერპლიც.

თანამედროვე სასკოლო საზოგადოება დაშინებას იცნობს ტერმინით „ბულინგი“, რომელიც ინგლისური სიტყვიდან „bullying“ მომდინარეობს. სიტყვის ეტიმოლოგიას თუ ჩავუღრმავდებით, შესაძლებელია, ტერმინი ინგლისური სიტყვა „bull“-იდან მოდიოდეს, რაც ქართულად *ხარს* ნიშნავს.

ყველა კონტექსტში, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეში, ბულინგის მიზანი ინდივიდის დაშინება და დამორჩილებაა. ნებისმიერი ინდივიდი შესაძლებელია გახდეს, როგორც ბულინგის მსხვერპლი, ასევე მისი ინიციატორი. ბულინგი სოციალურ მოვლენაა, რომელიც ორგანიზაციული კონტექსტისათვის არის დამახასიათებელი. დაშინების ფორმები ასაკისა და განვითარების შესაბამისად განსხვავებულია. ბულინგის ობიექტი შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი ინდივიდი. თუმცა რაიმე ნიშნით განსხვავებული ინდივიდები ბულინგის უფრო მეტი რისკის წინაშე არიან. რისკ-ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ ინდივიდები, რომელთაც უჭირთ კომუნიკაცია და სოციალური უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. ასევე შეიძლება ბულინგის მაღალი რისკის ქვეშ იყოს რელიგიური ან ეთნიკური ნიშნით განსხვავებული ინდივიდი. სამეცნიერო ლიტერატურაში ბულინგი დაშინების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დევნას გულისხმობს, რომლის მიზანი ინდივიდის მორჩილებაა. თავდაპირველად იგი ყოფით ცნებას წარმოადგენდა, თუმცა დროთა განმავლობაში იგი სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის კვლევის ობიექტიც გახდა. სკანდინავიელი მეცნიერები ერთ-ერთი პირველთაგანი დაინტერესდნენ ამ პრობლემით (Heinemann, 1973; Olweus, 1973; Pikas, 1989). ბულინგის მიმართ ძლიერი სოციალური ინტერესი პირველად შვედეთში მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გამოვლინდა. შვედმა ფიზიკოსმა ჰეინემანმა (Heinemann, 1973) ტერმინი „მობინგი“ („Mobbing“) ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში. მან ეს ტერმინი ცნობილი ავსტრიელი ეთოლოგის კონრად ლორენზის (Konrad Lorenz, 1966), ნაშრომიდან ისესხა. ლორენზი მობინგს ცხოველების ერთი ჯგუფის მეორე, განსხვავებული სახეობის, ცხოველთა ჯგუფზე თავდასხმის ფაქტის გამოსახატად იყენებდა. ჰეინემანი თავის ნაშრომში ტერმინს „მობინგი“ („Mobbing“) იყენებს ადამიანების ჯგუფის სხვა ჯგუფზე თავდასხმის

ფაქტის აღწერისას. ყოველდღიურ მეტყველებაში მობინგის ქართულ ეკვივალენტად მიჩნეულია ლანძღვა.

დაშინების ფენომენის შესწავლის დროს სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ სხვადასხვა ლიტერატურაში არსებობს მისი არაერთგვარი დეფინიცია. შესაბამისად, კონკრეტული პრაქტიკის ბულინგის ფორმად განმარტება მის სწორ შესწავლას და ანალიზს მოითხოვს. ბულინგის ფენომენის ზუსტი განსაზღვრებისას გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: პირველი - ინდივიდის მიერ ბულინგის შესახებ კოგნიტიური აღქმა; მეორე - ინდივიდის მიერ ბულინგის შესახებ კოგნიტიურ აღქმასა და ბულინგის სპეციფიკური შემთხვევების შეუსაბამობა. მაგალითად, ბულინგის მსხვერპლის მიერ გამოცდილების განმარტება თანმიმდევრულია და დაშინების ფენომენთან შესაბამისობაშია, თუმცა როდესაც იგივე პიროვნებას დავუსვამთ კითხვას, სხვა მსხვერპლის მიმართ ჩადენილი მსგავსი ქმედებები ითვლება თუ არა დაშინების/ბულინგის მცდელობად, პასუხები ხშირად შეუსაბამოა.

ბულინგის მეცნიერულ კვლევას პირველად შვედმა მეცნიერმა დან ოლვეუსმა ჩაუყარა საფუძველი. ოლვეუსი თავის არაერთ ნაშრომში იყენებს ტერმინს „ბულინგი“ (Olweus, 1973, 1978), რომელსაც იგი განმარტავს ერთი ან რამდენიმე ადამიანის თავდასხმას მეორე ადამიანზე. მისივე განმარტებით, ბულინგის დროს დაუცველი მოსწავლის დაშინება ხდება ხანგრძლივი დროით ერთი ან რამდენიმე ინდივიდის მიერ. აგრესიული ან ნეგატიური ქმედებებით ხდება მსხვერპლზე ზიანის მიყენება (Olweus, 1973). მსხვერპლის მიმართ ნეგატიური ქმედებები შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ფიზიკური, ასევე ვერბალური ფორმით. ოლვეუსი ბულინგის დეფინიციის დროს სამ მნიშვნელოვან კრიტერიუმს გამოყოფს:

- ა) იგი აგრესიული ქცევაა, მსხვერპლზე ზიანის მიყენების განზრახვით;
- ბ) ბულინგი ინდივიდზე ხანგრძლივ, მავნე ზემოქმედებას ახდენს;
- დ) ურთიერთობისთვის დამახასიათებელია ძალის ასიმეტრია.

შვედი მეცნიერი ანატოლი პიკასი (Pikas, 1989) დაშინების ამ ფორმების დაკონკრეტების მიზნით ჯგუფურ თავდასხმას უწოდებს „მოზინგს“, ხოლო ტერმინ „ბულინგს“ - დაშინების ნებისმიერ სახეს.

ბულინგის სხვადასხვა განმარტების მიუხედავად, მკვლევართა დიდი ნაწილი მის საერთო მახასიათებელზე თანხმდება: *ბულინგი განსაზღვრულია, როგორც სპეციფიკური აგრესიული ქმედება*. ამ საერთო მახასიათებლიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ბულინგის ფენომენის გააზრებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო გავრცელებულია შვედი მეცნიერის როლანდის განმარტება, რომლის მიხედვითაც *„ბულინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში“* (Roland, 1988).

კაცობრიობისთვის ბულინგი არ არის ახალი პრობლემა. იგი მუდმივად იყო სოციალური ურთიერთობის ელემენტი. ინდივიდებს შორის არსებული ბულინგის ფორმა აღწერილია გაერთიანებული სამეფოს, იაპონიის და კორეის მე-18 და მე-19 საუკუნის სოციალური ისტორიის წიგნებსა და გაზეთებში. ამ დოკუმენტების თანახმად დაშინების ფორმები იზოლაციის და ფიზიკური ზიანის მიყენებით გამოიხატებოდა. მოზარდებს შორის ბულინგის შესახებ პირველი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი 1897 წელს დაიწერა. თუმცა ნაშრომის გამოქვეყნებიდან დიდი დრო გავიდა, სანამ საკითხის მიმართ საზოგადოების მხრიდან ინტერესი კვლავ გამოვლინდებოდა. უფრო მეტიც, გარკვეული პერიოდი ბულინგი სოციალური ურთიერთობის ნორმალურ ნაწილადაც მიიჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ ბულინგის კვლევა იშვიათ პრაქტიკას წარმოადგენდა, დაშინების მახასიათებელი მაინც ნაწილობრივ შეისწავლებოდა.

მე-19 საუკუნეში სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ბულინგი“ არ გამოიყენებოდა. მეცნიერები დაშინებას ინდივიდებს შორის ინტერპერსონალური ძალადობის სახელით მოიხსენიებდნენ (ბულინგის მსგავს ფორმებში მოიაზრებოდა ფიზიკური ან სიტყვიერი ზიანის მიყენება, რომელიც მოსწავლეების სიკვდილს, მათ სრულ იზოლაციას ან გამოძალვას უკავშირდებოდა).



ინგლისელი მეცნიერის სვიფტის (Swift, 1997) თანახმად მე-19 საუკუნის დოკუმენტებში ინტერპერსონალური ძალადობის არაერთი ფაქტია გადმოცემული. ამის საუკეთესო მაგალითია, 1857 წელს გამოცემული ნაშრომი „*ტომ ბრაუნის სკოლის დღეები*“; რომელიც სკოლაში ბულინგის ცნობილ მაგალითს გადმოსცემს: “*Very well then, let’s roast him cried Flashman, and catches hold of Tom by the collar: one or two boys hesitate, but the rest join in.*” მიუხედავად იმისა, რომ ავტორი პირდაპირ არ არქმევს აღნიშნულ ფაქტს ძალადობას/ბულინგს, ნაწარმოებში კარგად ჩანს ვიქტორიანული ეპოქის ინგლისის სკოლებში ბულინგის დამკვიდრებული პრაქტიკა.

ბულინგის საკითხით საფუძვლიანად მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაინტერესდნენ სკანდინავიელი მეცნიერები (Pikas, 1972; Olweus, 1973). მოგვიანებით ამ ფენომენის შესწავლა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში და სოციალურ კონტექსტში მიმდინარეობდა (Whitney & Smith, 1993, Rigby, 1996; O’Moore & Hillery, 1987; Morita, 1985). ოლვეუსის (Olweus, 1973) ნაშრომის შემდეგ, ბულინგის ფენომენის შესწავლა დაიწყო ისეთ დისციპლინებში, როგორცაა პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და კრიმინოლოგია. თუკი ადრეულ წლებში ბულინგი ფიზიკურად ძლიერის მიერ სუსტზე ფიზიკურ ზიანის მიყენებას გულისხმობდა, თანამედროვე გაგებით ბულინგის შინაარსი გაფართოებულია და იგი ფსიქოლოგიურ და ვერბალურ ზიანსაც გულისხმობს.

განსაკუთრებით აქტუალური ბულინგის თემა მე-20 საუკუნის ბოლოს გახდა. საზოგადოების მხრიდან გაზრდილ ინტერესს ინგლისელი მკვლევარი კინგი ასე ხსნის: „ჩვენ უფრო სენსიტიურები ვართ ძალადობის მიმართ, ვიდრე ჩვენი წინაპრები იყვნენ“ (King, გვ.10). ეს მოსაზრება არის საინტერესო იმ თვალსაზრისით, თუ რატომ გახდა ბულინგის შესწავლა სამეცნიერო საზოგადოებისთვის უფრო აქტუალური დღეისათვის, როცა წლების წინ იგი ადამიანის ცხოვრების ნორმად ითვლებოდა.

ინდივიდის ნებისმიერ ქცევა მისი განწყობის რეალიზებაა. ქართველი მეცნიერი შოთა ნადირაშვილი (2001) თავის ნაშრომში „განწყობის ანთროპული თეორია“ ქცევას შემდეგნაირად განმარტავს: „ცოცხალ ორგანიზმებს მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქტივობის გარეშე არ შეუძლიათ. ინდივიდი აქტივობას იმიტომ

მიმართავს, რომ დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას მხოლოდ სინამდვილე, გარემოში არსებული საგნები იძლევიან, ამიტომ ინდივიდი იძულებულია ურთიერთობა დაამყაროს სინამდვილესთან, მოიპოვოს და მოიხმაროს საგნები, რომლითაც მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია“ (ნადირაშვილი, 2001:24).

ინდივიდის ქცევა მოთხოვნილებისა და სიტუაციის თანხვედრაზე დამოკიდებული, რაც გულისხმობს, რომ ინდივიდის ქმედება განწყობის, შესაბამისი სიტუაციის და სამოქმედო ძალების შესაბამისობაშია. ამ მიდგომის თანახმად, ბულინგის ნებისმიერი ფორმის გამოვლინებას წინ უსწრებს შესაბამისი განწყობა, სიტუაცია და სამოქმედო ძალების არსებობა.

ნადირაშვილის განმარტებით, ინდივიდს თავისი მთლიანობის განმტკიცებისათვის აგრესიული მოთხოვნილება აქვს. აგრესიულ ქცევას ინდივიდები გაბოროტების საფუძველზე გამოხატავენ, რომელთა მოტივაცია სხვისთვის ზიანის მიყენებაა (ნადირაშვილი, 2001). თუმცა აგრესიული ქცევის გამოსავლენად მხოლოდ მოტივი არ არის საკმარისი, მას მსგავსი ქცევის გამოვლენაში სამოქმედოდ შესაფერისი სიტუაციაც უბიძგებს. შესაბამისად თუ არ იქნება შესაბამისი სიტუაცია, ინდივიდსაც არ ექნება აგრესიული განწყობა, რაც მას პასიურ მდგომარეობაში ამყოფებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ინდივიდის აგრესიულ ქცევას სამი გარემოება უწყობს ხელს: 1) შინაგანი მოთხოვნილება; 2) მოთხოვნილების შესაბამისი სიტუაცია და 3) შესაძლებლობა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაშინების/ბულინგის მექანიზმად გარემო ფაქტორი მოიაზრება. შესაბამისად, თუ კონტექსტში, ამ შემთხვევაში სასკოლო გარემოში სიტუაცია აგრესიული ქცევისთვის შეუსაბამო იქნება, ამით დაშინების გამოხატვის შემთხვევები შემცირდება (ასათიანი & წერეთელი, 2020).

## 2. ბულინგი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში (საქართველოსა და აშშ-ს მაგალითზე)

## 2.2.1. ბულინგი საქართველოს განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში

მარეგულირებელი დოკუმენტების ტექსტებს დიდი გავლენა აქვთ ინსტიტუციურ გარემოზე, რომელშიც ტექსტის ენა მოიაზრება, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ქმედებაში მომყვანი ინსტრუმენტი. მოსწავლეთა უსაფრთხოება სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებების მარეგულირებელ დოკუმენტების დისკურსშიც აისახება.

საქართველოს კონტექსტში სასკოლო ბულინგის პრევენციის და მისი გამოვლენის შემთხვევაში სამართლებრივი შეფასების რეგულაციები გადანაწილებულია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ კრძალავს სკოლაში ნებისმიერი სახის ძალადობას და ავალდებულებს საგანმანათლებლო დაწესებულებას კანონით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას: *„დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით...“* (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 20, N 1330). აღნიშნული ჩანაწერი სკოლას ავალდებულებს ბავშვის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევის ადგილზე შესწავლას, ანალიზსა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას; საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოების და სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირებას.

საქართველოს საგანმანათლებლო სიტემაში ბავშვის, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მიზნით, აგრეთვე ბულინგის პრევენციისთვის, არაერთი რეფორმა გატარდა. ამის მაგალითია მანდატურის სამსახურის შემოღება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით და მათშორის ბულინგის სხვადასხვა ფორმის

პრევენციისათვის, 2013 წლიდან საქართველოს საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, მანდატურის სამსახურის კომპეტენციებში, როგორც ბულინგის პრევენციული ზომების გატარება, ასევე ბულინგის მსხვერპლი მოსწავლეების ფსიქოლოგიური მომსახურებაც შედის. „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ამოცანებია:

...ვ) კატასტროფისთვის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათშორის, ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ვ)1 ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათშორის, ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N 1330).

ბულინგის პრევენციისთვის სახელმწიფოს ხედვას გადამწყვეტი როლი აკისრია. სწავლება-სწავლის შინაარსი განათლების პოლიტიკიდან გამომდინარეობს და სახელმწიფო ხედვითაა განსაზღვრული. საგანმანათლებლო პოლიტიკა მოქმედებს, როგორც სახელმწიფო დონეზე, სადაც პოლიტიკის ფორმულირება ხდება, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზეც, სადაც პოლიტიკის რეალიზება ხდება. სწორედ ამიტომ განათლების მარეგულირებელ დოკუმენტების დისკურსში დაშინების ფენომენის რეგულირების წინა პლანზე წამოწევა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერაქციის პრაქტიკაზე აისახება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის იანვრის №06/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები განისაზღვრა. აღნიშნული დოკუმენტი ბულინგის პრევენციისა და

რეგულირებისთვის სხვადასხვა ტიპის ვალდებულებებს აკისრებს სკოლას. კერძოდ, სკოლას ვალდებულება აქვს სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებთან ორჯერ მაინც გამართოს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტიპის შეხვედრები, სადაც განიმარტება ბულინგის არსი და მიეწოდება ინფორმაცია პრევენციული გზების შესახებ. „...სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია, **ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ...**” (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ). პრევენციულ ღონისძიებებში აღნიშნული დოკუმენტი სასკოლო საზოგადოების, მათ შორის მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, ჩართულობის აუცილებლობასაც მოიაზრებს. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით სკოლას სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან საინფორმაციო შეხვედრის აუცილებლობა განესაზღვრა, სადაც განიხილება ბულინგის ფსიქოლოგიური გავლენა მოსწავლეზე: „...სკოლა **ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;** (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ).

სამართლებრივი თვალსაზრისით სკოლას ბულინგის იდენტიფიცირების ვალდებულება აკისრია და ლოკალურად სკოლის დონეზე მისი მოგვარების საჭიროებას ესმება ხაზი. „**მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია არიან დაადგინონ ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბრონ ყველა ჩართულ მხარეს,**

დაადგინონ წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაონ პრობლემის მოგვარების გზები“ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ).

კანონით ბულინგი არამარტო ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების ფორმად აღიქმება, არამედ შესაძლოა გახდეს სამართლებრივი დევნის საფუძველიც. ბულინგის გამოვლენის შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, სკოლის დონეზე მოგვარების ნაცვლად, შესაძლოა ინდივიდის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

*„ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი ან კიბერბულინგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს“* (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ).

## 2.2.2. ბულინგი ამერიკის განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების დისკურსში

ამერიკულ კონტექსტში სახელმწიფო და ფედერალური კანონმდებლობა არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის ძალადობას და ავალდებულებს საგანმანათლებლო დაწესებულებას კანონით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას:

*“...Schools strive to provide a positive and productive learning and working environment. Bullying, harassment, intimidation, or hazing, by students, staff, or third*

*parties, is strictly prohibited and shall not be tolerated...*” (Legal Reference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedures).

...სკოლები უზრუნველყოფენ პოზიტიურ, პროდუქტიულ სასწავლო და სამუშაო გარემოს. მკაცრად აკრძალული და მიუღებელია სკოლის პერსონალის, მოსწავლეების ან მესამე მხარის მიერ სასკოლო თემის წარმომადგენლის ბულინგი, შევიწროება, დაშინება ან შეურაცხყოფა... (Legal Reference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedures).

დოკუმენტში არსებული სიტყვები: **strictly prohibited and shall not be tolerated** (მკაცრად აკრძალული და მიუღებელი) ამერიკული განათლების სისტემის ბულინგის გამოვლენის მიმართ პრევენციულსა და მკაცრ დამოკიდებულებას წარმოაჩენს.

პრევენციული ზომების მიუხედავად, ბულინგის გამოვლენის შემთხვევაში მარეგულირებელ დოკუმენტშივე მოცემულია დეტალური განსაზღვრება სასკოლო თემის თითოეული წევრის მიმართ კანონმდებლობის შესაბამის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით:

*“... **Students** whose behavior is found to be in violation of this policy **will be subject to discipline up to and including expulsion.** **Staff** whose behavior is found to be in violation of this policy **will be subject to discipline up to and including dismissal.** **Third parties** whose behavior is found to be in violation of this policy **shall be subject to appropriate sanctions as determined and imposed by the District Administrator or the Board...**” (Legal Reference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedures).*

...სტუდენტი, რომელიც დაარღვევს ამ წესებს, დაექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხვას. საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მიერ აღნიშნული რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან. მესამე მხარე აღნიშნული რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში ექვემდებარება მუნიციპალურ

*შესაბამის სანქციებს* (Legal Rreference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedurs).

ამერიკული რეგულაციების თანახმად, ინდივიდის მიერ ჩადენილი ბულინგის დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, სკოლის დონეზე მოგვარების ნაცვლად, შესაძლოა ინდივიდის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს:

*“...Individuals may also be referred to law enforcement officials...”* (Legal Rreference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedurs).

*„...ფიზიკური პირები შეიძლება გადაეცნენ სამართალდამცავ ორგანოებს...”* (Legal Rreference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedurs).

ამერიკულ სკოლას ბულინგის პრევენციისა და რეგულირებისთვის სხვადასხვა ტიპის ვალდებულებები აკისრია. ყოველწლიურად სკოლას ვალდებულება აქვს სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებთან და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლებთან გამართოს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტიპის შეხვედრები:

*“...All schools will implement procedures to prevent and mitigate acts of bullying, harassment, and intimidation.*

*Each school principal will provide an annual review and offer professional development to all **teachers** and the **entire school staff** on the prevention, identification, reporting, investigation and resolution of allegations of bullying and harassment.*

*Schools will inform students and parents/guardians that bullying and harassment will not be tolerated. **Student training shall include** the definitions of bullying and harassment, examples of bullying and harassment. This training will occur within the first two months of school and should be on-going... ”* (Legal Rreference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedurs; 10.55.801(1)(a) ARM School Climate).



„...სკოლა ბულინგის, შევიწროებისა და დაშინების პრევენციის მიზნით შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს. სკოლის დირექტორი ყოველწლიურად ყველა მასწავლებელს და სკოლის მთელ პერსონალს პროფესიულ გადამზადებას სთავაზობს ბულინგის იდენტიფიკაციისა და პრევენციის მიზნით...“

სკოლას მოსწავლეების, მშობლების/მეურვეების, ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლების ვალდებულება აკისრია. მოსწავლეების ტრენინგი უნდა მოიცავდეს ბულინგისა და შევიწროების განმარტებებს, ბულინგის და შევიწროების მაგალითებს. ტრენინგი ჩატარდება სკოლის დაწყებიდან პირველი ორი თვის განმავლობაში და უნდა იყოს უწყვეტი პროცესი...“ (Legal Reference: 10.55.701(2)(f), ARM Board of Trustees; 10.55.719, ARM Student Protection Procedures; 10.55.801(1)(a) ARM School Climate).

### 2.3. ბულინგის სოციალური ფენომენი

სკოლებში ბულინგის ფენომენი მრავალმხრივია და იგი შესაძლოა რამდენიმე ფაქტორს უკავშირდებოდეს. ქვეყანაში უმუშევრობის კრიზისს, ბავშვის სწავლა-განვითარებაში მშობლების ზედაპირულ ჩართულობას, ოჯახის წევრების ქცევებს და ცხოვრების დინამიკასა და სტანდარტს. შედეგად ბულინგის პრევენციის პროცესებში მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად ოჯახი შესაძლოა ნაკლებად იყოს ჩართული ან საერთოდ არ იყოს. ასეთ მოცემულობაში ოჯახი ან ყურადღებას ვერ აქცევს ან დრო არ აქვს, რომ შესაბამისად ირეაგიროს ბავშვების არასასურველ ქცევაზე, რომელიც გამოიხატება ძირითადად სხვაზე ზიანის მიყენებით (მჩაგვრელი) ან თავად იყოს მსხვერპლი, ან კიდევ იყოს ბულინგის შემთხვევის ნეიტრალური დამკვირვებელი, რომელსაც ეფექტური ჩარევის ინიციატივა არ ექნება.

დღეისათვის სკოლაში ბულინგის ფენომენის შესწავლა სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. დაშინების ფენომენის მრავალმხრივი შესწავლა ზრდის მისი არსის მნიშვნელობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინტერდისციპლინარული კავშირი იქმნება.

სასკოლო ბულინგის ფენომენი სოციალური პედაგოგიკის ინტერესის სფეროც გახდა. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოციალური პედაგოგიკა ინტერესდება იმ გარემოებით, თუ რატომ არჩევს აგრესორი კონკრეტულ ბავშვს როგორც ბულინგის მსხვერპლს. - ამ კითხვაზე პასუხი არის, ის რომ მსხვერპლი:

- 1) აგრესორისგან განსხვავებულია;
- 2) შედარებით სუსტია;
- 3) არის ძალიან სენსიტიური
- 4) არც აგრესორის მსგავსად გამოიყურება და არც სხვა ბავშვებს ჰგავს;
- 5) რასაც მის მიმართ ჩადიან, ამაზე არც ეწინააღმდეგება და არც უკმაყოფილებას გამოხატავს;
- 6) ჩვეულებრივ ეშინია ხოლმე;
- 7) მეტისმეტად ჩუმი და მორცხვია;
- 8) აქვს პიროვნული პრობლემები;
- 9) არ ჰყავს მეგობრები;
- 10) არავინ უჭერს მხარს;
- 11) მისი განსხვავებულობა იწვევს მოძალადეს.

სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვასთან ერთად სასკოლო კლიმატის მნიშვნელოვანი ელემენტია მოსწავლეების უსაფრთხოება და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ამავდროულად, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ სკოლას შესაბამისი გარემოს შექმნას ავალდებულებს: „...სკოლა ვალდებულია სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და დაიცვას ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „31“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვის წესი და პირობები (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330, მუხლი 9 ).

არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ბულინგი სკოლაში კვლავ აქტუალურ და მოუგვარებელ პრობლემად რჩება. პრობლემის საფუძვლიანად შესწავლა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა საჭიროებს ბულინგის, როგორც ფენომენის უფრო სიღრმისეულ ანალიზს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბულინგის რამდენიმე ფორმაა ცნობილი: *ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი, ურთიერთობითი ბულინგი, რელიგიური ნიშნით გამოხატული ბულინგი, გენდერული ნიშნით გამოხატული ბულინგი, მოსწავლეების მიერ მასწავლებლის ბულინგი და კიბერბულინგი.*

*ფიზიკური ბულინგი* - არის ბულინგის ფორმა, როდესაც აგრესორი ფიზიკურად ეხება მსხვერპლს და მას ზიანს აყენებს. მისი სპეციფიკა განსხვავდება სხვა შემთხვევებისგან იმ თვალსაზრისით, რომ იგი გამოიხატება მსხვერპლზე ფიზიკური თავდასხმით. ფიზიკური ბულინგი ერთ-ერთი საშიში და ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ფიზიკური ბულინგის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა მსხვერპლის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნას.

*ვერბალური ბულინგი* - არის სასკოლო კონტექსტში გავრცელებული დაშინების ფორმა. იგი მსხვერპლის დამცირების და მასზე ფსიქოლოგიური ძალადობის ხასიათს ატარებს. მისი გამოხატვის ფორმებია: დაშინება, შეურაცხყოფა, დაცინვა, ღირსების შელახვა. შესაძლოა, ყურადღება მახვილდებოდეს ადამიანის გარეგნულ მახასიათებლებზე, რელიგიურ და ეთნიკურ კუთვნილებაზე, გენდერულ იდენტობაზე, შეზღუდულ შესაძლებლობაზე და ა.შ.

*ურთიერთობითი ბულინგი* - არის ირიბი აგრესია. ბულინგის ამ ფორმით ერთი ინდივიდი მეორის დამცირებას ტყუილების და ჭორების გავრცელებით ცდილობს. აგრესორის მოტივაცია არის მსხვერპლი სოციალურად იზოლირდეს და იგი საზოგადოებისთვის მიუღებელი გახდეს. ურთიერთობითი ბულინგი ფიზიკური და

ვერბალური აგრესიის გამოხატვისგან განსხვავდება იმ თვალსაზრისით, რომ იგი ფარულად მიმდინარეობს და მისი გამოვლენის შესაძლებლობა რთულია.

*კიბერბულინგი* - ვლინდება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით, ძირითადად სოციალური ქსელებში და მოიცავს შესაბამისად, როგორც ვერბალურ, ისე რელაციონალურ ბულინგს.

უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებში მრავალმხრივი პრევენციული ღონისძიებები გატარდა. მიუხედავად ამისა, სასკოლო სივრცეში ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება კვლავ ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. ასე მაგალითად, სასკოლო კონტექსტში დღემდე პრობლემაა *ბულინგი*. იგი, როგორც დაშინების ფორმა, არა მარტო პიროვნების ინდივიდუალური ქცევის გამოხატულებაა, არამედ ეს არის პიროვნების მიერ კონკრეტულ კონტექსტში დამკვიდრებული ქცევების მიზანმიმართული უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თანატოლებთან, ოჯახთან და სოციუმის სხვა წევრებთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ გავლენას აგრესორი სხვებთან ინტერაქციის დროს გამოხატავს.

ოჯახის შემდეგ სკოლა არის სივრცე, სადაც მოსწავლეები დიდ დროს ატარებენ. შესაბამისად, სკოლის სივრცეში ხშირია დაშინების ფაქტები, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულების მოუგვარებელ პრობლემად კვლავ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის მიზანი სასკოლო დისკურსში ბულინგის გამოხატულების ლინგვისტური ანალიზია (რაც თავის მხრივ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს), ამ კონკრეტულ პარაგრაფში საკითხს ჩვენ განვიხილავთ, როგორც სოციალურ პრობლემას, რომელიც როგორც განვითარებულ ასევე განვითარებად სისტემებისთვის გამოწვევად რჩება. ხოლო მომდევნო პარაგრაფი ბულინგის გამოხატულების ლინგვისტურ ანალიზს ეთმობა.

### 2.3.1. ქართველი და ამერიკელი მოსწავლეები ბულინგის შესახებ (სოციოლოგიური კვლევა)


განვითარებად და განვითარებული სისტემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბულინგის პრობლემის შედარებითი ანალიზისთვის ბათუმის N15 საჯარო სკოლაში და ამერიკის შეერთებული შტატებში, მონტანას შტატის ქალაქ ბოუზმენის სკოლაში (Gallatin High School) განხორციელდა მრავალმხრივი კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა ორივე სკოლის 14-15 წლის ქართველი და ამერიკელი მოსწავლეები. თითოეული სკოლიდან 20-მა მოსწავლემ უპასუხა სპეციალურად შემუშავებულ კითხვარს. ასევე ორივე სკოლიდან 12 მოსწავლესთან განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუ. პრობლემის უკეთესად წარმოჩენისათვის, შესწავლისათვის კვლევაში მონაწილეობა მიიღო აღნიშნული სკოლების ორმა მასწავლებელმა და სკოლის დირექტორებმა.

კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ბულინგის პრობლემის მუდმივი აქტუალობიდან გამომდინარე, როგორც საქართველოში ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოკითხული მოსწავლეების სრული უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას სასკოლაში ბულინგის პრობლემის შესახებ (იხ. სქემა N°1).

სქემაN°1

სასკოლო გარემოში ბულინგის პრობლემის შესახებ სასკოლო თემის წარმომადგენლები (მათ შორის მოსწავლეები) პრობლემის შესახებ არა მხოლოდ ფლობენ ინფორმაციას, არამედ პროცესის თვითმხილველნი ან ბულინგის მონაწილენი არიან (იხ. სქემაN°2).

სქემაN°2




მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე განათლების სისტემებში ბულინგის პრობლემის გადაჭრის გზებს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, იგი კვლავ მოუგვარებელ გამოწვევად რჩება, როგორც წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებში, ასევე განვითარებად ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებისთვისაც. ამის მკაფიო მაგალითია საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოკითხული რესპონდენტების შედეგები. კვლევაში მონაწილე ქართველი მოსწავლეების 80% ადასტურებს, რომ ბულინგის თვითმხილველნი არიან. ამ კონკრეტული კითხვის პასუხებში არ გამოირიცხება მათი მონაწილეობაც, როგორც მსხვერპლის, ან აგრესორის როლში.

განსხვავებით ქართველი მოსწავლეებისაგან, კვლევაში მონაწილე ამერიკელი მოსწავლეების უფრო მეტი რაოდენობა (85%) ადასტურებს სასკოლო სივრცეში ბულინგის პრეცედენტების არსებობას (იხ. სქემა№2).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ბულინგის რამდენიმე ფორმაა ცნობილი: *ფიზიკური ბულინგი*, *ვერბალური ბულინგი*, *ურთიერთობითი ბულინგი*, *რელიგიური ნიშნით გამოხატული ბულინგი*,

გენდერული ნიშნით გამოხატული ბულინგი და კიბერბულინგი. ჩვენი მცდელობა იყო არამართო სხვა ავტორების ნაშრომები ყოფილიყო ჩვენთვის საყრდენი წყარო, არამედ უშუალოდ რესპონდენტების პასუხებიდან დაგვენახა რეალური სურათი (იხ. სქემა №3).

(სქემა №3)



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგანმანათლებლო სივრცეში სპეციალისტები ბულინგის სხვადასხვა ფორმაზე მიუთითებენ. ჩვენი მიზანი იყო გაგვეჩვენა ბულინგის რომელი ფორმაა უფრო მეტად გავრცელებული მოსწავლეების შეფასებით. კითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე რესპონდენტებს ერთზე მეტი პასუხის მონიშვნა შეეძლოთ, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევდა სხვადასხვა ფორმით გამოხატული ბულინგის შემთხვევაში ერთზე მეტი პასუხის აერჩიათ. არჩევანის მრავალმხრივობის მიუხედავად, ქართველმა მოსწავლეებმა პრიორიტეტი თითო პასუხს მიანიჭეს. 55%-ის მოსაზრებით, ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ვერბალური ბულინგი. აგრესიის ეს ფორმა გულისხმობს უშუალოდ

პირისპირ ურთიერთობის დროს კომუნიკაციის პროცესში თანამოსაუბრეზე დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი სიტყვებით ზიანის მიყენებას. ქართველი მოსწავლეების 25%-ის თანახმად, ფიზიკური ფორმით გამოხატული ბულინგი ვერბალურის შემდეგ მეორე ადგილზეა. რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში წამოჭრილ ბულინგის ახალ ფორმას, - კიბერბულინგს, ქართველი მოსწავლეების (20%) მიხედვით, ვერბალურ და ფიზიკურ ბულინგზე უფრო ნაკლებად ფიქსირდება ქართულ კონტექსტში. რაც შეეხება ამერიკელი მოსწავლეების პასუხებს, მათი მოსაზრებით (65%) ვერბალური ბულინგი უფრო ხშირია. თუმცა, აქ არის ის განსხვავება, რომ ამერიკელი რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა (25%) ასახელებს კიბერბულინგს სკოლის პრობლემად. ხოლო ფიზიკური ბულინგის ფაქტებს რესპონდენტთა მხოლოდ 10% ადასტურებს.

ბულინგის ფორმებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გვხვდება კვლევაში მონაწილე იმ ქართველი მოსწავლეების პასუხებში, რომლებთანაც ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა. მათი მოსაზრებით, ყველაზე მეტად გავრცელებული კიბერბულინგი და ფიზიკური ბულინგის ფორმებია:

ქართველი მოსწავლე N1: *„...ჩემი აზრით ყველაზე მეტად გავრცელებული ბულინგის ფორმა კიბერბულინგია. მაგალითად, როცა ატვირთავ შენს ვიდეოს სოციალურ ქსელში, გიწერენ ცუდ კომენტარებს, შეურაცხყოფას გაყენებენ. შეიძლება იყოს გინებაც. ჩაცმულობის სტილზეც შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი კომენტარი...“*

ქართველი მოსწავლე N2: *„...სკოლაში არა, თუმცა სკოლის გარეთ, ეზოში ან ქუჩაში ფიზიკური ბულინგიც ხშირია. გასულ წელს იყო ასეთი ფულის გამოძალვაზე, მგონი პოლიციის ჩარევით თუ რაღაც ასე განვითარდა ეს საქმე...“*


ამერიკელი მოსწავლეები ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს კიბერბულინგს ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ფორმად ასახელებენ. თუმცა ფიზიკური ბულინგი მათი მოსაზრებით ნაკლებად გავრცელებული ფორმაა. კიბერბულინგი ძირითადად უკავშირდება რასიზმს, გენდერს და რელიგიურ განსხვავებულობას:



ამერიკელი მოსწავლე: „...უფრო ხშირია კიბერბულინგი ვიდრე ფიზიკური ბულინგი. იშვიათად არის შშმ პირის მიმართ ბულინგის შემთხვევები. მაგრამ ხშირია გენდერული ბულინგი, რასიზმი და რელიგიური განსხვავებულობაც ხშირად ხდება ბულინგის მიზეზი...“

მოსწავლეები არამხოლოდ ფლობენ ინფორმაციას ბულინგის შესახებ ან თავად შესწრებიან ბულინგის შემთხვევებს, ასევე შესაძლებელია თავად იყვნენ ბულინგში ჩართული პირები. სწორედ მათი ჩართულობის ფორმების წარმოჩენას უკავშირდება ჩვენი შემდეგი კითხვა (იხ.სქემა№4).

(სქემა№4)



კვლევაში მონაწილე ქართველი და ამერიკელი მოსწავლეები საგანმანათლებლო სივრცეში ბულინგის სხვადასხვა ფორმის არსებობას ადასტურებენ. თუმცა, ბულინგის შემთხვევების დროს საინტერესოა მათი ჩართულობის ფორმებიც. გამოკითხული ქართველი მოსწავლეების 10% ბულინგის მონაწილეობას თვითმხილველის პოზიციიდან ადასტურებს. საყურადღებოა, რომ მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილი, 50% ბულინგის მსხვერპლად მიიჩნევს თავს. ხოლო 40% მიიჩნევს, რომ არასოდეს ყოფილა არც მსხვერპლი და არც აგრესორი.


უნდა აღინიშნოს, მოსწავლეების დამოკიდებულება ბულინგის დროს აგრესორად ჩართულობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხული რესპონდენტების სრული უმრავლესობა არასოდეს ყოფილა ბულინგის დროს ჩართული, როგორც აგრესორი. გონივრულია ვივარაუდოთ, რომ საკითხის პრობლემური შინაარსიდან გამომდინარე მოსწავლეებმა გულწრფელი პასუხების დაფიქსირებისაგან თავი შეიკავეს.

იგივე კითხვაზე ამერიკელი მოსწავლეების პასუხები განსხვავებულ სურათს გვაძლევს: რესპონდენტების 20% ბულინგში მონაწილეობდა, როგორც თვითმხილველი. ქართველი მოსწავლეებიდან განსხვავებით, მხოლოდ 25% მიიჩნევს თავს ბულინგის მსხვერპლად. ხოლო გამოკითხული რესპონდენტების 55% თვლის რომ არასოდეს ყოფილა არც აგრესორი და არც მსხვერპლი. რაც შეეხება ბულინგში მათ აგრესორად მონაწილეობას, ქართველი მოსწავლეების მსგავსად ამერიკელი მოსწავლეების სრული უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არასოდეს ყოფილა ჩართული როგორც აგრესორი.

როდესაც სკოლის უსაფრთხოებას განიხილავენ, როგორც წესი, აქცენტი ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე კეთდება. ხშირად სასკოლო თემის წევრების მოსაზრებით გამართული ინფრასტრუქტურა, სკოლის შენობაში უცხო პირების შესვლის კონტროლი ა.შ. დაცულობის გარანტიაა.

ცალსახად, უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და ის მოსწავლეების ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც მოიცავს. სწორედ ამ კუთხით პრობლემის უკეთ წარმოჩენას ეხება ჩვენი შემდეგი კითხვა, რომ პრობლემა თავად მოსწავლეების პერსპექტივით დაგვეჩვენა (სქემა№5).

(სქემა№5)




უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის გააზრებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია მოსწავლეების შეხედულების ანალიზი, თუ სად ფიქსირდება ბუღინგის უფრო მეტი შემთხვევა კვლევაში მონაწილე ქართველი მოსწავლეების 35% მიიჩნევს, რომ უშუალოდ სკოლის სივრცეში ფიქსირდება ბუღინგის შემთხვევები. უფრო ნაკლები, 20%-ის მოსაზრებით მოსწავლეთა შორის ბუღინგის ფაქტები უფრო მეტად სკოლის ეზოში ან სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვლინდება. ხოლო 45% სოციალურ ქსელებს ასახელებს ბუღინგის ფაქტების მთავარ სივრცედ.

განსხვავებულ რეალობას აჩვენებს იგივე კითხვაზე ამერიკელი მოსწავლეების პასუხები: რესპონდენტების 50% სკოლის სივრცეს მიიჩნევს ბუღინგის ფაქტების კონტექსტად. ზუსტად იგივე რაოდენობა (50%) კი სოციალურ ქსელებს მიიჩნევს სივრცედ, სადაც თანატოლების ბუღინგი ფიქსირდება. უნდა აღინიშნოს ამერიკელი მოსწავლეების პასუხებში ეზო ან ქუჩა ბუღინგის შემთხვევების კონტექსტად საერთოდ არ არის აღნიშნული. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს ორ ქვეყანას შორის განსხვავებული რეალობა. მაგალითად, ამერიკულ სკოლაში, სადაც კვლევა ჩატარდა, სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე ხდება მოსწავლეების სახლში სასკოლო სერვისით ტრანსპორტირება, რაც ბუნებრივია გამორიცხავს სკოლის კონტექსტის

მიღმა მოსწავლეების ინტერაქციას. შესაბამისად ბულინგის შესაძლებლობაც ნაკლებია.

სასკოლო სივრცეში უსაფრთხოების ვალდებულებას სკოლას კანონმდებლობა აკისრებს: „...სკოლა ვალდებულია სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო...“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, N1330). მიუხედავად ამისა, სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირების შეღწევა და მათი მხრიდან სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დარღვევა მაინც ხდება (იხ. სქემა№6).

(სქემა№6)



როგორც კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, მოსწავლის მიმართ ძალადობა არამარტო სასკოლო თემის წევრებმა, არამედ შესაძლოა გარეშე პირმა განახორციელოს. რაც სკოლის უსაფრთხოების ვალდებულების შესრულებას, სასკოლო თემის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ეჭვქვეშ აყენებს. კვლევაში მონაწილე ქართველი რესპონდენტების 65% სკოლის მოსწავლეებზე გარეშე


პირების მხრიდან ძალადობას ადასტურებს. ხოლო შედარებით მცირე ნაწილი, 35% ამ ფაქტს უარყოფს.

საპირისპირო რეალობას ასახავს ამერიკელი მოსწავლეების პასუხები ამ საკითხთან დაკავშირებით. რესპონდენტების 65% აღნიშნავს, რომ მათ სკოლაში გარეშე პირების მიერ მოსწავლეების მიმართ განხორციელებული ბულინგი არასოდეს დაუფიქსირებიათ. ხოლო 35% ასეთ ფაქტს ადასტურებს.

აღნიშნული მონაცემები ორი სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის ჭრილში, რომ განვიხილოთ, ამერიკული სკოლებში დაცულობის უფრო მეტი განცდა ჩანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარეშე პირების მხრიდან ბულინგის პრევენტები ორივე სკოლაში ფიქსირდება.

ძალადობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა შეეძლოთ პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია ბულინგის პრევენცია შესაძლებელი. ქვემოთ მოცემული სქემა წარმოაჩენს მოსწავლეების დამოკიდებულებას ძალადობაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებით (იხ. სქემა№7).


(სქემა№7)



ზემოთ აღნიშნა, რომ სასკოლო სივრცეში მოსწავლეების, როგორც ფსიქოლოგიური ასევე ფიზიკური უსაფრთხოების ვალდებულება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აკისრია. თუმცა ორივე ქვეყნის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსწავლეებს სკოლის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ ნდობა არ აქვთ. კვლევაში მონაწილე ქართველი მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილი (20%) მიიჩნევს, რომ სკოლაში მათ პასუხისმგებელი პირები ბუღინგისაგან იცავენ. გამოკითხული მოსწავლეების ნახევარი (50%) ფიქრობს, რომ მათი ბუღინგისაგან პასუხისმგებელი პირები ვერ იცავენ. რესპონდენტების 30% -ს კი ამ საკითხზე მოსაზრება არ აქვთ.

რაც შეეხება ამერიკელი მოსწავლეების მოსაზრებას, ქართველი მოსწავლეებისაგან მცირედით მეტი (25%) მიიჩნევს რომ პასუხისმგებელი პირები მათ ბუღინგისაგან იცავენ. რესპონდენტების 40% ფიქრობს, რომ ბუღინგისაგან მათ ვერ იცავენ. ხოლო 35%-ს ამ საკითხზე არ უფიქრია.

სასკოლო სივრცეში ბუღინგის პრევენციის შესახებ დარგის სპეციალისტების მრავალი მოსაზრება არსებობს. თუმცა, თითქმის არ მოიპოვება მოსწავლეების შეხედულება თავად როგორ წარმოუდგენიათ ამ პრობლემის მოგვარების გზები. აღნიშნულ კვლევაში ერთ-ერთი კითხვა მოსწავლეების შეხედულებებს უკავშირდება (იხ. სქემა №8).



ქართველი მოსწავლეების 60% მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბულინგის პრევენცია შესაძლებელია, თუ ბულინგის დაფიქსირებული ფაქტების შემთხვევაში აგრესორის მიმართ იქნება სადამსჯელო ღონისძიებები გატარებული. რესპონდენტების 40% კი თვლის, რომ ბულინგის პრევენცია შესაძლებელია, თუ უფროსები დროულად შეამჩნევენ და მოხდება სათანადო რეაგირება.

ქართველი მოსწავლეების მსგავსად, ამერიკელი მოსწავლეების 40% ფიქრობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბულინგის პრევენციას ხელს შეუწყობს მოძალადის სათანადოდ დასჯის შემთხვევები, რაც სავარაუდოდ პოტენციური მოძალადისთვის შემაკავებელი ბერკეტი იქნება. ამავე, რესპონდენტების 25%-ის მოსაზრებით ბულინგის პრევენცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ უფროსების მხრიდან დროული ჩარევა მოხდება. მოსწავლეების 25% მიიჩნევს, რომ ბულინგის პრევენცია შეუძლებელია. საყურადღებოა ამერიკელი მოსწავლეების მცირე ნაწილის (10%) მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ბულინგის პრევენციისათვის თავად მსხვერპლმაც უნდა შეცვალოს ქცევა. მსხვერპლის მხრიდან ქცევის შეცვლის ორი ვერსია შეიძლება განვიხილოთ: პირველი, მსხვერპლმა შესაძლოა აგრესორის

მოგერიების გზებს მიმართოს, დროულად აცნობოს უფროსებს. ან მეორე, შეცვალოს ქცევა რომლითაც იგი აგრესორის ყურადღებას იწვევს.

ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს ამერიკელი მოსწავლეები ბულინგის პრევენციის გზებს შემდეგნაირად განმარტავენ:

*"... In my opinion, victims should protect themselves from bullying. However, students should be taught at school what to do when they are bullied. A school should have strict regulations to punish aggressors. People should understand the harm of bullying in the same way. When the aggressor is punished, others will be afraid of punishment ... "*

*...ჩემი აზრით, თავად მსხვერპლმა უნდა დაიცვას საკუთარი თავი ბულინგისაგან, თუმცა ამისათვის საჭიროა სკოლაში მოსწავლეებს ასწავლიდნენ გზებს, თუ როგორ მოიქცნენ მათ მიმართ ბულინგის გამოვლენის შემთხვევაში. ასევე სკოლას უნდა ჰქონდეს მკაცრი რეგულაციები აგრესორის დასასჯელად, ადამიანებს ერთნაირად უნდა ესმოდეთ ბულინგის ზიანი. როდესაც აგრესორი დაისჯება სხვებს სასჯელის შეეშინდებათ... (თარგმანი: რ.შ.)*

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები პრობლემის მოგვარებას ერთნაირად არ განიხილავენ. საწინააღმდეგო მოსაზრების დროს მოძალადის დასჯას პრობლემის ეფექტურ მოგვარების გზად არ მოიაზრებენ:


*(ამერიკელი მოსწავლე) „...მე ვფიქრობ, რომ მოძალადის დასჯა არ არის ერთადერთი გამოსავალი. მან შესაძლოა სასჯელის შიშით დანაშაული არ ჩაიდინოს, თუმცა სკოლის დასრულების შემდეგ მაინც გამოავლინოს აგრესიას. შეუძლებელია ყველა დასაჯო. კეთილი ადამიანებიც კი შეიძლება ზოგჯერ უშვებდნენ შეცდომებს. ამიტომ მე გამოსავალს ინფორმირებაში ვხედავ...”*

ბულინგის პრევენცია სასკოლო თემის ვალდებულებაა. ქვემოთ წარმოდგენილია მოსწავლეების ხედვა პრევენციის საკითხთან დაკავშირებით.

(სქემა№9)



## თქვენი აზრით ვის შეუძლია საგანმანათლებლო ორგანიზაციაში ბუღინგის აღმოფხვრა/პრევენცია?



გამოკითხული ქართველი მოსწავლეების 65% ბუღინგის პრევენციის ვალდებულებას სკოლის ადმინისტრაციას აკისრებენ. 20%-ის აზრით კი ბუღინგის აღმოფხვრა აკადემიურ პერსონალს (მასწავლებლებს) შეუძლიათ. ძალიან მცირე ნაწილი 5% ფიქრობს, რომ ბუღინგის პრევენცია მშობლების პასუხისმგებლობის საკითხია.

ბუღინგის პრევენციასთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ამერიკელ მოსწავლეებს. რესპონდენტების 50%-ს მიაჩნია რომ ბუღინგის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი თავად მოსწავლეებს აკისრიათ. 25% - ის აზრით, ბუღინგის პრევენცია აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს შეუძლიათ. მხოლოდ 15% ფიქრობს, რომ ბუღინგის მოგვარება სკოლის ადმინისტრაციას პრეროგატივაა. 10% კი პრობლემის პრევენციისთვის მშობლების ჩართულობას მოიაზრებს.

### 2.3.2. ქართული და ამერიკული სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების მოსაზრება ბუღინგის შესახებ (სოციალური კვლევა)

სკოლას ბუღინგის პრევენციის ეთიკური და ლეგალური ვალდებულება აკისრია. სკოლის ერთ-ერთი მისიაა ყველა სტუდენტის უსაფრთხოებისა და

უფლებების დაცვა. სკოლის მისიის რეალიზება კი დამოკიდებულია „კოლექტიურ ქმედითობაზე“, რომელიც სოციალურ-კოგნიტიური თეორიიდან (Bandura, 1986) წარმოიშვა. კოლექტიური ქმედითობა განსაზღვრულია, როგორც ჯგუფის რწმენა საერთო მიზნების ერთად განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ჯგუფის წევრების ერთიანობა და ნდობა ქმნის საერთო კეთილდღეობას. დარგის სპეციალისტების მოსაზრებით კოლექტიური ქმედებებით შესაძლოა შემცირდეს ან სრულად აღმოიფხვრას ბულინგი (Williams & Guerra, 2011). ზრუნვაზე ორიენტირებულ სკოლის დირექტორს მასწავლებლებში შეუძლია ბულინგის პრევენციის მიზნით მათი პასუხისმგებლობის გაზრდა.

სასკოლო კლიმატის კონტროლისა და ბულინგის პრევენციის დროს, დირექტორის, როგორც აკადემიური ლიდერის როლს წარმოაჩენს ქვემოთ მოცემული კვლევა, სადაც წარმოდგენილია ქართული და ამერიკული სკოლის დირექტორების შეხედულება საგანმანათლებლო სივრცეში ბულინგის პრევენციისას, მათი როგორც სკოლის პირველი პირის როლი.

ნაშრომის მეორე თავში ბულინგის არაერთი მეცნიერული დეფინიცია განვიხილეთ, თუმცა კვლევაში მონაწილე პირების (დირექტორების) მხრიდან ბულინგის, როგორც ფენომენის განმარტებები მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, პრობლემასთან დაკავშირებით მათი წარმოდგენების უკეთესად წარმოსაჩენად. კვლევაში მონაწილე ქართველი და ამერიკელი სკოლის დირექტორების მიერ ბულინგის განმარტება შემდეგია:

**Principal of Gallatin High School:** *“...in my opinion bullying is an imbalance of power that is expressed in a relationship. It has long lasting nature. Students often come to us and say that they are victims of bullying. We are asked what we can do about it. And we always try to correct this term, because bullying is a long-standing problem that a particular student regularly faces from the same individual or group ...”*

*...ბულინგი ჩემი აზრით არის ძალის დისბალანსი, რომელიც გამოიხატება ურთიერთობაში და რომელსაც განგრძობითი ხასიათი აქვს. ხშირად მოდიან*

ჩვენთან მოსწავლეები და გვეუბნებიან, რომ ბულინგის მსხვერპლნი არიან. გვეკითხებიან, თუ რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ ამასთან დაკავშირებით. ჩვენ კი ყოველთვის ვცდილობთ შევასწოროთ ეს ტერმინი, რადგან ბულინგი ეს არის ხანგრძლივი პრობლემა, რომელსაც რეგულარულად აწყდება კონკრეტული სტუდენტი ერთი და იგივე ინდივიდისგან ან ჯგუფისგან... (თარგმანი: რ.შ.).

**ბათუმის N15 საჯარო სკოლის დირექტორი:** „...ბულინგის ბევრნაირი განმარტება არსებობს, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს არის დისკომფორტი და არასასიამოვნო გარემოს შექმნა ადამიანისთვის, რომელსაც ყოველთვის ორი მხარე ჰყავს, მოძალადე და მსხვერპლი...“

ბუნებრივია სკოლის დირექტორები არიან ის პირები, რომლებიც სკოლაში არსებულ სიტუაციაზე დეტალურ ინფორმაციას ფლობენ. შესაბამისად, კვლევის დროს ერთ-ერთი კითხვა მათ პრაქტიკას ეხებოდა, თუ რა სახის ბულინგის შემთხვევები ჰქონიათ სკოლაში:

**ბათუმის N15 საჯარო სკოლის დირექტორი:** „...სასკოლო გარემოს თუ ვგულისხმობთ, ძირითადი შემთხვევები ვერბალური ბულინგია. ფიზიკური ფორმით გამოხატულება ნაკლებია, თუმცა ხდება ხოლმე. ხშირი ფორმა ალბათ ვერბალური და კიბერბულინგია, რომლის გაკონტროლებაც ყველაზე მეტად გვიჭირს ჩვენ...“

**Principal of Gallatin High School:** “...I think people's perceptions of bullying are different. Some people think that obscene comments are bullying. However, the real bullying that is often seen is cyberbullying. Mostly, it happens outside the school, but it continues when the students are at school ... ”

...ვფიქრობ, ადამიანების აღქმა ბულინგთან დაკავშირებით განსხვავებულია. ზოგს მიაჩნია, რომ უხამსი კომენტარები ბულინგია. თუმცა რეალური ბულინგი, რომელიც ხშირად ვლინდება კიბერბულინგია. ძირითად შემთხვევაში, ეს სკოლის მიღმა ხდება, მაგრამ ეს გრძელდება მაშინაც, როდესაც მოსწავლეები სკოლაში არიან... (თარგმანი: რ.შ.).

ორი სკოლის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, კიბერბულინგი ორივე სკოლაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამერიკული სკოლის დირექტორი სხვა ფორმებს არ ასახელებს, ხოლო ქართული სკოლის დირექტორი ბულინგის ფიზიკურ გამოვლინების პრეცედენტებსაც ადასტურებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მოტივებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ბულინგი. ზოგადად, სკოლებში ბულინგის პროვოცირების მიზეზები ან ფაქტორები, როგორც წესი, არის პირადი, საოჯახო და სასკოლო. შესაბამისად პრობლემის პრევენცია საჭიროებს მის სავარაუდო გამომწვევი ფაქტორების მიგნებასაც. ამრიგად, სკოლის დირექტორების მიგნებებიც მნიშვნელოვანია სურათის წარმოსაჩენად, თუ როგორ ესმით პრობლემის წამოჭრის მიზეზები:

**ბათუმის N15 საჯარო სკოლის დირექტორი:** *გააჩნია რას ვგულისხმობთ მიზეზებში - ვგულისხმობთ იმას, რომ რა არ მოსწონს, თუ შინაგანი პოზიცია როგორია ე.წ. ბულერების ანუ მოძალადის. ეს შეიძლება იყოს არასრულფასოვნების კომპლექსი თვითონ იმ ადამიანში ვინც ძალადობს; შეიძლება იყოს ნაკლები განათლება; და ასევე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის არ ქონა. კონკრეტულად წესების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების არასწორად განაწილება. აგრესორის ქცევა შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მოტივით, რომ საკუთარი ნაკლი დაფაროს, ან აკეთებს ამას იმიტომ, რომ რაღაც პოზიცია დაიჭიროს, ყურადღება მიიქციოს, ცდილობს რაღაცაში იყოს გამორჩეული, თუნდაც ცუდის მხრივ. ან შეიძლება მისი გარემო პირობები, როგორც მორალური, ასევე სოციალური ან ეკონომიური განსაზღვრავდეს მის ქცევას. სრულიად შესაძლებელია მასაც აგრესიულად ექცვიან და ამის მოდელირებას აკეთებს სხვებთან ურთიერთობისას, თითქოს თავს იცავს ამით...*

**Principal of Gallatin High School:** *"... It is very difficult to say the reasons of bullying. Many researchers who study this problem name racism, ethnicity, etc. as a problem of bullying. Although we have been trying to solve problem of racism across the country*

*for years, and we have had a black president, there are still forces that incite racial separatism. However to specify the issue, I think the reason is that people do not know other people well. Especially individuals with different backgrounds. The main problem is that they are also afraid of getting to know each other well... "*

...რა არის ბულინგის მიზეზი ამაზე პასუხის გაცემა ძალზედ რთულია, ძალიან ბევრი მკვლევარი, რომელიც ამ პრობლემას სწავლობს, პრობლემად ასახელებს რასიზმს, ეთნიკურ წარმომავლობას და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ამ პრობლემას წლებია ებრძვიან და ჩვენ შავკანიანი პრეზიდენტიც გვყავდა, კვლავ არსებობენ ძალები, რომლებიც აქეზებენ რასობრივ სეპარატიზმს, თუმცა საკითხი რომ დავაკონკრეტოთ, ჩემი აზრით, მიზეზი ის არის, რომ ადამიანები ახლოს არ იცნობენ სხვა ადამიანებს. განსაკუთრებით განსხვავებული წანამძღვების მეორე პირებს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ დაახლოების შიშიც აქვთ... (თარგმანი: რ.შ.).

ბულინგის პრევენციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, სკოლის ადმინისტრაციის მიერ საკუთარი როლის სწორი ხედვა, რაც მოიაზრებს სკოლის კლიმატის კონტროლს, თანამშრომლებთან კოორდინირებულ, პრევენციულ ძალისხმევას, სასკოლო თემის ინფორმირებულობას, თუ როგორ ხდება სასკოლო პრაქტიკაში ბულინგის პროცესებში ადმინისტრაციის ჩარევები.

ქვემოთ გთავაზობთ ქართული და ამერიკული სკოლების დირექტორების შეხედულებებს:

**ბათუმის N15 საჯარო სკოლის დირექტორი:** „...სასკოლო თემის ნებისმიერ წარმომადგენელს, რომ ჰკითხო ყველა მათგანი იტყვის, რომ მოსწავლეებს ბულინგისაკენ არ მოუწოდებენ, თუმცა ფაქტია, რომ მოსწავლეებმა ცუდი სიტყვებიც იციან და არასასურველი ქცევაც ახასიათებთ. ყველაზე ცუდი, რაც ბულინგის პრევენციას ხელს უშლის, არის ის, რომ სასკოლო თემის წევრები არ არიან მჭიდრო კავშირში. მე, როგორც სკოლის დირექტორი, ვცდილობ სასკოლო თემის პრობლემის

მიმართ გაერთიანებას. ასევე არასასურველი ქცევა თუ გამოვლინდება სკოლაში, რასაც უშუალოდ ბულინგის ფორმა ექნება ამ კონკრეტულ კლასში ვთხოვ, რომ ამ საკითხზე გააკეთონ პრევენტაცია, რომელშიც წარმოჩინდება დანაშაულის მავნებლური მხარე. ასევე მეორე მექანიზმი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ ხოლმე, არის ფილმის ჩვენება“

**Principal of Gallatin High Schol:** *“...The first thing we do is that we have a universal expectation which means expectation of student behavior when they are at school. The mission of our school is based on the values of our slogan, GRIT (be engaged, be respectful, be inclusive, together). Being involved means we want students to be in the service of the school and the community and to be an active global citizen, to prevent bullying which is important to show respect and be inclusive. To be kind with each other and encourage to succeed. We want our students to work hard with others and look for people who are different from them and learn from them. This is what we teach our students as expectations. All of these are conveyed through activities planned by teachers”.*

...პირველი რასაც ვაკეთებთ არის ის, რომ ჩვენ გვაქვს უნივერსალური მოლოდინი, რაც გულისხმობს მოსწავლეების ჩვენებულ ქცევას, მოლოდინს, როდესაც ისინი სკოლაში არიან. ჩვენი სკოლის მისია ჩვენი ლოზუნგის ღირებულებებზე დგას GRIT (be engaged, be respectful, be inclusive, together). იყავი ჩართული ნიშნავს- ჩვენ გვაქვს სურვილი მოსწავლეები იყვნენ სკოლის და თემის სამსახურში და იყვნენ აქტიური გლობალური მოქალაქეები, ბულინგის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია გამოხატონ პატივისცემა და იყვნენ ინკლუზიურები, სხვებს კეთილშობილურად მოექცნენ და გაამხნეონ ისინი. ჩვენ გვსურს, ჩვენი მოსწავლეები გააზრებულად მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სხვებთან და ეძებდნენ ადამიანებს, რომლებიც მათგან განსხვავებულნი არიან და მათგან სწავლობდნენ. ეს არის, რასაც ჩვენს მოსწავლეებს ვასწავლით, როგორც მოლოდინებს. ეს ყველაფერი მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობებით გადაეცემათ.

მასწავლებელს მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. იგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო სივრცეში ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში არის გამოწვევები, რომლებიც მასწავლებლის მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა ბულინგი, რომელიც ხშირად მასწავლებლების თანდასწრებით ხდება. შესაბამისად, მასწავლებელს პრევენციული ზომების მიღების სამართლებრივი და მორალური ვალდებულებები აკისრია. სწორედ ამ ვალდებულებებისა და მასწავლებლის როლის წარმოჩენის მიზნით განვსაზღვრეთ ამერიკელი და ქართველი მასწავლებლის ჩართულობა კვლევაში.

ბულინგის, როგორც დაშინების გამოვლენის დროს მასწავლებლის როლის შეფასების და მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ დაგვედგინა, თუ როგორ ესმით თავად მასწავლებლებს ბულინგის ფენომენი:

**ქართველი მასწავლებელი:** „...ბულინგი ჩემთვის ეს არის ძალადობის ერთ-ერთი ფორმა. ნებისმიერი სახის ძალადობა, შესაძლოა იყოს ფსიქოლოგიური, სიტყვიერი, ფიზიკური და ა.შ. ...“

**ამერიკელი მასწავლებელი:** *"... bullying in the broadest sense is the unwanted behavior of a person, which can be deliberate or unconscious in its nature, the motive of which is to harm another person ..."*

„...ფართო გაგებით ბულინგი ეს არის პიროვნების არასასურველი ქცევა, რომელიც შესაძლებელია იყოს გააზრებული ან ზოგადი ხასიათის, რომლის მოტივი არის სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენება...“ (თარგმანი: რ.შ.).

არსებული კვლევების და სპეციალისტების მოსაზრებების მიხედვით ბულინგის მსხვერპლნი ძირითადად არიან ინდივიდები, რომლებიც სხვებისგან რაღაც ნიშნით გამოირჩევიან. ქვემოთ მოცემულია ქართველი და ამერიკელი მასწავლებლების გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა განსხვავებული ნიშნის მატარებელი მოსწავლეების მიმართ ვლინდება ბულინგი:

ქართველი მასწავლებელი: „...მსხვერპლი ძირითადად სუსტია, აკადემიური მოსწრებითაც არ გამოირჩევა ხოლმე, ფიზიკურ სისუსტეს არ ვგულისხმობ. რაღაცნაირად წყნარი, მშვიდი, ჩაკეტილი პირები ხდებიან ხოლმე ბულინგის მსხვერპლნი. ასევე, განსხვავებული რელიგიური წანამძღვრების ან ეთნიკურად განსხვავებული მოსწავლეებიც არიან ხოლმე მსხვერპლნი...”

ამერიკელი მასწავლებელი: “... *the target group of bullying are mainly emotional students. In general, in case of any bullying a victim of the bullying is the person who reacts emotionally with the bad behavior against him...* ”

...ბულინგის სამიზნე ძირითადად ემოციური მოსწავლეები არიან. ზოგადად, ნებისმიერი ბულინგის გამოხატულების დროს, ბულერის სამიზნე არის პიროვნება, რომელიც ემოციურად რეაგირებს მოძალადის ქცევაზე... (თარგმანი: რ.შ.).

ნაშრომის მეორე თავში აღინიშნა, რომ სასკოლო კონტექსტში ბულინგის ფაქტები არა მარტო მოსწავლეებს შორის ფიქსირდება, არამედ თავად მასწავლებლებიც ხშირად არიან მსხვერპლნი. ამ პრობლემას კვლევაში მონაწილე მასწავლებლების ნარატივიც ადასტურებს:

ქართველი მასწავლებელი: „...*ვფიქრობ, მოსწავლეებს შორის უფრო მეტია ბულინგი, ვიდრე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. სხვათაშორის არის პრეცედენტები, როდესაც თავად მასწავლებელი არის მოსწავლეების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი, ის ხშირად არის დაცინვის ობიექტი. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა არ მოსწონდათ მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი და მასხრად იგდებდნენ. მერე აფექტურ მდგომარეობაში მასწავლებელს ფოტოები გადაუღეს და გამოუქვეყნეს. ყვირილის დროს მასწავლებელს ფოტოები გადაუღეს და სოციალურ ქსელში ატვირთეს...*”

ამერიკელი მასწავლებელი: “...*the precedents of bullying are mostly among the students. I do not remember any fact of bullying by a teacher. We have a fantastic environment at this school. We have young progressive teachers who are really supportive.*



*However, there are still some facts of violence among students. In the previous school where I worked, I remember the facts, there was a teacher, she was emotional. Students knew her reaction, so they tried to make her angry and crying. Starting a lesson for this teacher was the most difficult problem because she could not manage the class ...”*

...ბულინგის შემთხვევები ძირითადად მოსწავლეებს შორის ხდება. ვერ ვიხსენებ ფაქტს მასწავლებლის მიერ ჩადენილი ბულინგის შესახებ. სკოლაში ფანტასტიკური გარემო გვაქვს. ახალგაზრდა პროგრესული მასწავლებლებით დაკომპლექტებული, რომლებიც მხარდაჭერაზე არიან ორიენტირებული. თუმცა მოსწავლეებს შორის მაინც ფიქსირდება ძალადობის ფაქტები. წინა სკოლაში, რომელშიც მე ვმუშაობდი, მახსენდება შემთხვევები, მასწავლებელი, (ქალი) რომელიც იყო ზედმეტად ემოციური, მოსწავლეები ცდილობდნენ მის გაბრაზებას და ის ხშირად ტიროდა საგაკვეთილო პროცესში. ამ მასწავლებლისთვის გაკვეთილის დაწყება ურთულესი პრობლემა იყო, რადგან ვერ ახერხებდა კლასის მართვას... (თარგმანი: რ.შ.).

ნებისმიერი ფორმით გამოხატულ აგრესიას აქვს მოტივი. სასკოლო სივრცეში განხორციელებული ბულინგის მოტივზე სამეცნიერო საზოგადოების მოსაზრებები არაერთგვარია. კვლევის მონაწილე პედაგოგებზე განსხვავებულ მოტივებზე აკეთებენ აქცენტს:

ქართველი მასწავლებელი: „...მოტივი შეიძლება იყოს ოჯახური მდგომარეობა. მე ვერ ვიტყვი, რომ მოსწავლეს ასეთი ხასიათი აქვს. ასეთი ხასიათი და თვისებები მას სოციუმის გავლენით უყალიბდება და ხშირად ოჯახში აღზრდის პრობლემამდე მივდივართ...”

ამერიკელი მასწავლებელი: “... *I think they need be in the centre of attention. They themselves may be victims of bullying, at home or at school. There may attempt to show others the fact that they are not the worst people at school ...”*

...ვფიქრობ, მათ ყურადღების ცენტრში ყოფნა სჭირდებათ. ასევე თავად შეიძლება იყვნენ ბულინგის მსხვერპლნი, სახლში ან სკოლაში. შეიძლება

ცდილობდნენ კიდევ ყურადღების მიქცევას, რომ დაამტკიცონ, რომ უკანასკნელი ადამიანები არ არიან სკოლაში... (თარგმანი: რ.შ.).

მნიშვნელოვანია კვლევაში მონაწილე მასწავლებლის პერსპექტივით დანახული მექანიზმები. თუ როგორი ფორმით არის შესაძლებელი საგანმანათლებლო სივრცეში ბულინგის პრევენცია:

ქართველი მასწავლებელი: „...კარგად მუშაობს ხოლომე დამრიგებლების მხრიდან რეგულარული საუბრები. კარგი იქნება პრეზენტაციების მომზადება, რომელშიც ბავშვები იქნებიან ჩართულნი. საკლასო საათი არის ამის საუკეთესო შესაძლებლობა, რა დროსაც დისკუსიის ან ლექციური ფორმით დამრიგებელი მოსწავლეებს გააზრებინებს რამდენად მიუღებელია ბულინგი. მაგალითად, მე როგორც მასწავლებელს, საგანი მიწყოფს ხელს. არის თემები რომელიც ჩავვრის საკითხს ეხება და აი ამაზე დებატები გვექონია, ესეებიც დაგვიჩერია...“

ამერიკელი მასწავლებელი: *"... the first thing we do is to tell everyone not to be bad people. My subject (English) is taught integrated with history. So, in teaching process we have to teach many different ideas that are valuable. That is why we teach students that they can oppose the opinion expressed by others but not a person. Also, if there are precedents of bullying, we first study the form of bullying, the reasons, and then with my colleagues we work to develop activities that will have a positive impact on both the victim and the aggressor... "*

„...პირველი, რასაც ვაკეთებ, ყველას ვეუბნები რომ არ ვიყოთ ცუდი პიროვნებები. ჩემი საგანი (ინგლისური) ისტორიასთან ინტეგრირებულად ისწავლება. შესაბამისად, სწავლების პროცესში ბევრი განსხვავებული მოსაზრების სწავლება გვიჩვეს, რომელიც ღირებულია. ამიტომ ჩვენ ვასწავლით, რომ შეგიძლია შეეწინააღმდეგო გამოთქმულ აზრს, მაგრამ არა პიროვნებას. ასევე თუ ბულინგის პრევენციის დაფიქსირდა, მოსწავლეებთან კომუნიკაციით ჯერ შევისწავლით ბულინგის ფორმას, მიზეზებს და შემდეგ ჩემს კოლეგებთან ერთად შევიმუშავებთ

*აქტივობებს, რომელთაც პოზიტიური გავლენა ექნება, როგორც მსხვერპლზე ასევე აგრესორზეც...“ (თარგმანი: რ.შ.).*

ამრიგად, ბულინგი როგორც ძალადობრივი ქმედების ფორმა, საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, მისი როგორც სოციალური ფენომენის, შესწავლა სოციალური კონტექსტშია შესაძლებელი. ასევე მისი სრულყოფილი შესწავლის დროს სოციოლინგვისტური ცვლადებია გასათვალისწინებელი. როგორცაა, სოციალური კლასი, გენდერი, ასაკი, სქესი, ეთნიკური ჯგუფი. აღნიშნული ცვლადები საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის ფენომენის ლინგვისტური ანალიზის სრულყოფილად გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს.

### თავი III

#### **ბულინგის ენობრივი თავისებურებები ქართულ და ამერიკულ სასკოლო დისკურსში**

##### **3.1. ბულინგის სახეები ქართულ სასკოლო დისკურსში და მათი ენობრივი თავისებურებები**

დაშინება მინიმუმ ორი მხარით არის წარმოდგენილი: მოძალადე - აგრესორი და მსხვერპლი - დაშინების ადრესატი. აგრესორი არღვევს სოციალურ ნორმებს და ცდილობს თავისი ძალაუფლების დემონსტრირებით მსხვერპლზე ზემოქმედებას. თუკი კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებისგან ინდივიდი რაღაც ნიშნით განსხვავებულია, აგრესორთა ცნობიერებაში ყალიბდება ნეგატიური დამოკიდებულება ამ პირის მიმართ იმ პრინციპით, რომ ამ განსხვავებულობით ყველაფერში თავად მსხვერპლია დამნაშავე. თავად ჩაგრული კი წინააღმდეგობას ხშირად ვერავის უწევს და ფსიქოლოგიურად, შესაძლოა ფიზიკურადაც, მძიმე მდგომარეობაში ვარდება. აგრესიის ობიექტი საკუთარი უმწეობის და დაბალი თვითშეფასების გამო გრძნობს აბსოლუტურ უიმედობას, სიტუაციიდან გამოუვალობას, განიცდის დაუძლეველ შიშს მჩაგვრელის მიმართ, იმყოფება მუდმივად ახალი დამცირებების მოლოდინის რეჟიმში, გრძნობს სირცხვილს თავისი განსხვავებულობის გამო და საკუთარ თავსაც კი იდანაშაულებს, რომ არაფერი არ შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად. ხშირია შემთხვევები, როცა ბულინგის მსხვერპლი თვლის, რომ იმსახურებს მის მიმართ გამოხატულ ნეგატიურ დამოკიდებულებას.

სასკოლო კონტექსტში ბულინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, მაგრამ განსაკუთრებით დაუცველები არიან ბავშვები, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი თანატოლებისგან გარეგნული მახასიათებლებით, სოციალური სტატუსით, რელიგიური მიკუთვნებულობით, ეთნიკური წარმომავლობით და ა.შ. ბულინგის მოტივაცია კი მრავალფეროვანია – შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვა.

ბულინგის ვერბალური გამოხატულება ინდივიდებს შორის სამეტყველო ქმედებაა. აგრესიის ვერბალური თავისებურება არ შეიძლება განისაზღვროს კონტექსტის გარეშე. კონტექსტი ენას განიხილავს, როგორც სოციო-სემანტიკურ სისტემას, რომელიც აირეკლავს კონკრეტულ კონტექსტში ინდივიდების შეხედულებებსა და ღირებულებებს.

ვერბალური ფორმით გამოხატული დაშინების ფენომენის გაანალიზებისას არსებითად მნიშვნელოვანია მისი ლინგვისტური კვლევა, რაც გულისხმობს ბულინგის კონტექსტური და ლინგვისტური მარკერების ანალიზს და მიგნებას. რაც ავტორის განზრახვის გამოცნობის საშუალებას იძლევა.

მოდლადე მსხვერპლის მისამართით იყენებს სხვადასხვა ლინგვისტურ ხერხებს, რითაც იგი გარკვეულ ძალას სძენს საკუთარ ნათქვამს (კონკრეტულ ტექსტს). აღნიშნული ტექსტები - მზა ფრაზები, საზოგადოების კონკრეტულ წრეებში დომინირებს და გამოხატავს ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ცნობიერებას.

წინამდებარე თავში განხილულია დაშინების ვერბალური გამოხატულების სხვადასხვა მაგალითები (დაშინების შემცველი სიტყვები, ფრაზები და წინადადებები), ლინგვისტურ ჭრილში გაანალიზებულია ვერბალური ბულინგის გამოხატვის ის ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტისათვის. კერძოდ, თუ რა ლინგვისტურ ხერხებს იყენებს აგრესორი მსხვერპლის მისამართით თავისი განზრახვის რეალიზებისთვის.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა შეიძლება გახდეს ბულინგის წარმოშობის წინაპირობა. ეს შესაძლებელია იყო პიროვნების გარეგნული მახასიათებელი, სოციალური სტატუსი, სქესი, დომინანტი ჯგუფისგან განსხვავებული რელიგიური მრწამსი ან სხვებისგან განსხვავებული შეხედულებები. ამ ჩამონათვალის საფუძველზე, ინდივიდი ხშირად დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობის და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის ობიექტი ხდება.

### **3.1.1. რელიგიური ნიშნით გამოხატული ბულინგი**

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ნორმატიული აქტები, საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ცნობს საზოგადოების რელიგიურ მრავალფეროვნებას და სასკოლო საზოგადოებას თავისუფალი არჩევანის ხელშეუხებლობისკენ მოუწოდებს, სასკოლო სივრცეში

განსხვავებული რელიგიის მქონე მოსწავლეთა მიმართ დაშინების ფაქტები არც თუ ისე იშვიათია. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებული ეთნო-რელიგიური ნაციონალისტური იდეოლოგია საკლასო დისკურსშიც იჩენს თავს. ნებისმიერი ინდივიდი, რომელიც ამ გაბატონებული იდეოლოგიის ნორმებს ვერ ერგება, ხშირ შემთხვევაში მარგინალიზებული და ბულინგის პოტენციური სამიზნე ხდება.

სასკოლო საზოგადოებისთვის რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა არამხოლოდ მორალურ-ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხია, არამედ ამაზე კანონმდებლობაც მოუწოდებს. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ კრძალავს ინდოქტრინაციასა და პროზელიტიზმს და სასკოლო საზოგადოებას რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას ავალდებულებს: *„...დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ“* (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330).

ამავე კანონის მე-18 მუხლში განმარტებულია რწმენის თავისუფლების პრინციპი: *„...მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება* (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330).

პედაგოგის მხრიდან მოსწავლესთან ურთიერთობის კრიტერიუმები განსაზღვრულია არა მარტო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, არამედ „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“ - ის მე-4 მუხლით. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აკრძალულია პედაგოგის მხრიდან მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და ფსიქოლოგიური ზეწოლა. მიუხედავად ამისა, სასკოლო კონტექსტში მასწავლებლები დამაკნინებელ და

დისკრიმინაციულ ფრაზებს გამოიყენებენ არადომინანტი რელიგიური აღმსარებლობის მქონე მოსწავლეების მიმართ.

მაგალითად, ეთნო-რელიგიური ნაციონალისტური იდეოლოგიის გავლენით, ზოგიერთი მასწავლებელი ეროვნებით ქართველად მხოლოდ მართლმადიდებელს მიიჩნევს და განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე მოსწავლეების მისამართით ღირსების შეურაცხყოფელ და დამამცირებელ ლექსიკას და სხვადასხვა ლინგვისტურ ხერხებს იყენებენ, ხშირ შემთხვევაში *დისფემიზმებს*. ასეთ შემთხვევაში დაშინების გამოხატვის დროს ტექსტებში ძირითადად ვლინდება *ბრძანებითი წინადადებები* და *მეორე პირის ნაცვალსახელები*.

*მაგალითი 1. მასწავლებელი მოსწავლეებს: „თქვენ გეუბნებით, კლასში არის არამართლმადიდებელი მოსწავლე? თუ არის, ადგეს ფეხზე!“* (ინტერნეტ წყარო N1).

*მაგალითი 2. მასწავლებელი მოსწავლეს: „თუ იცი შენ, ვინც ქრისტიანი არ არის, ყველა ჯოჯოხეთში მოხვდება“* (ინტერნეტ წყარო N1).

*მაგალითი 3. მასწავლებელი მოსწავლეს: „შენ ქართველი ხარ?! მაშინ უნდა იყო ქრისტიანი!“* (ინტერნეტ წყარო N1).

როგორც წესი, მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენება ბრძანებით წინადადებას ახასიათებს. მოცემულ მაგალითებში კონკრეტული ადრესატი არის მოსწავლე, რომელზეც მასწავლებელი ცდილობს ემოციური ზეწოლა მოახდინოს. მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენებით მოსაუბრეს მეტი კონკრეტულობა შემოაქვს ნათქვამში, რათა მხარე დაარწმუნოს თავის სერიოზულობაში და გაზარდოს ზემოქმედების ხარისხი.

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლის მხრიდან ხდება ეთნიკური ან/და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლის ინდივიდუალური მახასიათებლის განზოგადება მთელ თემზე. ასე მაგალითად, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების მიმართ გავრცელებულია სტერეოტიპი ნაადრევი ქორწინების შესახებ, რის გამოც კონკრეტული თემის წარმომადგენელი მოსწავლეები

მასწავლებლების მხრიდან ხშირად სოციუმში დამკვიდრებული სტიგმის საფუძველზე სტერეოტიპული დამოკიდებულების სამიზნეები არიან.

*მაგალითი 4. მასწავლებელი აზერბაიჯანელ მოსწავლეებს: „თქვენ მაინც მეცხრე კლასიდან გათხოვდებით და წახვალთ სკოლიდან (ინტერნეტ წყარო N2).*

როგორც აღინიშნა, „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ცნობს რელიგიის თავისუფლებას, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრს უფლება აქვს სრულყოფილად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესებში რელიგიური დოგმატიკის დაცვით. ზოგიერთი რელიგიური დენომინაცია, მაგალითად ისლამი, მუსლიმ ქალს პუბერტაციის პერიოდის შემდეგ თავსაფრის ტარების ვალდებულებას აკისრებს. არის შემთხვევები, როდესაც სკოლის მოსწავლეები ამ რელიგიური ვალდებულების დაცვის შემთხვევაში ბულინგის მსხვერპლი არიან: მასწავლებლის ლექსიკაში შესამჩნევია *ირონია*.

მომალადეები დაშინების ვერბალური გამოხატვის დროს *ირონიას*, როგორც ერთ-ერთ ლინგვისტურ ხერხს მიმართავენ. ირონიის დროს განზრახვის რეალიზება დამოკიდებულია კონტექსტის პრესუპოზიციაზე. პრესუპოზიცია დიდ როლს თამაშობს ირონიის აღქმასა და დეკოდირების დროს. იმისათვის რომ პირმა მიზანს მიაღწიოს და გარკვეული გავლენა მოახდინოს მსმენელებზე, იგი ირონიას იყენებს.

*მაგალითი 5. მასწავლებელი თავსაფრიან მოსწავლეზე: "ჩვენი ვარდისფერჩადრა სად არის?!" (ინტერნეტ წყარო N2).*

რეციპიენტზე ზემოქმედებისათვის მოსაუბრე იყენებს სტილისტიკურ საშუალებებს, რათა მიზანმიმართულად წამოწიოს კონკრეტული შინაარსი. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს *სუბესტიური შეკითხვის* გამოყენებით მიმართავს. ამგვარი შეკითხვით ხდება მოსწავლისგან თანხმობის მიღება და მსგავსი მანიპულაცია გავლენას ახდენს მის დამოკიდებულებაზეც.



მაგალითი 6. მასწავლებელი კლასში სვამს კითხვას: „აქ არიან ხომ 50-იანელები, ბაპტიტები და იელოველები? ღმერთმა დაგვიფაროს ასეთებისგან“ (ინტერნეტ წყარო N3).

### 3.1.2. გენდერული ნიშნით გამოხატული ბულინგი

სოციალიზაცია არის ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, რა დროსაც კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებების და ნორმების ათვისებაც ხდება. სოციალიზაციის პროცესში ინდივიდი კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმების დაცვის ჩვევებს შეიმუშავებს.

საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული აზროვნების ერთობლიობა განსაზღვრავს ინდივიდის მიერ აღქმულ გენდერულ როლებს. ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი კონტექსტის გაანალიზება, სადაც მამაკაცებსა და ქალებს განსხვავებული როლები ენიჭებათ.

გენდერული ტიპოლოგია ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც მოზარდი იძენს ღირებულებებს, კულტურის ფარგლებში უყალიბდება ქალის ან მამაკაცის შესაბამისი ქცევა. „ბავშვს უვითარდება გენდერზე დაფუძნებული რწმენა, რომელიც მეტწილად გენდერული სტერეოტიპებით საზრდოობს. ხოლო ეს უკანასკნელი კი გავლენას ახდენს გენდერული როლების ჩამოყალიბებაზე. ბავშვი ითვისებს გენდერულ იდენტობას ცხოვრების ადრეულ ეტაპზე და ასევე უვითარდება გენდერული როლის შესაბამისი პრეფერენციები...“ (ალანია, 2017:6).

ნებისმიერ საზოგადოებაში გენდერული როლი განსაზღვრულია სოციო-კულტურული ნორმებით და სხვადასხვა კულტურის მიერ განპირობებულ ქცევებს გულისხმობს, რომლებიც მასკულინურად (კაცურ) ან ფემინურად (ქალურ) არის მიჩნეული. ზოგიერთი კულტურა გენდერს ბიოლოგიურ სქესთან მჭიდროდ აკავშირებს. ასეთ კულტურებში მიჩნეულია, რომ სტერეოტიპულად მასკულინური ქცევები მხოლოდ მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი და მისასალმებელი, ხოლო სტერეოტიპულად ფემინური ქცევები - მხოლოდ ქალებისათვის. მიაჩნიათ, რომ

გენდერული როლები ქალისა და მამაკაცის ისეთ ბიოლოგიურ თავისებურებებს ემყარება, როგორებიცაა ფიზიკური მონაცემები ან რეპროდუქციული უნარები. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ ქალებისთვის ბიოლოგიურადაა დამახასიათებელი მზრუნველობით-აღმზრდელობითი უნარები, მამაკაცებისათვის კი - აგრესიული, ლიდერული ქცევა. პატრიარქალურ საზოგადოებებში ოჯახში ფუნქციების გადანაწილება ეფუძნება სწორედ ასეთ წინასწარ ჩამოყალიბებულ გენდერულ როლებს.

საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული როლების შესახებ წარმოდგენები სასკოლო ბულინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება. დამკვიდრებული სოციალური აღქმა: „ბიჭი უნდა იყოს მამაკაცური და გოგო - ქალური“, ხშირად ბულინგის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია. აგრესიის სამიზნე ობიექტის მონიშვნა სწორედ გენდერული ნორმების შეუსაბამო ქცევებიდან გამომდინარე ხდება.

გენდერული გამოხატვის ნიშნით ბულინგი სქესისთვის არსებული მოლოდინებისგან განსხვავებული გარეგნობის, მანერების, ჩაცმის სტილის მქონე პიროვნების მიმართ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს. იმ გარეგნულ როლებზე დაუმორჩილებლობა, რომელსაც საზოგადოება აწესებს, აგრესიის გამოწვევის მიზეზი ხდება.

გენდერული ნიშნით დაშინების ავტორი შესაძლოა იყოს, როგორც მოსწავლე, ასევე მასწავლებელიც. სასკოლო საზოგადოება გარკვეულ ვალდებულებად მიიჩნევს ფემინური და მასკულინური როლების დაკანონებას და კონტროლს, რაც გენდერულად სეგრეგირებული სასკოლო გარემოს შექმნის მცდელობას წარმოადგენს.

დაშინებისას ხშირია შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომლის მიზანია ინდივიდის დამცირება და ზეწოლა.

მაგალითი 7. „ჩემს კლასელებს ადრე დაუბოხდათ ხმა, მე დღესაც ბავშვის ხმა მაქვს. ამის გამო კლასელები სიცილით „ქლავუნას“, ხან კი „ქალოიას“ მეძახიან,, (ინტერნეტ წყარო, N4).

ხშირია შემთხვევები, როცა მასკულინური ქცევების მქონე ბიჭების მხრიდან ძალადობის სამიზნედ ისეთი ბიჭები იქცევიან, რომლებიც მათივე მოსაზრებით, ბევრს საუბრობენ. მათ ფემინურებად აღიქვამენ და ავტომატურად აკრავენ სტიგმას.

მაგალითი 8. მოსწავლე თანაკლასელს: „რა ქალივით ბევრს ლაპარაკობ...“ (ინტერნეტ წყარო, N4).

დაშინების ფორმად ხშირად გამოყენებულია პირდაპირ-პირობითი მუქარა, რომელიც ადამიანის ქცევის განკარგვის საშუალებად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მაგალითი 9. მასწავლებელი მოსწავლეს: „ეს რა გოგოსავით გაცვია?! თუ არ მოწესრიგდები და ნორმალურად არ ჩაიცვამ ჩემს გაკვეთილს ვერ დაესწრები. შენ ჩემი შვილი რომ იყო განახებდი...“ (ინტერნეტ წყარო N5).

დაშინების პირდაპირ-პირობითი ფორმა მუქარასთან ერთად დამატებით პირობას შეიცავს, რის გამოც განსაკუთრებით საფრთხის შემცველ ფორმად მიიჩნევა. დაშინების ამგვარი ფორმულირება ნათქვამს უფრო დამაჯერებელს ხდის და აშკარა ხდება, რომ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მუქარის ადრესატისთვის არასასიამოვნო შედეგი დადგება.

დაცინვის გამომხატველი ლექსიკით ხშირად მასწავლებლებიც საუბრობენ, რაც მათი სტერეოტიპული დამოკიდებულების ბრალია. ამგვარი ქმედებით ისინი სხვა მოსწავლეებსაც აქეზებენ ბულინგისკენ, მოსწავლეებში ყალბი ღირებულებები ინერგება და ბულინგი ჩვეულებრივი ამბავი ხდება.

მაგალითი 10. მასწავლებელი მოსწავლეს ვაჟს: „გოგო ხარ, საყურე რომ გიკეთია? რა ოჯახში იზრდები?“ (ინტერნეტ წყარო N5).

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აკრძალულია პედაგოგის მხრიდან მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და ფსიქოლოგიური ზეწოლა. თუმცა ზემოთ მოცემული მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებისათვის თანასწორი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნის პრობლემა კვლავ დგას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ბულინგის ფორმებს შეიცავს არამარტო მოსწავლეების განწყობები, არამედ თავად მასწავლებელთა დამოკიდებულებები, მოლოდინები და ქცევები.

### 3.1.3. სოციალური ნიშნით გამოხატული ბულინგი

დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეების მიმართ განხორციელებული ბულინგი არათანაბრობის გამომხატველი და კონკრეტული ჯგუფიდან ინდივიდის დეზინტეგრაციის მცდელობაა. მოზარდი შეიძლება აღმოჩნდეს ბულინგის მსხვერპლი, თუ სწავლის პროცესში სხვებთან ურთიერთობაში სირთულეს განიცდის. ძირითადად ბულინგის რისკ ჯგუფში ხვდებიან ისეთი ინდივიდები, რომელთაც დაბალი სოციალური სტატუსი აქვთ.

სასკოლო სივრცეში თანატოლთა ჯგუფებში მოსწავლეებს განსხვავებული სოციალური სტატუსი აქვთ. ზოგს ლიდერის პოზიცია უკავია, პირდაპირ თუ ფარულად მართავს ჯგუფს და მასზე სხვადასხვა ფორმის გავლენის მოხდენა შეუძლია. არის შემთხვევები, როდესაც არსებობენ მოსწავლეთა ორგანიზებული ჯგუფიდან დაბალი სოციალური სტატუსის გამო გარიყული ბავშვებიც. ასეთ ბავშვებს თანატოლები უგულვებელყოფენ და ხშირად კლასში მათ ყოფნა-არყოფნას ვერც კი ამჩნევენ, ან უარეს შემთხვევაში, ხდება მათი საჯარო თუ ფარული დისკრედიტაცია, რაც საკმაოდ დამთრგუნველი, მტკივნეული და შეურაცხმყოფელია.

არსებობს ერთ გუნდად შეკრული ჯგუფები, სადაც ყველა მოსწავლეს თავისი სოციალური სტატუსის მიუხედავად თავისთვის სასურველი და მისაღები ადგილი უკავია, ყველა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილია და მხარდაჭერისთვის მზად არიან. თუმცა ისეთი ჯგუფებიც გვხვდება, სადაც ქაოსური ურთიერთობებია

და ნაკლებად იზიარებენ განსხვავებული პიროვნების ინტერესებს და ღირებულებებს. ასეთ მოცემულობაში ხშირად ისეთი მოსწავლე ლიდერობს, რომლისთვისაც უცხოა სასწავლო ინტერესები და სხვისი ღირებულებები. არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც არ ეთანხმებიან მას, მაგრამ ვერც წინააღმდეგობას უწევენ თავიანთი დაბალი სოციალური სტატუსის გამო, ლიდერის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და ჯგუფში თავის დასამკვიდრებლად ნამდვილ სახეს მალავენ და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში უწევთ თანაარსებობა.

დაბალი სოციალური სტატუსის გამო მოზარდი ხშირად ვერ იღებს სხვებისგან პატივისცემას და აღიარებას. იგი შესაძლოა უამრავი ქცევითი და სასწავლო პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. თუ მოზარდის სოციალური სტატუსი დაბალია, იგი მიუღებელი, გამომწვევი ქცევით ეცდება ჯგუფში თავის დამკვიდრებას. ასეთ შემთხვევაში ვლინდება სერიოზული პრობლემები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ ჯგუფში მისი პოზიტიური მდგომარეობის შეცვლით იქნება შესაძლებელი. დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეებზე თანატოლების მხრიდან დაცინვა, მეტსახელით მოხსენიება ნორმადაა მიჩნეული.

მაგალითი 11. მოსწავლე თანატოლებს: *„ამასთან როგორ მეგობრობთ? იცით, ამის ბებია ბაზარში ჩუსტებს ყიდის, თუ ამასთან იმეგობრებთ ყველა დაგცინებთ“*, *„იცით ეს რა ოჯახის შვილია?“* (ინტერნეტ წყარო N6).

გარდა ამისა თავად მასწავლებლების მხრიდან ხდება ამ კატეგორიის მოსწავლეების მიმართ ნეგატიური განწყობების დემონსტრირება და მათ მეტყველებაში *დამამცირებელი ლექსიკა* და ეპითეტი შეინიშნება:

მაგალითი 12. *ერთ-ერთი მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ მოსწავლეს სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებელი „ბავშვთა სახლის ბინადრის“ ეპითეტით მოიხსენიებს* (ინტერნეტ წყარო N7).

#### **3.1.4. მოსწავლეების მიერ მასწავლებლის ბულინგი**

მოსწავლეების მიერ მასწავლებლის ბულინგის ემპირიულად შესწავლა პირველად 1990-იან წლებში ფინეთში დაიწყო (Kivivuori, 1996). აღნიშნულმა პრობლემამ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გაერთიანებული სამეფოს სამეცნიერო საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო (Terry, 1998; Pervin and Turner, 1998). მეცნიერთა მიერ სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული კვლევების საფუძველზე მასწავლებლის მიმართ მოსწავლის ქცევები განისაზღვრა, როგორც ბულინგის ფორმა. აღნიშნული კვლევების საფუძველზე შესწავლილ იქნა ამ ფენომენის გამოვლენის მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის ბულინგის ფენომენის მიმართ ინტერესი ბოლო წლებში უფრო გააქტიურდა, საკითხი კვლავ საფუძვლიანი შესწავლის პროცესშია, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში მოსწავლის მიერ მასწავლებლის ბულინგი საჯარო და პოლიტიკურ დისკურსში „შეუმჩნეველია“, როგორც სასკოლო საზოგადოების, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

მოსწავლის მიერ მასწავლებლის ბულინგის თავისებურება ძალაუფლებათა დისბალანს (Power disbalance) უკავშირდება, როდესაც საგაკვეთილო პროცესში, უშუალოდ მასწავლებლისა და მოსწავლის ინტერაქციის სივრცეში, მოსწავლე მასწავლებელზე მეტ უპირატესობას ფლობს. არათანაბარი ძალაუფლების გააზრებისას მნიშვნელოვანია კონტექსტის შეფასებაც, სადაც ტერის (Terry, 1998) მიხედვით, მასწავლებლებს მოეთხოვებათ მაღალი სოციალური თავშეკავება, რომელიც აგრესიულ ინტერაქციისგან თავის არიდებას გულისხმობს. მასწავლებელს არ აქვს სასწავლო პროცესის მარტივად შეწყვეტის და საკლასო ოთახის დატოვების შესაძლებლობა. იგი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიონალიზმი და წაუძღვეს სასწავლო პროცესს საგაკვეთილო პერიოდის დასრულებამდე. ძალაუფლების დისბალანსთან დაკავშირებით ტერი განმარტავს, რომ მასწავლებელს გააჩნია „პირობითი“ (relative) ძალაუფლება, ხოლო მოსწავლეებს მასწავლებლებისაგან განსხვავებით გააჩნიათ „გამოყენებადი“ (usable) ძალაუფლება. გამოყენებადი ძალაუფლება განსაზღვრულია, როგორც ინდივიდისათვის პრაქტიკული და მოსახერხებელი

შესაძლებლობა, რომლის გამოყენების შემთხვევაში არ ხდება მფლობელის დასჯა. მასწავლებლის ძალაუფლება არაერთი ფაქტორის გამო შეზღუდულია, მათ შორის სხვადასხვა დისციპლინური ნორმებით, არაეფექტური მენეჯმენტით და მასწავლებლის გამოუცდელობით. შესაბამისად, მასწავლებლის „პირობითი ძალაუფლება“ ნაკლებად გამოსადეგი ხდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები მასწავლებლის პოზიციურ ავტორიტეტს ცნობენ, მის მიმართ სხვადასხვა ბულინგის ფორმების გამოვლენა მაინც ხდება.

მოსწავლეთა მხრიდან მასწავლებლის მიმართ დაშინების ვერბალური გამოხატულების შემთხვევაში დამახასიათებელია პერფორმაციული ზმნების გამოყენება; მაგალითად: „გეუბნებით, გაფრთხილებთ...“ პერფორმაციული/ზრძანების შესრულების გამოხატველი/ ზმნა ხაზს უსვამს ავტორის განზრახვის სერიოზულობასა და ამავედროულად, არწმუნებს მუქარის ადრესატს გამონათქვამის შესრულების მაღალ ალბათობაში.

### 3.1.5. კიბერბულინგი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება დადებით შედეგებთან ერთად გარკვეულ საფრთხეებსაც ქმნის. ტექნოლოგიების პროგრესის ეპოქაში რთულია სხვისი აზრების თუ ქმედებების კონტროლი. ტექნოლოგიების ეპოქაში კიბერბულინგი უფრო და უფრო აქტუალური პრობლემა ხდება. ხშირია კიბერბულინგის შედეგად ადამიანზე ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების შემთხვევები.

კიბერბულინგი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ფარულ ან ღია დაშინებას გულისხმობს. ვირტუალურ სივრცეში ინდივიდების ტერორს და დაშინებას შესაძლოა საფუძვლად სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. მათ შორის შეიძლება იყოს, მათი გარეგნობა, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილება ან განსხვავებული შეხედულებები.

ოლვიუსის აზრით (2003), სოციალურ მედიაში არსებული დისკურსის ძალაუფლების კონცეფციისგან გამიჯვნა შეუძლებელია. ძალაუფლებას დისკურსის

ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს. ძალაუფლება არის მექანიზმი, რომელსაც სოციალური ჯგუფები სხვების აზრებისა და ქმედებების კონტროლისთვის იყენებენ. ზოგადად სოციალურ მედიას აქვს სხვების აზრებისა და ქმედებების არაპირდაპირი გზით კონტროლის პოტენციალი. იგი გამოიყენება დომინანტი ჯგუფის ან პირის ძალაუფლების რეალიზების მექანიზმად. ამავდროულად, სოციალურ მედიაზე წვდომა ყველას გააჩნია. თუმცა არსებობს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრებაც, კიბერ სივრცეში მოძალადედ შეიძლება იქცეს ის ადამიანიც, რომელიც არ გამოირჩევა ფიზიკური ძალით ან არ გააჩნია რაიმე სახის ძალაუფლება. პირიქით, შესაძლოა თავად ყოფილიყო ძალადობის მსხვერპლი. ამიტომ, ურთიერთობის ამგვარი ფორმა შესაძლოა, დამახინჯებული ქცევით საზოგადოებაში თვითდამკვიდრების მცდელობა იყოს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ვირტუალურ სივრცეში მოძალადე რეალურ გარემოში აგრესორი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდეს.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ინდივიდებს ნაკლებად აქვთ ონლაინ და რეალური სივრცე გამიჯნული. არის შემთხვევები, როდესაც ვირტუალურ და რეალურ სამყაროში ინდივიდები ერთი და იგივე პიროვნებებთან ურთიერთობენ. შესაბამისად, ბულინგის ფიზიკური კონტექსტიდან, მაგალითად: სკოლის სივრციდან, კიბერ სივრცეში გადასვლის ალბათობა მაღალია.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული ბულინგის მსგავსად კიბერბულინგი ადამიანის დაშინების განზრახვას უწყობს ხელს. თუმცა, ბულინგის სხვა ფორმებისგან განსხვავებით, კიბერბულინგის განმახორციელებელს ფსიქოლოგიური ზეგავლენის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს. უფრო კონკრეტულად, ვირტუალური სივრცის პირობებში აგრესორის ანონიმურობის დაცვის ალბათობა მაღალია. რაც თავის მხრივ ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევს აგრესორს უფრო მეტი ზიანი მიაყენოს მსხვერპლს, რასაც შესაძლოა ფიზიკურ სივრცეში ვერ გამოხატავდა. ამავდროულად ვირტუალურ სივრცეში მსხვერპლი უფრო იოლად ხელმისაწვდომი და დაუცველია.



ვინაიდან მსხვერპლის მიმართ მიზანმიმართული ზიანის მიყენება უფრო ფართო საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ხილვადია, მსხვერპლის მიერ კიბერბულინგი კიდევ უფრო მძაფრად აღიქმება და ფსიქოლოგიური ზიანიც მაღალია. კიბერბულინგის სპეციფიკიდან გამომდინარე შედეგები შესაძლოა მეტად მძიმე აღმოჩნდეს. რთულია აგრესორი პიროვნების იდენტიფიცირება. ამასთანავე ინტერნეტ სივრცეში დიდი ხნის განმავლობაში რჩება ინფორმაცია, რაც უფრო მეტად იზრდება მნახველთა რიცხვი, უფრო მეტ ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს მსხვერპლს.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ფორმის ბულინგი განიმარტება, როგორც აგრესიის ხანგრძლივი გამოვლენის ფაქტი, კიბერბულინგის შემთხვევაში ზემოთ დასახელებული თავისებურებებისა, განსაკუთრებით ანონიმური ხასიათის გამო, აგრესორი შეიძლება ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდეს საკუთარ საქციელზე. აგრეთვე მრავალი ონლაინ პლატფორმა მომხმარებლის ასაკის იდენტიფიცირებას არ ახდენს და ნებისმიერ პირს ეძლევა რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა. ხოლო პირადი შეტყობინებები ანონიმურია, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მგზავნელსა და მიმღებს აქვთ ამის შესახებ ინფორმაცია, რაც აგრესორს ბულინგის განხორციელების დროს ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობას აძლევს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიბერბულინგის მსხვერპლი მოზარდები მათ მიმართ განხორციელებული თავდასხმის შესახებ ინფორმაციას უფროსებს იშვიათად აწოდებენ. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათზე უფროსი ასაკის პირებს არ თვლიან კომპეტენტურად აღნიშნულ საკითხში და არ აქვთ პრობლემის მოგვარების იმედი. თუმცა გამოცდილება აჩვენებს რომ კიბერბულინგისგან თავის დამოუკიდებლად დადწევა თითქმის შეუძლებელია.

კიბერბულინგი, როგორც ძალადობრივი ფორმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, რომელიც შესაბამისი კანონით რეგულირდება. კიბერ დანაშაულის საკითხების მთავარ მარეგულირებელ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს 2001 წლის *კონვენცია კიბერ დანაშაულის შესახებ*, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2012 წელს მოახდინა. აღნიშნული დოკუმენტი

განსაზღვრავს კიბერ სივრცეში ჩადენილ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლის დასჯადად გამოცხადება ევალება კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს.

ვინაიდან თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია და ამავდროულად საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოსწავლეების მიერ სკოლის კონტექსტში აქტიურად გამოიყენება, სკოლას კიბერბულინგის რეგულირებისა და პრევენციის მიზნით კონკრეტული ვალდებულებები აკისრია: „...დაუშვებელია კიბერბულინგის ფაქტის იგნორირება. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყონ მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება...“, (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ, მუხლი 27).

სოციალურ ქსელებში დაშინების ან დამამცირებელი შინაარსის ტექსტის განთავსება, ჭორების გავრცელება, საფრთხის შემცველი მოკლეთქსტური შეტყობინების გაგზავნა ან ადრესატის დამამცირებელი ვიდეორგოლის თუ ფოტოებით შანტაჟი ან მისი საჯარო სივრცეში გავრცელება სხვადასხვა ხერხით არის შესაძლებელი. ქვემოთ მოცემულია კიბერბულინგის გამოვლენის მექანიზმები, რომლის საშუალებით აგრესორი ახდენს განზრახვის რეალიზებას.

- 1) მოკლე ტექსტური შეტყობინება;
- 2) ონლაინ მესენჯერი/ჩათი;
- 3) ელექტრონული ფოსტა;
- 4) სოციალური მედია;
- 5) ონლაინ თამაში.

კიბერბულინგი განსაკუთრებით საფრთხილო რამდენიმე მიზეზის გამოა: აგრესორს მიზნის მიღწევისათვის არ აქვს დროის და სივრცის შეზღუდვები.

შესაბამისად, ძალადობის განხორციელება ნებისმიერ დროს და ადგილას, უწყვეტად შესაძლებელია. კიბერბულინგისთვის დამახასიათებელია დამამცირებელი გზავნილების სწრაფად და საჯაროდ გავრცელება. მისი მასშტაბები ფართოა შესაბამისად, მსხვერპლის არამარტო კონკრეტულ ლოკაციაში, არამედ ტოტალური გარიყვაცაა შესაძლებელია.

ტერმინი კიბერბულინგი საქართველოში ახალი დამკვიდრებულია, შესაბამისად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი ლინგვისტური ანალიზი თითქმის არ არსებობს. მსოფლიო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ამ საკითხის ლინგვისტური კვლევა.

ის, რომ კიბერბულინგი თანამედროვეობის დიდი გამოწვევაა, ამაზე ყველა თანხმდება, აღნიშნული ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენი მიზანია კიბერბულინგის ენობრივი გამოხატულების ანალიზი.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კიბერბულინგის ფორმა სხვადასხვაგვარია. განვიხილოთ პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმები:

*კიბერ ადევნება* - არასასურველი განმეორებითი კომუნიკაციის დამყარების მცდელობა ან კომუნიკაცია, რომელიც მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან ონლაინ მესენჯერი/ჩათის საშუალებით ხორციელდება. კიბერ ადევნება შეიძლება, ფიზიკურ ადევნებასა და სექსუალურ შევიწროებაში გადაიზარდოს. კიბერ ადევნების დროს ტექსტების შინაარსი სიძულვილის, დაცინვის, დამცირების, მუქარის შემცველია. ასევე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სოციალურ ქსელებში ნეგატიური შინაარსის ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შეეხება ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, რასას, რელიგიას, ეთნიკურ წარმომავლობას ან ადამიანის პირად თვისებებს (საუბრის მანერა), გარეგნობას ჩაცმულობას და სხვა.

*კიბერ მუქარა* - დაშინების ფორმა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების მოტივით. ბოლო წლების განმავლობაში ონლაინ სივრცეში ინდივიდების

დაშინების ფორმების შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ადრეულ პერიოდში მუქარას დაშინების მხოლოდ ფიზიკური ზიანის გამომხატველი ტექსტებს უკავშირებდნენ. სინამდვილეში, კიბერ მუქარის გამომხატველი ტექსტების ტიპი შეიძლება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების მოტივსაც შეიცავდეს. უნდა აღინიშნოს, რომ აგრესორი კიბერბულინგის განხორციელების დროს საკუთარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მუქარის სხვადასხვა ხერხს მიმართავს, რაც ძირითადად ზიანის მიყენების განზრახვასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, როგორც აღინიშნა, კიბერ მუქარის ტექსტები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1) *ფიზიკური ზიანის მიყენების განზრახვა* - კიბერ მუქარის ერთ-ერთი სახიფათო გამოხატულებაა. აგრესორი უშუალოდ მიუთითებს ფიზიკური ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე, თუ მსხვერპლი მის მიერ წაყენებულ პირობებს არ დაემორჩილება.

2) *ფსიქოლოგიური ხასიათის მუქარა* - დაშინების ფორმა, როცა აგრესორი მსხვერპლზე ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მისი პირადი ცხოვრების შესახებ ყალბი ან რეალობის შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების მცდელობით. ფსიქოლოგიური ხასიათის მუქარა, როგორც კიბერ აგრესიის ფორმა, ემოციური დაშინების ფორმადაც არის ცნობილი. იგი ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარისაგან განსხვავდება იმ თვალსაზრისით, რომ ზიანის მიყენების განზრახვით მუქარის ფორმა ხშირად შეუმჩნეველია. აგრესორი სხვადასხვა სახის ტექსტების, მათ შორის ჭორების გავრცელების შანტაჟით ცდილობს ადრესატზე ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ჭორს უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლია მოზარდზე, ვინაიდან ინფორმაციის მნახველთა რაოდენობა ფართოა. მსხვერპლი დეპრესიაში ვარდება და არის ფატალური შედეგით დასრულების მაღალი რისკიც.

სექსტინგი - აღნიშნული ტერმინი ონლაინ ბულინგის ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც მოძალადე პერსონალურ ინფორმაციას მსხვერპლის შანტაჟის ან დაშინებისთვის იყენებს. მოძალადე მსხვერპლის მისამართით აგზავნის შეტყობინებებს, რომელიც ფსიქოლოგიური ზეწოლის ელემენტს შეიცავს.

სექსუალური ხასიათის სახელის, კომენტარის, ფოტოს ან ვიდეოს გავრცელების მცდელობას ან მისი სისრულეში მოყვანით მუქარა მიზნად ისახავს ინდივიდის დაცინვას, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებას, შერცხვენას ან სექსუალური ძალადობის შემცველ მუქარას.

დოქსინგი - არის ონლაინ დაშნების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც კიბერბულინგის კატეგორიას წარმოადგენს. კიბერბულინგის ასეთი ფორმა გულისხმობს ინდივიდის პირადი ინფორმაციის, მათ შორის ინტიმური ინფორმაციის გასაჯაროებას ან გასაჯაროების მცდელობით შანტაჟს. დოქსინგის ტიპური მოტივი არის კონკრეტული პიროვნების ონლაინ ადევნება, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განსახორციელებლად. ფიზიკურ გარემოში გამოვლენილი ბულინგისაგან განსხვავდება იმ კუთხით, რომ დოქსინგის შემსრულებელი ანონიმურად კიბერსივრცეში მოქმედებს, ხოლო სამიზნე ობიექტი შესაძლოა ნებისმიერი პიროვნება გახდეს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანები ყველაზე მეტად არიან დაუცველები ბულინგის ასეთი ფორმისაგან. მისი გავლენა ახალგაზრდებზე განსაკუთრებით საზიანოა. დოქსინგი მოზარდებში სტრესისა და შფოთვის ძალიან მაღალ დონეს იწვევს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველწლიურად სხვადასხვა ხასიათის კიბერბულინგი ვლინდება. ძირითად შემთხვევებში, მსხვერპლის მიმართ არის მუქარის შემცველი ტექსტები, რომელიც აგრესორის აშკარა თუ ფარულ დაშინებას შეიცავს. მსგავსი ტიპის მუქარის განხილვა და გაანალიზება ლინგვისტური თვალსაზრისითაც აუცილებელია, რაც გულისხმობს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას:

არის ეს ნამდვილად მუქარა?

რამდენად საშიშია მუქარა?

რამდენად სარწმუნოა მუქარა?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მიღება წარმოადგენს მუქარის შეფასების პირველ საფეხურს და ის უნდა ეფუძნებოდეს სოლიდურ ლინგვისტურ კვლევას, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ანალიტიკური სამუშაოების ჩატარებას, მუქარაში ლინგვისტური მინიშნებების მიგნებას. ეს ხელს შეუწყობს ნამდვილი, დამაშინებელი და გამაფრთხილებელი მუქარის დიფერენციაციას. შემდეგ ეტაპს კი წარმოადგენს მუქარაში პოზიციის ლინგვისტური მანიფესტაციების მიგნება, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის საშუალებით ავტორისეული განზრახვის გაგებას.

კიბერბულინგის დროს მუქარის თუ დაშინების გამომხატველი მარკერები გარკვეულ ენობრივი ფუნქციებს შეიცავს. როგორც ქართულ კონტექსტში, ასევე ინგლისურში უმეტესობა ერთი და იმავე ფორმით არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ფუნქციებიც ერთნაირია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი კიბერბულინგისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფუნქციის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს (იხ. ცხრილი №1).

(ცხრილი №1 კიბერბულინგის ენობრივი ფუნქციები)

კიბერბულინგის დამახასიათებელი მუქარის ენის გამომხატველი მარკერები ქართულ და ინგლისურ ენებში	ენობრივი ფუნქცია	მაგალითები
1. პირობითი წინადადებები	პირობითობა	შენ გეუბნები ბიჭო! ხვალ თუ მოვედი გამიცნობ ვინცა ვარ.
2. მოდალობა	მუქარის განხორციელება, განზრახვის დემონსტრირება	შენ ხომ იცი რაც უნდა გააკეთო ?!

3. მეორე პირის ნაცვალსახელები	სასურველი ობიექტის ფიქსაცია	ბოდიშის მიუხედავად მაინც მოგხვდება.
4. ზმნიზედები	განზრახვის სერიოზულობის მაჩვენებელი ენა	მართლა ვერსად დამემალეები, გაფრთხილებ!
5. უარყოფითი კონსტრუქციები	მექანიზმის დაძლევა, უარყოფა	არ იცი ხო ჩვენ სასტავში ქცევა?! გასწავლით!
6. რიტორიკული კითხვები	აგრესიასა და პირდაპირ ჩართულობაზე მითითება	აბა სხვას რას ელოდი? მშიშარა.
7. ბრძანებითი წინადადებები	ბრძანება	ისე მოიქეცი, როგორც უკვე გითხარი!
8. მომავალი დრო	მოქმედების განხორციელების დროის ფიქსაცია	ყველაფერზე პასუხს აგებ!

კიბერბულინგის, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემის, განხილვა არ იქნებოდა სრულყოფილი იმ ლექსიკური ერთეულების ანალიზის და დაშინების გამომხატველი მარკერების, ენობრივი ფუნქციების გარეშე, რომლებიც მას სტილურ ფორმასა და ხასიათს სძენს.

ბულინგის ფენომენის შესწავლისას ხშირ შემთხვევაში მკვლევრები მხოლოდ მოტივისა და შედეგს აქცევენ ყურადღებას, ხოლო მისი ლექსიკური ერთეულების კონცეპტუალურ მნიშვნელობაზე სპეციალისტები ნაკლებად ფოკუსირებული არიან.

აღსანიშნავია, რომ ქართული და ინგლისური ენების ლინგვოკულტურული და ეთნოსოციოკულტურული თავისებურებებისა, კიბერბულინგის ტექსტებში მუქარის შემცველ ელემენტებში ორივე ენაში საერთო თავისებურებები ფიქსირდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მახასიათებელი ხშირად ქართველი კონტექსტისათვის უფრო დამახასიათებელია ვიდრე უცხოურ კონტექსტში.

განხილული მაგალითების ანალიზისას მკაფიოდ გამოჩნდა, რომ მიუხედავად კიბერბულინგის ტექსტებში დაშინების გამომხატველი ლექსიკური ერთეულების ერთადერთ მიზანს ადრესატის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება წარმოადგენს, მისი გამოხატვის ხერხები და საშუალებები მრავალფეროვანია, უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში აგრესორის მოტივის დეკოდირების პრობლემიდან გამომდინარე ბოლომდე ამოუხსნელია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე რეალობაში ზემოთ განხილული კიბერბულინგის საკითხის კვლევას სამეცნიერო სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ხოლო ვირტუალურ სამყაროში მეტი ადამიანების ჩართულობა პრობლემის აქტუალობას მუდმივად პერსპექტიულს ხდის.

### **3.2. ბულინგის ენობრივი ანალიზი დაფუძნებული ქართულ და ამერიკულ სკოლებში ჩატარებულ კვლევაზე**

როგორც უკვე აღვნიშნეთ *სასკოლო ბულინგი* - არის სასკოლო კონტექსტში გავრცელებული დაშინების ფორმა. იგი მსხვერპლის დამცირების და მასზე ფსიქოლოგიური ძალადობის ხასიათს ატარებს. მისი გამოხატვის ფორმებია: დაშინება, შეურაცხყოფა, დაცინვა, ღირსების შელახვა. შესაძლოა, ყურადღება მახვილდებოდეს ადამიანის გარეგნულ მახასიათებლებზე, რელიგიურ და ეთნიკურ კუთვნილებაზე, გენდერულ იდენტობაზე, შეზღუდულ შესაძლებლობაზე და ა.შ.



საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბულინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი. თუმცა ძირითად შემთხვევაში მსხვერპლი ის კატეგორიაა, რომლებიც როგორც აღინიშნა, სხვებისგან განსხვავდებიან. მსხვერპლისთვის ზიანის მიყენების მოტივი კი განსხვავებულია. იგი შესაძლოა იყოს: შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვა.

აგრესორი მსხვერპლის მისამართით იყენებს სხვადასხვა ლინგვისტურ ხერხებს, რითაც იგი გარკვეულ ძალას სძენს საკუთარ ნათქვამს (კონკრეტულ ტექსტს). აღნიშნული ტექსტები, მზა ფრაზები, საზოგადოების კონკრეტულ წრეებში დომინირებს, და გამოხატავს ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ცნობიერებას. ვერბალური ფორმით გამოხატული ბულინგის, როგორც დაშინების ფენომენის გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია მისი ლინგვისტური თავისებურების კვლევა, რაც გულისხმობს ბულინგის კონტექსტური და ლინგვისტური მარკერების მიგნებას, რაც ავტორის განზრახვის გამოცნობის საშუალებას იძლევა. ვინაიდან ბულინგის ვერბალური გამოხატულება ინდივიდებს შორის სამეტყველო ქმედებაა, აგრესიის ვერბალური თავისებურება არ შეიძლება განისაზღვროს კონტექსტის გარეშე. კონტექსტი ენას განიხილავს, როგორც სოციო-სემანტიკურ სისტემას, რომელიც აირეკლავს კონკრეტულ კონტექსტში ინდივიდების შეხედულებებსა და ღირებულებებს. შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფში განხილულია ბულინგის ვერბალური გამოხატულების სხვადასხვა მაგალითები (დაშინების შემცველი სიტყვები, ფრაზები და წინადადებები), გაანალიზებულია ლინგვისტურ ჭრილში ვერბალური ბულინგის გამოხატვის ის ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია *საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების* ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტისათვის. კერძოდ, ნაშრომში წარმოჩენილია ლინგვისტური ხერხები, რომელსაც აგრესორი მსხვერპლის მიმართ თავისი განზრახვის რეალიზებისთვის იყენებს.

ნაშრომის მეორე თავში ჩვენ თეორიულად წარმოვადგინეთ ბულინგის ენის ლინგვისტური მარკერები ქართულსა და ინგლისურ ენებში. ამ პარაგრაფში

პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, ორივე საკვლევ ენაში ბულინგის თითოეული ტიპისათვის დამახასიათებელ ლინგვისტურ მარკერებსა და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე ვსაუბრობთ.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ინდივიდის ფიზიკური განსხვავებულობა არის ბულინგის ერთ-ერთი მიზეზი. ფიზიკურ განსხვავებულობაში შეიძლება მოიაზრებოდეს კონკრეტულ სოციუმში ჩამოყალიბებული ნორმა, ასაკთან შესაფერისი სიმაღლე, წონა, კანის ფერი და ა. შ. ქართულ კონტექსტში კვლევის მონაწილეები ფიზიკურად განსხვავებული მახასიათებლების მქონე პირების მიმართ ბულინგის გამომხატველ სალანძღავ და დამამცირებელ სიტყვებს იყენებენ:

ა: „...მსუქან გოგოებს ბიჭები ხშირად მიმართავენ: - რას გავხარ **ძროხა!** ან **ბეჭემოთივით** ტანი გაქვს... ბიჭების შემთხვევაში მსუქან ბიჭზე გამიგონია **ღორივით ხარ ჩასუქებული!** შავგვრემან გოგოს ან ბიჭს **ზანგეს** ეძახიან ხოლმე, ხოლო შეუხედავ გოგოს ან ბიჭს **მახინჯს**...“

ისევე, როგორც ქართულ რეალობაში ამერიკელ მოზარდებშიც ბულინგის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი ფიზიკური განსხვავებულობაა (კანის ფერი, წონა, სიმაღლე...).

“...*Actually, I do not remember many words, but there are cases when black students are called Negroes. And students who are overweight aggressors call them as **fatty, lump, tub, porker, fatso.** I think that's all I can say about...*”

„...*ბევრი არ მახსენდება, თუმცა არის შემთხვევები როდესაც შავკანიან სტუდენტებს (Negroes) **ზანგებს** ეძახიან. ხშირად მსუქან ადამიანებს ეძახიან: **fatty, lump, tub, fatso** და ასე შემდეგ...*”

კვლევაში მონაწილე ქართველი და ამერიკელი მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოიკვეთოს ის განსხვავებულობა, რომ ქართულ კონტექსტში ინდივიდების ჭარბი წონის გამო მათი დამცირება სხვადასხვა

მეტაფორებისა და შედარებების გამოყენებით ხდება. კონკრეტულად ინდივიდის ცხოველთან შედარება ხდება, რაც ადრესატის მიერ დამამცირებლად აღიქმება. ზემოთ ხსენებულ სიტყვებს, მათი *დერივაციული* მნიშვნელობის გარდა, მოსწავლეთა სუბკულტურაში აქვს ნეგატიური *კონოტაციური* მნიშვნელობა, რომელსაც მსხვერპლი შეურაცხყოფად აღიქვამს. რაც შეეხება ამერიკულ კონტექსტში დამკვიდრებულ *სლენგებს*, რომლებიც ჭარბწონიანი მოსწავლეების მიმართ გამოიყენება, შინაარსობრივად არ შეიცავენ ადამიანის ცხოველბთან შედარებებს. თუმცა, თითოეული სიტყვა რაიმეს სიჭარბის, ზედმეტი რაოდენობის ასოციაციას ქმნის: **fatso** -*ცხიმინი* (Offensive meaning: a fat person– by Merriam Webster), **lump**-*გროვა* (Slang: a person who is heavy and awkward - by Merriam Webster), **tub** -*კასრი* (Offensive meaning: a fat person - by Merriam Webster).

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებშიც კვლევა ჩატარდა, შავკანიანი მოსწავლეები არ სწავლობენ, თუმცა შავგრემანი მოსწავლეების მიმართ ხშირია დამამცირებელი *სლენგი* „ზანგი“, რომელიც ქართულ ენაში სავარაუდოდ არაბული ენის გავლენით შემოვიდა, თუმცა ქართველი ბავშვები ამერიკულ მოსწავლეებთან შედარებით არ აღიქვამენ განსაკუთრებით მტკივნეულად (ისტორიულად საქართველოში რასიზმის პრობლემის არარსებობის გამო). ამერიკულ სკოლებში ბუნებრივია აფრო-ამერიკელი მოსწავლეებიც სწავლობენ. მათ მიმართ დამამცირებელი სიტყვა „Negro“ (ინგლისურ ენაში ესპანური ენიდან ნასესხები სიტყვაა, რომელიც შავს ნიშნავს) და განსხვავებული შეფერილობის კანის მქონე მოსწავლეებში ამ კონკრეტული სიტყვით მიმართვა უარყოფით კონოტაციას ატარებს.

დაბალი სოციალური სტატუსის გამო მოზარდი ხშირად ვერ იღებს სხვებისგან პატივისცემას და აღიარებას. დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახების მატერიალური შესაძლებლობები ხშირად შვილების ჩაცმულობის ხარისხზეც აისახება. ამ კატეგორიის მოსწავლეებზე თანატოლებს მხრიდან დაცინვა, მეტსახელით მოხსენიება ნორმადაა მიჩნეული.

**ბათუმის N15 საჯარო სკოლის დირექტორი:** „...ზოგადად ამაზე ბევრი მიფიქრია. ერთ-ერთ მაგალითად გამოიყოფა სოციალურად დაუცველი კატეგორია. ვინაიდან მათი სოციალური გარემოდან გამომდინარე შეიძლება ნაკლებად მოდურად ეცვათ, რაც მოზარდებში დაცინვის (ბულინგის) მიზეზია...”

ქართულ კონტექსტში საბჭოთა კავშირის სისტემის დაშლის შემდეგ სასკოლო ფორმები რიგ სკოლებში (სკოლა არეგულირებს შინაგანაწესის მიხედვით) სავალდებულო აღარ არის. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეების ჩაცმულობის სტილი როგორც ფიზიკური განსხვავებულობის კატეგორია ხშირად არის ბულინგის გამომწვევი მიზეზი. ამ შემთხვევაში ბულინგის მსხვერპლნი ორივე სქესის ინდივიდები არიან, რომელთაც სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, თანატოლების შესაბამისად (მოდურად) ვერ აცვიათ. აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობს კვლევაში მონაწილე ქართველი მოსწავლე:

*„...ჩემი აზრით ყველას რაც მოსწონს ისეთი ტანსაცმლის ჩაცმა შეუძლია. ადრე ხომ იყო სკოლაში ფორმას ყველა მოსწავლე იცვამდა, ჩვენ ეს მოთხოვნა არ გვაქვს და ამიტომ ყველა განსხვავებულად ჩაცმული დავდივართ სკოლაში. თუმცა ამის გამო ხშირად აყენებენ ბავშვები ერთმანეთს შეურაცხყოფას. მაგალითად, ჩემი კლასელები ჩაცმულობის გამო ხშირად ერთმანეთს „ბომჟს“ ან „ციგანს“ ეძახიან.*

კვლევის მიხედვით, მოსწავლეების ჩაცმის სტილი საქართველოს კონტექსტში ბულინგის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია. რუსული აბრევიატურა БОМЖ (без определенного места жительства) უწოდებენ უსახლკარო ადამიანს, რომელიც სხვებისგან უსუფთაო სამოსით გამოირჩევა. შესაბამისად, სიტყვას БОМЖ მოსწავლეთა სუბკულტურაში შინაარსი გაუფართოვდა, იგი როგორც *სლენგი* განსხვავებული ჩაცმულობის გამო დაცინვის მოტივით ინდივიდის დასამცირებლად გამოიყენება. ხოლო, სიტყვა „ციგანი“ ბოშების მიმართაც დისკრიმინაციული ტერმინია. ბოშა ბავშვების ჩაცმულობიდან (უსუფთაო სამოსი) გამომდინარე სიტყვა ციგანის, როგორც *სლენგის*, პიროვნების მიმართ გამოიყენება მასში უარყოფით განცდებს იწვევს.

ამავდროულად, ქართულ სკოლებში ბულინგის მსხვერპლი არიან ის მოსწავლეებიც, რომლებიც ჩაცმულობის განსხვავებული სტილით (ექსტრავაგანტული, ტრენდული) იქცევენ სხვების ყურადღებას.

*„...გოგონებს რომლებიც გამომწვევად ჩაიცვამენ ხშირად ბიჭები მიმართავენ ბიჩ, ან ირონიით აუ რა მაგარი ნაშა...“*

თინეიჯერების მეტყველებაში ინგლისური ენის გავლენით ხშირია ბარბარიზმების გამოყენება. მაგალითად, ამ კატეგორიას მიეკუთვნება დამამცირებელი ბარბარიზმები „ბიჩ“ და „ნაშა“ რაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ნიშნავს.

მოდალადები დაშინების ვერბალური გამოხატვის დროს *ირონიას*, როგორც ერთ-ერთ ლინგვისტურ ხერხს მიმართავენ. ირონიის დროს განზრახვის რეალიზება დამოკიდებულია კონტექსტის პრესუპოზიციასზე. პრესუპოზიცია დიდ როლს თამაშობს ირონიის აღქმასა და დეკოდირების დროს. იმისათვის, რომ პირმა მიზანს მიაღწიოს და გარკვეული გავლენა მოახდინოს მსმენელებზე, იგი *ირონიას იყენებს*.

ჩაცმის სტილის გამო ბულინგი არა მარტო ქართულ კონტექსტში, არამედ ამერიკელ მოსწავლეებთანაც აქტუალურია:

*“...There is no bullying on a boys’ appearances or clothing style. Honestly, students do not insult each other because of their choices or taste of the clothes they wear. However, I have heard words like **whore, slut, hoe** towards girls who dress up attractively...”*

*„...ბიჭების გარეგნობაზე ან ჩაცმის სტილზე ბულინგი არ არის ხოლმე. ზოგადად, მათ არჩევანზე ან გემოვნების გამო არ ხდება დაცინვა. თუმცა გამომწვევად ჩაცმული გოგონების მიმართ მსმენია სიტყვები როგორებიცაა: **whore, slut, hoe...**“*

როგორც კვლევამ აჩვენა, ამერიკელი მოსწავლეების აზრით, ჩაცმის სტილი ბულინგის განსაკუთრებულად მაპროვოცირებელი ფაქტორი ნაკლებად არის. თუმცა გოგონების ჩაცმულობის განსხვავებული სტილით (ექსტრავაგანტული, ტრენდული) რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ბულინგს. არის ფაქტები როცა განსხვავებულად

ჩაცმულ გოგონებს მიმართავენ სიტყვებით: *whore* (a person who engages in sexual intercourse for pay-by Merriam Webster), *slut* (someone who has many sexual partners — usually used of a woman - by Merriam Webster), *hoe* (generally a woman, who is promiscuous- by Merriam Webster), აღნიშნული სიტყვები დამამცირებელი შინაარსის მატარებელი *სლენგია* და ამორალურ ქალს ნიშნავს. შესაბამისად, აგრესორის მიერ ამ სიტყვების გამოყენება მსხვერპლის დამცირების მიზანს ემსახურება.

ნაშრომში ვისაუბრეთ სოციალიზაციის როლზე ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ამ პროცესებში ინდივიდი კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმების დაცვის ჩვევებს შეიმუშავებს, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებების და ნორმების ათვისება.

ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული მოცემულობის ერთობლიობა განსაზღვრავს ინდივიდის მიერ აღქმულ გენდერულ როლებს. ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი კონტექსტის გაანალიზება, სადაც მამაკაცებსა და ქალებს განსხვავებული როლები ენიჭებათ.

ნებისმიერ საზოგადოებაში გენდერული როლი განსაზღვრულია სოციო-კულტურული ნორმებით და სხვადასხვა კულტურის მიერ განპირობებულ ქცევებს გულისხმობს. საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული როლების შესახებ წარმოდგენები სასკოლო ბულინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება. გენდერული გამოხატვის ნიშნით ბულინგი სქესისთვის არსებული მოლოდინებისგან განსხვავებული გარეგნობის, მანერების, ჩაცმის სტილის მქონე პიროვნების მიმართ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს. იმ დოგმირებულ ჩარჩოებზე დაუმორჩილებლობა, რომელსაც საზოგადოება აწესებს, აგრესიის გამოწვევის მიზეზი ხდება.

*„... კლასში 28 მოსწავლე ვართ, არიან ისეთებიც, რომლებიც სხვებს ხშირად ჩაგრავენ. ძირითადად ბიჭები ფიზიკურად უსწორდებიან სხვა ბიჭებს, რომლებიც მაგალითად კარგად სწავლობენ, მათთან ერთად მოსაწევად არ დადიან, ან უფრო*

მეტად გოგოებთან მეგობრობენ. ასევე ჩაგრავენ ფიზიკურად სუსტ ბიჭებს რომლებიც, „მამაკაცურად“ არ იქცევიან. ასეთ მოსწავლეებს „გეის“ ან „ცისფერს“ ეძახიან.

“... the most common words I would say are **fag** or **faggot** used for the LGBDQ people, mostly to insult them...”

„...ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვები, რომლებიც მახსენდება არის **fag** ან **faggot**, რომლებსაც ლგბტ-ქვიარ თემის წარმომადგენლების შეურაცხყოფისთვის იყენებენ...“

მოცემულ სიტუაციაში საინტერესოა ქართულ და ინგლისური კონტექტში დამკვიდრებული *სლენგის* შედარება. მაგალითად, ამერიკულ კონტექსტში ჰომოსექსუალი პიროვნების მიმართ შეურაცხყოფის მოტივით გამოყენებული სიტყვა „გეი“ სექსუალური ორიენტაციის აღმნიშვნელი სიტყვაა და თუ ინდივიდი ამ თემის წარმომადგენლად თვლის თავს, ასეთ შემთხვევაში შეურაცხყოფელ კონოტაციას იგი არ შეიცავს. თუმცა, თუ პიროვნება ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის საზოგადოების წევრია, ბუნებრივია მას სიტყვა *გეის* მიმართ მიმღებლობა არ ექნება. მაგრამ მიუხედავად პიროვნების სექსუალური ორიენტაციისა სიტყვები **fag** და **faggot** (a gay person —used as a term of abuse and disparagement - by Merriam Webster) დამამცირებლად აღიქმება.

რაც შეეხება ქართულ კონტექტში გამოყენებულ სლენგს „ცისფერი“, იგი ტრადიციული ორიენტაციის მქონე პირების მიერ ჰომოსექსუალების და სოციუმში გენდერული როლისთვის შეუსაბამო ვიზუალის მქონე პირების დაკნინების მიზნით გამოიყენება.

თანამედროვე განათლების სისტემებისთვის ცალსახად პრიორიტეტულია განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა. საქართველოს კანონმდებლობა სასკოლო საზოგადოებას მოსწავლეებში აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ხელშეწყობას და სხვისი აზრის პატივისცემის ვალდებულებასაც განსაზღვრავს: „... მოსწავლეს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა...“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330).

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაში განსხვავებული შეხედულებების მიმართ მიმღებლობა სწავლების ერთ-ერთი მიზანია. განსხვავებული აზრის არსებობა მაინც რჩება მოსწავლეთა შორის ბულინგის პრობლემად. ამ მოსაზრებას ადასტურებს კვლევაში მონაწილე ქართული სკოლის დირექტორი: „...განსხვავებული აზრის მქონე მოსწავლეები კი შეიძლება უფრო ხშირად გახდნენ ბულინგის მსხვერპლნი, ვიდრე ფიზიკური ნაკლის მქონე ან სსსმ მოსწავლეები. ჩემი აზრით, დღევანდელ თაობას მსგავსი მოსწავლეების მიმართ მიმღებლობა გაცილებით მეტი აქვთ...“

*მოსწავლე* „...როდესაც გაკვეთილზე მასწავლებელი კითხვას სვამს მხოლოდ ერთი და იგივე მოსწავლეები პასუხობენ ხოლმე, ხშირად მათი პასუხები არასწორია ან ალოგიკურია, მაგრამ ამის გამო მათ არავინ აყენებს შეურაცხყოფას. თუმცა მოსწავლეთა ნაწილი მუდმივად ჩუმად არის. თუ ისინი მასწავლებლის კითხვებს პასუხს გასცემენ და არასწორი ან განსხვავებული შეხედულება ექნებათ მათ მიმართ სხვები გამოთქვამენ ხოლმე რეპლიკებს, როგორცაა: **ხისთავა, დებილი, სულელი, იდიოტი, და ა.შ.**

ზემოთ აღნიშნულ სლენგს შეურაცხყოფლად აღიქვამენ ბულინგის მსხვერპლი ინდივიდები. ვინაიდან სიტყვები: **ხისთავა, დებილი, სულელი, იდიოტი,** ასოცირდებიან გონებრივ ჩამორჩენასთან.

*„...Respect for different opinions is essential, however, students who have different opinions or views on a particular issue are called: **nerd, retard, dope, doofus, poser...**“*

*„...განსხვავებული აზრის პატივისცემა აუცილებელია, თუმცა ამის მიუხედავად იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებსაც განსხვავებული აზრი ან შეხედულებები აქვთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მათ უწოდებენ: **nerd, retard, dope, doofus, poser...**“*

ქართულ და ამერიკულ სასკოლო კონტექსტებში ზემოთ აღნიშნული სიტყვები განსხვავებული აზრის მქონე მოსწავლეების მიმართ უარყოფით შინაარსს შეიცავს. მაგალითად, ინგლისური სიტყვა **nerd** არის სლენგი, რომელსაც ინტელექტუალ,



მაგრამ მკვეთრად ასოციალური ადამიანის მიმართ იყენებენ (an unstylish or socially awkward person - by Merriam Webster). სიტყვა **retard** თავისი დერივაციული მნიშვნელობით *შეფერხებას* ნიშნავს. თუმცა ბულინგის დროს ამ სიტყვას დამამცირებელი შინაარსის მნიშვნელობით იყენებენ, რაც ადამიანის გონებრივ ჩამორჩენას გულისხმობს (offensive : a foolish or stupid person - by Merriam Webster). ინგლისური სიტყვა **dope**-ის ძირითადი მნიშვნელობა არალეგალური წამალია (მარიხუანა ან ჰეროინი), თუმცა შეურაცხმყოფელ კონტექსტში სიტყვის შინაარსი განსხვავებულია და სულელ, გამაღიზიანებელ პიროვნებას ნიშნავს (informal: a stupid person - by Merriam Webster ). **Doofus** - მისი პირდაპირი მნიშვნელობით არის სლენგი, რომელსაც არასრულფასოვანი პირის მისამართით იყენებენ (*slang*: a stupid, incompetent, or foolish person - by Merriam Webster). **Poser** - როგორც სლენგი დამკვიდრებულია იმ ადამიანების დამცირების მიზნით, რომელიც სხვებისგან განსხვავებულად იქცევა რათა ყურადღების ცენტრში იყოს (foolish person - by Merriam Webster).

საქართველოს კონტექსტში ხშირია *სკაბრეზული* სიტყვებით მსხვერპლის დაშინების ფაქტებიც.

*...თუ ბიჭი გოგოსავით იქცევა მას ეძახიან - შე პიდ\*\*\*სტო!*

ფიზიკურად სუსტ ბიჭებს აშინებენ ხოლმე სიტყვებით: *ჩმორო! დედას გიტირებ ნაბო\*არო! ბო\*ის შვილო!*

როგორც კვლევებმა აჩვენა, არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ბულინგი სკოლაში კვლავ აქტუალურ და მოუგვარებელ პრობლემად რჩება. პრობლემის საფუძვლიანად შესწავლა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა საჭიროებს ბულინგის, როგორც ფენომენის უფრო სიღრმისეულ ანალიზს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, არამედ აღნიშნულ საკითხზე ლინგვისტურ ღრმა ანალიზსაც. რაც გამოიხატება ბულინგის შემთხვევაში

გამოყენებული ლექსიკური ერთეულების შესწავლაში და სასკოლო საზოგადოებაში მათი შინაარსის სწორი ფორმულირებით.

პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება უნდა ეფუძნებოდეს სოლიდურ ლინგვისტურ კვლევას. ბულინგში კონტექსტური და ლინგვისტური მინიშნებების მიგნება პირველ რიგში საჭიროებს ანალიტიკური სამუშაოების ჩატარებას. ეს ხელს შეუწყობს ნამდვილი ავტორისეული განზრახვის გაგებას.

(ცხრილი 2. ენობრივი ფუნქციები)

ქართული და ინგლისურ საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის გამომხატველი მარკერები	მაგალითები
მეტაფორა	<i>რას გავხარ ძროხა!</i> <i>ბეჭემოთივით ტანი გაქვს!</i>
ირონია	<i>რა მაგარი ნაშაა...“</i>
ზარბარიზმი	<i>ბიჩ, ნაშა</i>
სლენგი	<i>ქართული: ზანგი, ბომჟი, ცისფერი, ხისთავა, დებილი, სულელი, იდიოტი</i> <i>ინგლისური: whore, slut, hoe, fag, faggot, nerd, retard, dope, doofus, poser</i>
დისფემიზმები	<i>დებილი, სულელი, იდიოტი,</i>
სუგესტიური შეკითხვა	<i>აქ არიან ხომ 50-იანელები, ბაპტისტები და იაღოველები? ღმერთმა დაგვიფაროს ასეთებისგან</i>

ეპითეტი	<i>ბავშვთა სახლის ბინადრი</i>
მუქარა	<i>ეს რა გოგოსავით გაცვია?! თუ არ მოწესრიგდები და ნორმალურად არ ჩაიცმევ, ჩემს გაკვეთილს ვერ დაესწრები. შენ ჩემი შვილი რომ იყო განახებდი...</i>
პერფორმაციული ზმნები	<i>გაფრთხილებთ, მალე მოგიწევთ თქვენ საქციელზე პასუხისგება“</i>
პირობითი წინადადებები	<i>შენ გეუბნები ბიჭო! ხვალ თუ მოვედი გამიცნობ ვინცა ვარ.</i>
მოდლობა	<i>შენ ხომ იცი რაც უნდა გააკეთო ?!</i>
მეორე პირის ნაცვალსახელები	<i>შენ ბოდის მის მიუხედავად მაინც მოგხვდება.</i>
უარყოფითი კონსტრუქციები	<i>არ იცი ხო ჩვენ სასტავში ქცევა?! გასწავლით!</i>
რიტორიკული კითხვები	<i>აბა სხვას რას ელოდი? მშიშარა.</i>
ბრძანებითი წინადადებები	<i>ისე მოიქეცი, როგორც უკვე გითხარი!</i>
მომავალი დრო	<i>ყველაფერზე პასუხს აგებ!</i>

## ზოგადი დასკვნები

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

❖ განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტების ენა ვალდებულების პირდაპირ მნიშვნელობას გადმოსცემს. დოკუმენტის ასეთი ენა სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების და მოთხოვნების მკაფიო წარმოჩენას ემსახურება. დოკუმენტების ტექსტებში მიზანმიმართულად შერჩეული სიტყვებით ინდივიდის ღირებულებით ნაწილზე მნიშვნელოვანი აქცენტები კეთდება, რომლებიც ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან ერთად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრების საკითხს მოიცავს.

❖ განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში მოცემულია ავტორის ან ავტორთა ჯგუფის განზრახვა. ტექსტების დეკოდირება ამავდროულად ენის სწორ გაგებას მოითხოვს. როცა ტექსტების მოცემული განზრახვის განსხვავებული

ინტერპრეტაცია ვლინდება, მიიჩნევა, მკითხველმა ტექსტის შინაარსი სწორად ვერ გაიაზრა. შესაბამისად, ტექსტების ინტერპრეტაცია უნდა დაეყრდნოს მათში კოდირებულ განზრახვას და არა ნომინალურ აზრს.

❖ თანამედროვე რეალობაში, საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის გამოვლენის ფაქტები ჯერ კიდევ მაღალია – სადაც დაშინების ენის გამოყენება უჩვეულოდ მაღალი სიხშირით ხასიათდება, შესაბამისად ბულინგის ფენომენის შესწავლის მზარდი ინტერესი კვლავ აქტუალურია;

❖ ბულინგი შესაძლებელია გამოვლინდეს ვერბალურად და არავერბალურად, როგორც ზეპირსიტყვიერად, ისე წერილობითი ფორმით;

❖ საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგი არა ინდივიდუალური, არამედ სოციალური ფენომენია. იგი რეალიზებას ყოველდღიურ კომუნიკაციაში ჰპოვებს. ბულინგის განხორციელება შესაძლებელია კომუნიკაციის ყველა ეტაპზე, თუმცა ყველაზე აქტიური ეტაპი, რომელზეც დაშინების ეს ფენომენი ვლინდება არის პიროვნებათშორისი ანუ ინტერპერსონალური, კომუნიკაცია.

❖ ბულინგი, როგორც ძალადობრივი ქმედების ფორმა, საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, მისი როგორც სოციალური ფენომენის, შესწავლა სოციალური კონტექსტშია შესაძლებელი. ასევე მისი სრულყოფილი შესწავლის დროს სოციოლინგვისტური ცვლადებია გასათვალისწინებელი, როგორცაა, სოციალური კლასი, გენდერი, ასაკი, სქესი, ეთნიკური ჯგუფი. აღნიშნული ცვლადები საგანმანათლებლო დისკურსში ბულინგის ფენომენის ლინგვისტური ანალიზის სრულყოფილად გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს.

❖ ბულინგის რამდენიმე ფორმაა ცნობილი: *ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი, ურთიერთობითი ბულინგი, რელიგიური ნიშნით გამოხატული ბულინგი, გენდერული ნიშნით გამოხატული ბულინგი, მოსწავლეების მიერ მასწავლებლის ბულინგი და კიბერბულინგი.*

❖ *ფიზიკური ბულინგი* - არის ბულინგის ფორმა, როდესაც აგრესორი ფიზიკურად ეხება მსხვერპლს და მას ზიანს აყენებს.

❖ *ვერბალური ბულინგი* - არის სასკოლო კონტექსტში გავრცელებული დაშინების ფორმა. იგი მსხვერპლის დამცირების და მასზე ფსიქოლოგიური ძალადობის ხასიათს ატარებს. მისი გამოხატვის ფორმებია: დაშინება, შეურაცხყოფა, დაცინვა, ღირსების შელახვა.

❖ *ურთიერთობითი ბულინგი* - არის ირიბი აგრესია. ბულინგის ამ ფორმით ერთი ინდივიდი მეორის დამცირებას ტყუილების და ჭორების გავრცელებით ცდილობს.

❖ *კიბერბულინგი* - ვლინდება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით, ძირითადად სოციალური ქსელებში და მოიცავს შესაბამისად, როგორც ვერბალურ, ისე რელაციონალურ ბულინგს.

❖ კიბერბულინგის დროს მუქარის თუ დაშინების გამომხატველი მარკერები გარკვეულ ენობრივი ფუნქციებს შეიცავს. როგორც ქართულ კონტექსტში ასევე ინგლისურში უმეტესობა ერთი და იმავე ფორმით არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ფუნქციებიც ერთნაირია: 1) *პირობითი წინადადებები*; 2) *მოდალობა*; 3) *მეორე პირის ნაცვალსახელები*; 4) *უარყოფითი კონსტრუქციები*; 5) *რიტორიკული კითხვები*; 6) *ბრძანებითი წინადადებები*; 7) *მომავალი დრო*;

❖ ორივე საანალიზო ენაში ბულინგისთვის დამახასიათებელია შემდეგი ლინგვისტური თავისებურებები: შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ლექსიკა (რასისტული, სქესობრივი), დაცინვის, შეურაცხყოფის, დამავეების ან ზიანის მიყენების სურვილის ამსახველი სიტყვები.

❖ წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი მუქარა ხასიათდება ლექსიკური თავისებურებებით და მხატვრული ხერხების უხვი გამოყენებით. ასეთ

გამონათქვამებში ორივე ენაში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია სკაბრეზული სიტყვები და ირონია. აგრეთვე გვხვდება შედარებები და ბარბარიზმები. ამერიკულ კონტექსტისაგან განსხვავებით ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში არანორმატიული ლექსიკა (დისფემიზმები) გაცილებით ხშირად გამოიყენება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სლენგების გამოყენება ფიგურირებს ორივე ენაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ადეიშვილი, ქ. (2013). არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (შეპირისპირებითი ანალიზი. ფრანგული და ქართული ენების მასალაზე).
2. ალანია, მ. (2017). *ძალადობის და მიჯაჭვულობის ურთიერთმიმართება ბავშვებსა და მოზარდებში*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ასათიანი, ნ., & წერეთელი, მ. (2020). *ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და განმაპირობებელი*. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. ბალაძე, მ. (2015). *ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები ინგლისურენოვანი და ქართული პრესის დისკურსში*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. გამყრელიძე, თ. (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

6. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.
7. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.
8. ლებანიძე, გ. (2004). *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი.
9. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი N57/ნ
10. ნადირაშვილი, შ. (2001). *განწყობის ანტროპული თეორია*. [The Anthropic Theory of Set]. თბილისი: უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.
11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ.
12. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ N1330.
13. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ N 688.
14. ფარჯანაძე, ნ. (2010). *პრაგმატიკული მნიშვნელობის სპეციფიკა (იგლისურ და ქართულ ენების მასალაზე)*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
15. ღარიბაშვილი, თ. (2019). *ფრანგული კომპიუტერული დისკურსი (ლინგვო-კულტუროლოგიური ანალიზი)*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
16. Bloome, D., & Beauchemin, F. (2016). *Languaging Everyday Life in Classrooms*. SAGE Journals.
17. Cazden, C. B. (2001). *Classroom Discourse The Language of Teaching and Learning*.
18. Clark, U. (2005). Bernstein's theory of pedagogic discourse: Linguistics, educational policy and practice in the UK English/literacy classroom.
19. Dijk. (1981). *Studies in Pragmatics of Discourse*. New York: New York: Mouton.
20. Dijk, T. A. (1983). *Strategies of Discourse Comprehension*. New York: New York: Academic Press.
21. Dijk, T. A. (1998). CRITICAL DISCOURSE ANALYSIS.
22. Erikson, E. (1960). *Stages of Psychosocial Development*. *გამომცემლობა????*



23. Fairclough, N. (1993). *Critical Discourse Analysis and the Marketization of Public Discourse: The Universities*. London: University of Lancaster .
24. Fairclough, N. (2012). Critical discourse analysis. *International Advances in Engineering and Technology (IAET)*.
25. Fiske, T. (1991). *Social Cognition*. New Yourk : Blackwell.
26. Gales T., *Threatening Stances Language and Law / Linguagem e Direito*, Vol. 2(2), p. 1-25. 2015.
27. Gee, J. P. (2011). *An Introduction to Discourse Analysis Theory and Method*. London;New York : Routledge.
28. Heinemann, W. (1973). *Agressive Behaviours in Human relations* . European Journal of Social Psychology.
29. Hughes, T. (1913). *Tom Brown's schooldays*. London: Charles H. Kelly.
30. Jenkins E. (1998). *Violence in the workplace scope of the problem and risk factors*. In C.W. Wilkinson (Ed.), *Violence in the Workplace: Preventing, Assessing, and Managing Threats at Work*. Rockville, MD: Government Institutes.
31. King, J. (1977). *The Growth of Crime: The International Experience*. *Adventure in Criminology*.London: Routledge.
32. McCroskey, J. C., & Richmond, V. P. (2010). POWER IN THE CLASSROOM I: TEACHER AND STUDENT PERCEPTIONS. *COMMUNICATION EDUCATION*.
33. McKay, N. H. (2010). *Sociolinguistics and Language Education*. Bristol: MULTILINGUAL MATTERS.
34. O'Keefe, D. (2002). *Persuasion: Theory and Research*.
35. Olweus, D. (1973). *Personality and aggression*. University of Nebraska Press.
36. Olweus, D. (1978). *Aggression in the schools: bullies andwhipping boys*. Washington DC: Hemisphere press.
37. Olweus, D. (1999). Bullying in Norway. In P.K. Smith, Y. Morita, J. Junger-Tas, D. Olweus, R. Catalano, & P. Slee (Eds), *The Nature of School Bullying: A cross-national*.
38. Pikas, A. (1989). *A Pure Concept of Mobbing Gives the Best Results for Treatment*. American Psychological Association.

39. Roland, E. ( 1988). *SCHOOL INFLUENCES ON BULLYING*. UNIVERSITY of DURHAM School of Education;
40. Rogers, R. (2004). *Introduction to Critical Discourse Analysis In Education* . Washington University
41. Swift, R. (1997). *Heroes or villains? The Irish, crime, and disorder in Victorian England*. University of Cherster.
42. Taubman, p. (2009). *Teaching by numbers : Deconstructing the discourse of standards and accountability in education*. New York : Brooklyn College.
43. Tedeschi J. T., and Felson, R. B., (1994) *Violence, Aggression and Coercive Actions*. Washington: American Psychological Association.
44. The School Board of Broward County, Florida: Freedman, A. M., Rubert, N., Bartleman, R., Brinkworth, H. P., Good, P., Korn, D. P., Levinson, L. R., Murray, A., Dr. Osgood, R. *Threat Assessment Procedures Manual* (2017).
45. Woods, N. (2006). *DESCRIBING DISCOURSE A PRACTICAL GUIDE TO DISCOURSE ANALYSIS*. Hodder Education, a member of the Hodder Headline Group,.
46. Yule G.(1996), *Pragmatics*. Oxford University Press, Great Britain.

### გამოყენებული ინტერნეტრესურსები

1. <https://tdi.ge/ge/page/religia-da-ganatileba-kartul-skolebshi> (გამოქვეყნების თარიღი: 6.02. 2018).
2. <https://edu.aris.ge/news/maswavleblis-shishit-gakvetilze-agar-shedis> (გამოქვეყნების თარიღი: 15.10.2017).
3. <http://liberali.ge/articles/view/3744/religiuri-bulingi-skolebshi--bavshvebis-tvalit> (გამოქვეყნების თარიღი: 3.11.2018).
4. <http://liberali.ge/articles/view/44113/bulingi--shenighbuli-sisuste--konkursi-mostsavleebistvis> (გამოქვეყნების თარიღი: 31.03 2019).

5. <https://edu.aris.ge/news/maswavleblis-mxridan-varcxnilobis-gamo-moswavleze-ganxorciebul-sheadzlo-bulingis-faqt-shida-auditi-swavlobs.html> (გამოქვეყნების თარიღი: 19.09.2018).
6. <https://edu.aris.ge/news/maswavleblis-shishit-gakvetilze-agar-shedis-ra-xdeba-telavis-erterti-skolashi.html> (გამოქვეყნების თარიღი: 15.02.2017).
7. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31288606.html> (გამოქვეყნების თარიღი: 03.07.2021).

## განხორციელებული კვლევების დანართი

ინტერვიუ ქართულ და ამერიკულ სკოლების დირექტორებთან

ინტერვიუ ამერიკელი სკოლის დირექტორთან

### 1. Can you introduce yourself please?

My name is Erica Schnee am a principle here at Gallatin High School, in Bozeman, Montana.

### 2. How long have you been working at school?

I have been an educator since 1998. When I graduated from a college, I started working as a social studies teacher. Originally, I am from Bozeman, but my first job was in Colorado. In 2006 I came back in Montana and worked as an assistant of a principle for many years. That is my second year as a principal of this school.

### 3. Can you say a couple of words of what bullying is in your opinion?

We have a very specific definition. In my opinion bullying is an imbalance of power that is expressed in a relationship. Also it is on-going. Very often we have students coming to us and saying that they are victims of bullying. They ask what we can do about it.

And we always really work to correct this language, because bullying is something that is on-going problem that a particular students experience regularly from the same students or group of students.

- 4. What kind of bullying is common at your schools?** (Physical bullying, verbal bullying, cyberbullying, bullying based on religious background, gender-based bullying, aggressor student and victim teachers).

I think people's perceptions of bullying are different. Some people think that obscene comments are bullying. However, the actual bullying that is often seen is cyberbullying. Mostly, it happens outside the school but it continues when the students are at school.

- 5. In your opinion who are the target group or individuals as the victims of bullying?**

I do not think there is just one group of students. I think it is very various and we have some interesting reports that we gather each year. Information is always surprising, because sometimes you think bullying happens between 9th-grade boys or 10th-grade girls, but next year you may see deferent statistics. However, nationally we know LGBTQ students and transgender students experience a lot of bullying. It does not happen as much at this school level as national data shows, but this is the group of students who are at the high risks of bullying. Besides, I have heard about all kinds f bullying for sure.

- 6. What do you think in most cases of bullying victims are bullied by teachers or by their peers?**

Definitely, you would hear from students that they have some problems with teachers periodically. I think most often, once you get everyone together for a conversation that is not really a case. In the survey data we have, most problems are students to students. Sometime it can be vice versa, we had a situation this year with a new teacher. The class was very very crowded and students were disrespectful.

- 7. In your opinion, what can be the reason of bullying?**

It is very difficult to say the reasons of bullying. Many researchers who study this problem name racism, ethnicity, etc. as a problem of bullying. Although we have been trying

to solve problem of racism across the country for years, and we have had a black president, still exists system that have perpetuated racial separation. However, to specify the issue, I think the reason is that people do not know other people well. Especially individuals with different backgrounds. The main problem is that they are also afraid of getting to know each other well. So, it comes down to people not knowing other people and being afraid to reach out and get to know them.

**8. What are the common words or phrases aggressors use to achieve their goals? (online and face to face)**

I think the range of them is so wide, there is not really anything specific to focus on in that regard.

**9. What can be done by school community (including administration, teachers, and parents) to prevent bullying at schools?**

One thing we do is that we have a universal expectation which means expectation of student behavior when they are at school. The mission of our school is based on the values of our slogan, GRIT (be engaged, be respectful, be inclusive, together). Being involved means we want students to be in the service of the school and the community and to be an active global citizen, to prevent bullying which is important to show respect and be inclusive, to be kind with each other and encourage to succeed. We want our students to work hard with others and look for people who are different from them and learn from them. This is what we teach our students as expectations. All of these are conveyed through activities planned by teachers.

**10. Is there any official law that regulates bullying (school based, district based, or in federal level)?**

There is both, we have school district handbook for students and it explains what is not allowed, it describes what bullying is. We also have federal law connected to the constitution that is against any kind of discrimination. and we have district policy that apply to that law.

## ინტერვიუ ქართული სკოლის დირექტორთან

### 1. თუ შეიძლება წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი

მოგესალმებით, მე გახლავართ ბათუმის მე-15 საჯარო სკოლის დირექტორი ნინო მოდებაძე.

### 2. რამდენი ხანია მუშაობთ სკოლაში?

სკოლაში ვმუშაობ 2007 წლიდან, ხოლო დირექტორის თანამდებობაზე დავინიშნე 2013 წელს.

### 3. ჩვენი კვლევა ბულინგის საკითხს ეხება. თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით განმარტოთ, რა არის ბულინგი თქვენი მოსაზრებით?

*ბულინგის მრავალი განმარტება არსებობს, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს არის დისკომფორტი და არასასიამოვნო გარემოს შექმნა ადამიანისთვის, რომელსაც ყოველთვის ორი მხარე ჰყავს, მოძალადე და მსხვერპლი.*

### 4. რა სახის ბულინგი გამოვლენილა ხოლმე თქვენს სკოლაში? (ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი, რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებულობის გამო ბულინგი, გენდერული ნიშნით ბულინგი).

*სასკოლო გარემოს თუ ვგულისხმობთ, ძირითადი შემთხვევები ვერბალური ბულინგია. ფიზიკური ფორმით გამოხატულება ნაკლებია, თუმცა ხდება ხოლმე. ხშირი ფორმა ალბთ ვერბალური და კიბერბულინგია, რომლის გაკონტროლებაც ყველაზე მეტად გვიჭირს ჩვენ.*

### 5. თქვენი აზრით, რომელი კატეგორია არის ხოლმე ბულინგის მსხვერპლი?

*ეს საინტერესო საკითხია და ზოგადად ამაზე ბევრი მიფიქრია. ერთ-ერთ მაგალითად გამოიყოფა სოციალურად დაუცველი კატეგორია, რაღაც ნიშნით განსხვავებული პირები, შეიძლება ნაკლებად მოდურად ეცვას, ან მისი სოციალური გარემოდან გამომდინარე, სწავლის დონეც შესაძლოა დაბალი*

ჰქონდეს, ნაკლებად აქტიური ადამიანი იყოს. შესაბამისად, ემოციაც ჭარბობს ხოლმე ასეთ ადამიანებში. ისინი იოლად წამოეგებიან ხოლმე პროვოკაციულ ხუმრობებზეც, ძალიან უბრალო თემებიც კი მათთვის შესაძლოა მტკივნეული იყოს. ეს კატეგორია ხშირად არის ბულინგის მსხვერპლი, ან პირიქით ძალიან წარმატებული და გამორჩეული მოსწავლეები ხდებიან მსხვერპლნი. ფიზიკურად განსხვავებული მოსწავლეების მიმართ (შშმ პირი) იშვიათად ვლინდება ბულინგი. მე პირადად ვთლი, რომ ასეთი მოსწავლეების მიმართ მეტი მიმღებლობა აქვთ ახალ თაობას. თუ სპეციალური საჭიროება იკვეთება მოსწავლეებში იქ ნამდვილად თავშეკავებულნი არიან. აი განსხვავებული აზრის მქონე მოსწავლე შეიძლება უფრო მეტად გახდეს ბულინგის მსხვერპლი ვიდრე ფიზიკურად განსხვავებული.

**6. თქვენი აზრით, ხშირ შემთხვევებში მსხვერპლის ბულინგი მოსწავლეების მხრიდან ვლინდება თუ მასწავლებლის?**

უფრო თანატოლებს შორის. თუმცა მასწავლებლის მხრიდანაც არის. მეტსაც გეტყვით მასწავლებელიც არის ხშირად ბულინგის მსხვერპლი.

**7. თქვენი მოსაზრებით, რა შეიძლება იყოს აგრესორის მხრიდან ბულინგის გამოვლენის მიზეზი?**

გააჩნია რას ვგულისხმობთ მიზეზში? - ვგულისხმობთ იმას, რომ რა არ მოსწონს თუ შინაგანი პოზიცია როგორია ე.წ. მოძალადეების, ეს შეიძლება იყოს არასრულფასოვნების კომპლექსი თვითონ იმ ადამიანში ვინც ძალადობს; შეიძლება იყოს ნაკლები განათლება და ასევე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის არ ქონა, კონკრეტულად წესების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების არასწორად განაწილება. აგრესორის ქცევა შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მოტივით, რომ საკუთარი ნაკლი დაფაროს, ან აკეთებს ამას იმიტომ, რომ რაღაც პოზიცია დაიჭიროს, ყურადღება მიიქციოს, ცდილობს რაღაცაში იყოს გამორჩეული, თუნდაც ცუდი მხრივ, ან შეიძლება მისი გარემო პირობები, როგორც მორალური, ასევე სოციალური ან ეკონომიური განსაზღვრავდეს მის ქცევას. სრულიად

შესაძლებელია მასაც აგრესიულად ექცვიან და ამის მოდელირებას აკეთებს სხვებთან ურთიერთობისას, თითქოს თავს იცავს ამით.

**8. რომელია ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვები ან ფრაზები, რომელთაც აგრესორი მიზნის მისაღწევად იყენებს?**

ფრაზებზე და სიტყვებზე უფრო მეტად გამოიყენებენ ხოლმე შორისდებულებს, ვაახ, აუჰ, აუ ახლა დაიწყე, ახლა დაიწყებს ტირილს. უფრო მტკივნეულიც, მაგალითად, გოგოსავით ტირი, ბიჭს შეიძლება ასე მიმართონ. ან გოგოს უთხრან, რომ *შენ სულ ტლიკინებ და ასეთები...* სამწუხაროდ, ბილწიტყვაობაც არის ხოლმე, რასაც ასევე ბულინგად აღიქვამენ, დაწყებული სამი ასოდან ეგრეთწოდებული, დამთავრებული გინებით და რაღაც უხეში მიმართვებით.

**9. ბულინგის პრევენციისთვის რა შეიძლება გააკეთოს სასკოლო თემმა?**

სასკოლო თემის ნებისმიერ წარმომადგენელს რომ ჰკითხო, ყველა მათგანი იტყვის რომ მოსწავლეებს ბულინგისაკენ არ მოუწოდებენ. რა თქმა უნდა, ამას ჩვენს სკოლაში არ ვასწავლით. თუმცა ფაქტია, რომ მოსწავლეებმა ცუდი სიტყვებიც იციან და არასასურველი ქცევაც ახასიათებთ. ყველაზე ცუდი რაც არის, რომელიც ბულინგის პრევენციას ხელს უშლის, არის ის რომ სასკოლო თემის წევრები არ არიან მჭიდრო კავშირში ერთმანეთთან და სკოლასთან. მე როგორც სკოლის დირექტორი ვცდილობ სასკოლო თემის პრობლემის მათ გაერთიანებას. ასევე, არასასურველი ქცევა თუ გამოვლინდება სკოლაში, რასაც უშუალოდ ბულინგის ფორმა ექნება ამ კონკრეტულ კლასში, ვთხოვ რომ ამ საკითზე გააკეთონ პრეზენტაცია, სადაც წარმოჩნდება დანაშაულის მავნებლური მხარე. ასევე მეორე მექანიზმი, რასაც ჩვენ მივმართავთ ხოლმე, არის ფილმის ჩვენება.

**10. როგორც სკოლის დირექტორი, ბულინგის პრევენციის რა მექანიზმს მიმართავთ?**

მე საეთ მექანიზმს მივმართავ, როდესაც რაიმე დარღვევა არის, მერე ვთხოვ ხოლმე, რომ თავად ამ კლასმა გააკეთოს პრეზენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. არა მარტო კლასისთვის, არამედ მთელი სკოლისთვის. ეს არის ერთ-ერთი ფორმა როცა



თვითონ ფიქრობენ რაღაც პრობლემაზე. მეორე, რაც ძალიან საინტერესოა მოსწავლეებისთვის და უფრო მისაღებია ხოლმე, არის კინო-ფილმის ჩვენება სხვადასხვა თემატიკაზე. ასეთი ფილმია „საოცრება“. მოვაწყვეთ ამ ფილმის ჩვენება მთელი სკოლის მოსწავლეებისთვის. ჩემდა გასაოცრად, ერთ-ერთი ჩვენების დროს (მაშინ ეს ბავშვები იყვნენ მეცხრე კლასში) ფილმი როგორც კი დამთავრდა პირველი რაც გააკეთეს - იჩხუბეს. ფიზიკურად შეეხნენ ერთმანეთს, როცა წუთის წინ ამ ყველაფერს განიხილავდნენ და მსჯელობდნენ იგივე პრობლემა და შეცდომა გაიმეორეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს მიერ შერჩეული აქტივობები ზოგჯერ ისე შესაძლოა არ დასრულდეს როგორც ჩანაფიქრიც გვქონდა.

#### 11. კანონმდებლობის დონეზე როგორ არის სკოლაში ბულინგი რეგულირებული?

შინაგანაწესით არის ეს ყველაფერი გაწერილი, ეთიკის კოდექსებში მოცემულია ბულინგის რეგულირების საკითხები.

### ინტერვიუ ქართულ და ამერიკულ სკოლების მასწავლებლებთან ამერიკული სკოლის მასწავლებელი

#### 1. Can you introduce yourself please?

My name is Net Johnson, I am an English teacher. I teach at Gallatin High School in Bozeman, Montana. I teach 9<sup>th</sup>-12<sup>th</sup> grade students.

#### 2. How long have you been working at school?

This is my third-year teaching. One year at middle school, then here I've been working for two years.

#### 3. Can you say a couple of words what is bullying in your opinion?

Bullying in the broadest contexts is dynamic of shifting landscape of teenagers' social spheres. It is anything that makes students feel unwelcome or unworthy. It can often be things that are intentionally done to students or unintentional consequence of social society.

- 4. What kind of bullying is common at your schools?** (Physical bullying, verbal bullying, cyberbullying, relational bullying, bullying based on religious background, gender-based bullying, aggressor student and victim teachers).

Absolutely the gossiping, talking about people behind their backs. Students spread gossips. That's most aspects we see as bullying more or less. Sometimes physical bullying as well.

- 5. In your opinion who are the target group or individuals as the victims of bullying?**

The target group of bullying are mainly emotional students. It seems all together whatever kind of bullying it is the bullies tend to bully people who react. And emotional students are those who do that. Those who are socially marginalized, the ones who give emotional reactions tend to be targeted, seems to be targeted ones. Simply, it is more visible.

- 6. What do you think in most cases of bullying victims are bullied by teachers or by their peers?**

I think teacher bullying is rare, unwanted tension of all things. The precedents of bullying are mostly among the students. I do not remember any fact of bullying by a teacher. We have a fantastic environment at this school. We have young progressive teachers who are really supportive. However, there are still some facts of violence among students. In the previous school where I worked, I remember a fact, there was a teacher, she was emotional. Students knew her reactions, so students tried to make her upset and make her crying. Starting a lesson for this teacher for a few months was the most difficult problem because she did not know how to get them stop.

- 7. In your opinion, what can be the reason of bullying?**

I think they need be in the center of attention, so they seek it. They themselves may be victims of bullying either at home or at school. There may perpetuate that that they are not the worst people at school.

**8. What is the common words or phrases aggressors use to achieve their goals? (online and face to face)**

The words that come in my mind are slang terms like **haggard** that is used like you look bad, you look awful. Another one is basic. You are **basic** means you are boring, you are not interesting. These are some slangs I can remember students identify insulting.

**9. What can be done by school community (including administration, teachers, and parents) to prevent bullying at schools?**

Sometimes kids come to me and say they are bullied, the things we do is that we try to help them to find a place within a school they fit. That means club activities or the sports they are interested in. That really has positive influence on their lives.

**10. What do you do as a teacher to prevent bullying?**

The first thing we do is to tell everyone not to be a **jerk**, that means don't be a bad person. My subject (English) is taught integrated with history. So, in teaching process we have to teach many different ideas that are valuable. That is why we teach students that they can oppose the opinion expressed by others but not a person. Also, if there are precedents of bullying, we first study the form of bullying, the reasons, and then with my colleagues we work to develop activities that will have a positive impact on both the victim and the aggressor.

**1. თუ შეიძლება წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი**

ნანა ქათამაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**2. რამდენი ხანია მუშაობთ სკოლაში?**

თექსვეტი წელია ვმუშაობ სკოლაში. 5 წელი ლიცეუმში ვმუშაობდი.

**3. ჩვენი კვლევა ბუღინგს საკითხს ეხება, თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით განმარტოთ, რა არის ბუღინგი თქვენი მოსაზრებით?**

ბუღინგი ჩემთვის ეს არის ძალადობის ფორმები. ნებისმიერი სახის ძალადობა, შესაძლოა იყოს ფსიქოლოგიური, სიტყვიერი, ფიზიკური და ა.შ.

**4. რა სახის ბუღინგი გამოვლენილა ხოლმე თქვენს სკოლაში? (ფიზიკური ბუღინგი, ვერბალური ბუღინგი, რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებულობის გამო ბუღინგი, გენდერული ნიშნით ბუღინგი).**

თუ ამ სკოლას ავიღებთ, ფიზიკური არა, გამორიცხულია. არ მქონია ეს პრაქტიკა. ალბათ უფრო ვერბალური ფორმით და ფსიქოლოგიური. მსმენია ასევე კიბერბუღინგის ფაქტებზეც. ჩემს პრაქტიკაში არ მქონია. არავის მოუმართავს არ მინახავს.

**5. თქვენი აზრით, რომელი კატეგორია არის ხოლმე ბუღინგის მსხვერპლი?**

ძალადობენ იმაზე ვინც შედარებით სუსტია. აკადემიური მოსწრებითაც არ გამოირჩევა ხოლმე. ფიზიკურ სისუტეს არ ვგულისხმობ. რაღაცნაირად წყნარი, მშვიდი, ჩაკეტილი პირები ხდებიან ხოლმე ბუღინგის მსხვერპლი. პრინციპში შეიძლება ფიზიკური მდგომარეობა, ანუ ვიზუალურ გახდეს დამცირების მიზეზი. ასევე განსხვავებული რელიგიური წანამდღვრების ან ეთნიკურად განსხვავებული მოსწავლეებიც არიან ხოლმე მსხვერპლი.

**6. თქვენი აზრით, ხშირ შემთხვევებში მსხვერპლის ბუღინგი მოსწავლეების მხრიდან ვლინდება თუ მასწავლებლის?**

ვფიქრობს მოსწავლეებს შორის უფრო მეტია ბუღინგი, ვიდრე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. სხვათაშორის, არის პრეცედენტები, როდესაც თავად მასწავლებელი არის მოსწავლეების მხრიდან ბუღინგის მსხვერპლი ხოლმე. დაცინვის ობიექტია ხშირად. მაგალითად, არ მოსწონდათ მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი და მასხრად იგდებდნენ. მერე გაგიჟებულ მასწავლებელს

ფოტოები გადაუღეს და გამოუქვეყნეს. გიჟივით რომ ყვირის მასწავლებელი ასეთ მომენტებში დააფიქსირეს და ატვირთეს.

**7. თქვენი მოსაზრებით, რა შეიძლება იყოს აგრესორის მხრიდან ბულინგის გამოვლენის მიზეზი?**

შეიძლება იყოს ოჯახური მდგომარეობა. ყოველთვის ვფიქრობ, იმაზე თუ რატომ იქცევა ბავშვი ასე... მოდის რაღაც ოჯახიდან, სავარაუდოდ ოჯახში არ არის რაიმე კარგად. და ამას ავლენს სკოლაში. ახლა ვერ ვიტყვი ხასიათი აქვთ ასეთი მეთქი. მაგრამ რაღაცის გამო უყალიბდებათ და ხშირად მივდივართ ოჯახურ მდგომარეობამდე. მათ პრობლემა ოჯახში აქვთ.

**8. რომელია ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვები ან ფრაზები, რომელთაც აგრესორი მიზნის მისაღწევად იყენებს?**

მე ნაკლებად მსმენია, რადგან თითქმის უგულებელვყოფ, მსგავს რაღაცას. თუმცა მე რაც შემინიშნავს: „ო, მაგის წაკითხვა მაღიზიანებს“ ესეც ჩემთვის არის დამცირება როცა ვიღაც კარგად ვერ კითხულობს და ამაზე დასცინიან. იციან რომ არ უნდა თქვან მაგრამ მაინც ვლინდება. როცა ჩემს კლასში ეს დაფიქსირდა ყველას ვუთხარი რომ ეს არ იყო სწორი საქციელი და შესაბამისად არ უნდა ითქვას. ისეთი ფრაზებიც - *ეს რა აცვია?* ან გამოვიდა და ვერ მოყვა კარგად და ამაზე მას სხვამ დასცინა. ან აზრი ვერ გამოხატა სწორად და ამის გამო გესლიანი კომენტარი გაუკეთა - *არასწორი იყო ეს პასუხი*.

**9. ბულინგის პრევენციისათვის რა შეიძლება გააკეთოს სასკოლო თემმა?**

საუბარი დამრიგებლების მხრიდან. კარგი იქნება ამ თემაზე პრეზენტაციის მომზადება, თვითონ ბავშვების მიერ. აი კლას საათის ჩატარება არის ძალიან მნიშვნელოვანი. კლას საათების დროს შესაძლებელია დისკუსიის ფორმით ან ლექციური ფორმით ბულინგის პრობლემაზე მსჯელობა. დამრიგებელმა კიდევ ერთხელ ესაუბროს ანუ გააზრებინოს თუ რამდენად მიუღებელია ბულინგი. და თვითონ რომ გახდეს ბულინგის მსხვერპლი როგორ იგრძნობდა თავს. ბავშვების მხრიდანაც უნდა მოდიოდეს ამ თემაზე საუბრები. ფილმის ყურებაც იქნება ძალიან

მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. და მერე ამ ფილმის განხილვა. ჩვენ გვქონდა ასეთი პრაქტიკა სკოლაში. მთელი კვირეული გვქონდა ამაზე დათმობილი.

მე როგორც მასწავლებელი ამ საკითზე ხშირად ვსაუბრობ. ჩემს საგანში არის ჩაგვრის თემები და ამაზე დებატებიც გვქონია, ესეც დაგვიწერია, გვიმსჯელია. ალბათ საჭიროა ვისაუბროთ, მივახვედროთ გავიაზროთ.

### კითხვარი

ძვირფასო მოსწავლეებო!

გთხოვთ ყურადღებით გაეცანოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს და არჩევით პასუხების ჩამონათვალს. შემდეგ კი შემოხაზეთ თქვენთვის ყველაზე მეტად მისაღები პასუხი!

თქვენი სქესი:

მამრობითი ----- მდედრობითი----- მირჩევნია არ დავაფიქსირო-----

კლასი----- ასაკი-----

1. გსმენიათ თუ არა ბულინგის შესახებ?

ა) დიახ

ბ) არა

2. ოდესმე თუ ყოფილხართ ბულინგის სიტუაციის თვითმხილველი?

ა) დიახ

ბ) არა

გ) სხვა \_\_\_\_\_

3. თუ ყოფილხართ თვითმხილველი, როგორი ფორმით გამოიხატა იგი:

ა) დამცირება;

ბ) შეურაცხყოფა (ვერბალური აგრესია);

გ) ფიზიკური ძალადობა;

დ) კიბერბულინგი (დაშინება, ინტერნეტ-ბულინგი და დამცირება);

ე) სხვა \_\_\_\_\_

4. ყოფილხართ თუ არა ოდესმე ბულინგის მონაწილე?

ა) დიახ, როგორც თვითმხილველი;

ბ) დიახ, როგორც მსხვერპლი;

გ) დიახ, როგორც აგრესორი;

დ) არასოდეს.

**5. სად ფიქსირდება ბულინგის უფორ მეტი შემთხვევები?**

ა) სკოლაში;

ბ) ეზოში, ან ქუჩაში;

გ) სოციალურ ქსელებში;

დ) სხვა \_\_\_\_\_

**6. თქვენი აზრით ვინ არის ყველაზე მეტად ბულინგის მსხვერპლი?**

ა) ის ვინც სუსტია და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ აქვს;

ბ) ის ვინც სხვებისგან განსხვავებულია (ფიზიკურად);

გ) ვისაც განსხვავებული შეხედულებები აქვს;

დ) სხვა \_\_\_\_\_

**7. თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა როდესაც სკოლის მოსწავლეებზე ბულინგი გარეშე პირებს განუხორციელებიათ.**

ა) დიახ, ხშირი;

ბ) დიახ, იშვიათად;

გ) არასოდეს;

**8. ფიქრობთ თუ არა რომ უფროსები ვერ იცავენ მოზარდებს ბულინგისაგან?**

ა) დიახ

ბ) არა

გ) არ მიფიქრია ამ საკითხზე

**9. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბულინგის თავიდან აცილება შესაძლებელი?**

ა) დიახ თუ უფროსები დროულად შეამჩნევენ;

ბ) დიახ თუ მსხვერპლი ქცევებს შეცვლის;

გ) დიახ თუ აგრესორი სათანადოდ დაისჯება;

გ) არა, მისი სრული პრევენცია შეუძლებელია;

ე) სხვა \_\_\_\_\_

10. თქვენი აზრით ვის შეუძლია საგანმანათლებლო ორგანიზაციაში ბუღინგის აღმოფხვრა/პრევენცია?

ა) ადმინისტრაციას

ბ) აკადემიურ პერსონალს (მასწავლებლებს)

გ) მშობლებს

დ) მოსწავლეებს

ე) სხვა \_\_\_\_\_